

დასუქადასუქადა საქარსუქადა



საქართველოს მხარეთმცოდნეო ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО


26 ივლისი, 2013 წ.

№54 (3664)

ბათუმის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი


რობერტ სტურუა - 75



დაბადებით ტრიუმფატორი

ყველაფერი ხასიათით არის. ხასიათით იწყება, ხასიათით მთავრდება!
ნიჭი – ხასიათია.
მისი მოსვლა ქართულ თეატრში – ეს იყო განსაკუთრებული ნებელობის გამოვლინება და ნიშანი არაჩვეულებრივი ტალანტისა.
რობერტ სტურუა – თავზარდამცემი ნიჭის ხელოვანი და მონოლითური პიროვნება.
ქართული თეატრის ისტორიაში მან შექმნა ეპოქა – ქართული კულტურის „ოქროს ხანა“.
ის, რაც მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ხდებოდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, იყო ნიჭისა და შემოქმედებითი აღმაფრენის დღესასწაული. „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ყვარყვარე“, „ხანუმა“... ვისაც ეს სპექტაკლები გვახსოვს, შეთანხმებული ვართ: თითოეული წარმოდგენა იყო თეატრალური ოსტატობის ფოიერვერკი, არტისტული სამოთხე.
მან შექმნა თავისი თეატრი, რობერტ სტურუას თეატრი, რომელიც მსოფლიომ აღიარა.
არის მის ხასიათში ერთი გამორჩეული თვისება, რომელიც არ შეიძლება აღფრთოვანებას არ იწვევდეს. ეს არის უკომპრომისობა.
არასოდეს თმობს პრინციპებს – არც ხელოვნებაში, არც ცხოვრებაში.
ის არ იბრძვის, ის იმარჯვებს.
რობერტ სტურუა – დაბადებით ტრიუმფატორი!
მაღე 75 წლის გახდება.
ყოვლად სოლიდურ კაცს ასაკიც სოლიდური შეუსრულდა, მაგრამ ისეთი სიმსუბუქით ატარებს ამ წლებს, რომ გეგონება ჟამთა სვლა მასზე არ მოქმედებსო.
კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა, არ სდევს ჟამთა სვლა, ის იგივეა მარად და მარად!
ვულოცავ!
ველი მის ახალ გამარჯვებებს!

*საქართველოს მხარეთმცოდნეო ეროვნული აკადემიის სახელით
თამაზ ნიჟნივაძე*



„ვინც კარგად გიხსობს, გაიღივებს: დიდი სრუაო“...

თამაზ ნიჟიძე

ძვირფასო მკითხველო!

მე ეს სტრიქონები ერთხელ ვაჭა ოთარაშვილის დასახასიათებლად გამოვიყენე და გაამართლა კიდევ!

ახლა მაყვალა გონაშვილსაც მინდა მივუხადო!

საქმე ისაა, რომ ორივე ეს „სუბიექტი“, გონაშვილი და ოთარაშვილი, სიცრუის სფეროში, თვით გენიალურ სააკაშვილსაც კი აჭარბებენ!

რასაკვირველია, ტყუილის ხელოვნებას სააკაშვილიც სრულყოფილად ფლობს, მაგრამ ათასში ერთხელ, რა გინდ მარჯვედაც არ უნდა იყოს, ტყუილის თქმისას მანაც ეცინება!

ეს კიდევ, ამ ტიპის ხელოვნათათვის, ერთგვარი ნაკლია!

აი, მაგალითად, მაყვალა გონაშვილი ისე გეტყვის ტყუილს, ამ დროს ხელითაც რომ შეუხიცირო, შეკრულ კოპებსაც ვერ გაახსენებენ!..

ქვემოთ გავიხსენებთ ერთადერთ შემთხვევას, როცა საკუთარ ტყუილზე ამ დიდოსტატსაც კი გაეღიმა!

გაზეთ „რაო-რაოს“ კორესპონდენტის კითხვაზე, ოპონენტთა აზრით, ხელისუფალთა ხელდასხმით ხომ არ აღმოჩნდით ამ თანამდებობაზე... გონაშვილი იცინის და ამბობს: სისულელეა ხელისუფლებასთან ჩემს კავშირზე ლაპარაკი, როცა მე ვიყავი პირველი, ვინც გაზედა და მათ დაუპირისპირდა იმ დროს, როცა ყოველ წუთს ადამიანებს იჭერდნენ და საშინელებები ხდებოდა.

გონაშვილი და ოპოზიციონერობა – ეს ისეთი მამალი ტყუილია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თვით ქალბატონმა მაყვალამაც ვერ შეიკავა თავი სიცულისგან!..

თორემ ქალი რომ მერაბიშვილის მინისტრობას გასტირებს, ის სააკაშვილის ხელისუფლების მომხრის, აბა, რა ჯანდაბაა!

„ვანო მერაბიშვილი ძალიან ნიჭიერი კაცია და გულსატკეპნი, რომ მის სახელს ასეთი გადაცდომები უკავშირდება!.. პოლიცია მისი მინისტრობის დროს ჩამოყალიბდა და ხალხისთვის საიმედო ორგანოდ იქცა!“

„ნუ მომკალი, ქალოო!...“ შენ მართლა არც შეიდი ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა გინახავს და არც 26 მაისის მომიტინგეთა ხოცვა-ჟლეტა?

რას ამბობ, მაყვალა, ამ კაცმა ხომ პოლიციისგან ზონდერ ბრიგადები შექმნა და ხალხს თავში „დუბინკები“ ურტყა? ნუთუ, არც ერთი ასეთი შემთხვევისთვის თავალი ერთხელაც არ მოგიკრავს?!

„ასევე სიკეთე მახსოვს რურუსაგან...“ „მამუკა ქაცარავაც კარგი კაცია...“

კი, მაყვალა, ესენი კარგი ხალხია და, ზურაბ ადგიშვილიც, გიგა ბოკერიაც, გიორგი ბარამიძეც, გიგა თარგამაძეც, გიგა უგულავაც, გოკა გაბაშვილიც, ნუგზარ ნიკლაურიც და დავით კეხერაშვილიც!..

და, ამათი გვირგვინი მიხეილ სააკაშვილი!.. ოღონდ ქართველი ხალხი აღმოვჩნდით ყრუები და გულდრძობები – მათგან ნაკეთები დიდი სიკეთისა რომ ვერაფერი გავიგეთ!..

თუმცა, ქალბატონო მაყვალა, ერთი რამ მაინც უნდა გკითხოთ: თუ ესენი მართლა ასეთი კარგები იყვნენ, რამ დაგანერინათ კრიტიკული ლექსები ამ ხელისუფლების წინააღმდეგ?!

ეჰ, შე კუდრაჭა, შენ! არაფერიც არ დაგინერია – ის კაფიები და შაირები კი, ვითომდა ხელისუფლებას რომ ებრძოდი, საკუთარ ცხვირში ხელის კიტინი იყო და, მეტი არაფერი!..

კუნეში“ პირდაპირ პირველ გვერდზე სათაურად გავიტანე –

„მე იმ ქართველის არაფერი მჯერა – დღეს რომ სააკაშვილის ნაცში მიძვრება!“

ხოლო კორესპონდენტის კითხვაზე: „შემთხვევით ხომ არ იცით, თქვენმა მეგობარმა შეეარდნაძემ რა ნიშნით აირჩია თანაგუნდელები, განსაკუთრებით ის ახალგაზრდები, რომლებიც მერე „რეფორმატორების“ სახელით მოველინენ საზოგადოებას?“ –

მე ასე ვუპასუხე:

„გახსოვთ ალბათ, ქვეყნის პირველ პირს იმ მგელი ტოტიას ბედი რომ ვუწინასწარმეტყველე, რომელსაც მერე მისივე გამოზრდილი ლეკვები ჭამენ. მართალია, ამ ბიჭებს პრეზიდენტისთვის ჯერ ფეხებიც არ მოუჭამიათ, მაგრამ ყოველდღიურად ისე საზარლად შეჰყმუიან, რაღაც ფათერაკში რომ გაახვევენ, ცხადია!..“

ოო, მაყვალა, კარგო ქალო! მართლაც რა სიზუსტით მინიხანსარმეტყველებია ყველაფერი!

ამის მერე კორესპონდენტს მივუბრუნე: „თქვენ მეკითხებით, თუ რა პრინციპით შეარჩია პრეზიდენტმა თავისი გუნდი, ეს, რასაკვირველია, მის გარდა, არავინ იცის. მე კი მაინც მგონია, რომ აქ იმ ტიპის შეცდომასთან გვაქვს საქმე, ბაზარში კვერცხის ყიდვისას კაცებს რომ ემართებათ-ხოლო – რაკი თავმოყვარეობის გამო კაცები გასაყიდ კვერცხებს ყურის ძირში ვერ მიიტანენ და აქეთ-იქით ვერ გააქანებენ, ხშირად ნორმალურის ნაცვლად, ლაყი კვერცხები შერჩებათ ხელთ!..“

რასაკვირველია, პრეზიდენტი მალე მიხვდება, თუ რა ლაყი ბიჭებთან ჰქონდა საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, იქვე და იმ წამს ქუჩაში ვერ გადაყრიდა, თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებაში უმალე მყრალი და მძალე სუნი დატრიალდებოდა!

თუმცა მე მაინც არ ვამართლებ – ქვეყნის აქოთებას, რასაც ისინი ყოველდღიურად სჩადიან, ქუჩის დაბინძურება გვერჩია!..“

და, ამას მაყვალა, მე ვწერდი 2002 წლის ნოემბერში, ანუ სააკაშვილ-ჟვანიას უმადლეს ხელისუფლებაში მისვლამდე ერთი წლით ადრე!

ჰოდა, როგორც კი ეს „ბიჭები“ ქვეყნის სათავეში მოსულან, როგორც თქვენ წერთ, იმ წუთას თქვენთან გამოქცეულან და უთხოვიათ: ოღონდ წიგნივადე დაგვაჭერიინეთ და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო!..“

მაგარი გოგო ხარ, მაყვალა! –

„მე ეს არ ვიკადრე და დღესაც ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, რადგან ჩემთვის ასეთი ხერხით ბრძოლა მიუღებელია...“

ძვირფასო მკითხველო!

თქვენის ნებართვით, ახლა მაყვალა გონაშვილთან ამ ბოლო ინტერვიუს ჩამწერ ჟურნალისტს, ნონა ქარქაშაძეს უნდა მივუბრუნდე და სამწუხარო სიმართლე ვუთხრა:

– ნონა, ძვირფასო, მინდა გახსოვდეთ, რომ ამ ქალბატონს ერთი წუთითაც არ უნდა ენდოთ, აუცილებლად გაგაცურებთ!

მაყვალა გონაშვილი კი ამბობს, „ამასს მე არ ვიკადრებო“, მაგრამ ფაქტები სხვას ლაღადებენ!

აი, ნახე, რას წერს იმდროინდელი პრესა? „ქრონიკის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, უახლოეს დღეებში მაკონტროლებელი და ძალოვანი უწყებები საქართველოს მწერალთა კავშირის ფინანსური საქმიანობის შესწავლას დაიწყებენ. ამ მოთხოვნით, ირაკლი ოქრუაშვილსა და თბილისის მთავარ პროკურორს კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ მიმართა...“

არა, მაყვალა! კი, ამბობ, „მე ეს არ მიკადრებიაო“, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, შენ რომ არ იკადრებ, ისეთი არაფერია!..

ქალო! თავმჯდომარის წერილობითი დასტურის გარეშე, მწერალთა კავშირში გენერალური პროკურატურის თანამშრომლები როგორ შემოვა?!

ამიტომ გაგაფრთხილეთ, ქალბატონო ნონა, გონაშვილს ერთ ნაბიჯზეც არ ენდოთ, გაგაცურებთ-მეთქი!

ვიმეორებ მიმართვის ტექსტს! –

„ამ მოთხოვნით, ირაკლი ოქრუაშვილსა და თბილისის მთავარ პროკურორს კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ მიმართა – მათივე თხოვნით, პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭო მწერალთა კავშირის ქონებას აუდიტს ჩაუტარებს. მოკვლევა-შესწავლა, საფარაუდოდ, 20 დღეში დასრულდება და არსებობს ალბათობა, რომ საზოგადოება კიდევ ერთი „ტელე-დაპატიმრების“ თვითმხილველი გახდება...“

ეჰ, მაყვალა, მაყვალა! – „ვინც კარგად გიცნობს, გაიღივებს: დიდი სრუაო!..“ განვავრძობ, თხრობა!

სხვას, ჩემს ადგილას, ალბათ, შეეშინებოდა, მე კიდევ გულუშიმრად შევძახებ – „ისე აშენდი შენ, გაზეთო „ქრონიკავ“, მე ამ გიჟებს თავი არ დავაპატიმრებინო-მეთქი!..“

თუმცა, ამ კარგ გაზეთს რას ვერჩოდი, მით უმეტეს, მადლობელი უნდა ვყოფილიყავი – ჩემი მომჩივნები უფრო დანერვილებით დამიკონკრეტა!

„გაზეთი ქრონიკა“ სანდო წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ თამაზ ნიჟიძის დაჭერის მოთხოვნით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსულმა ახალმა თაობამ მიმართა ირაკლი ოქრუაშვილსა და თბილისის მთავარ პროკურორს!..“

სწორედპირაო მეტყველია ქალბატონო მაყვალა! რასაკვირველია „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა ახალ თაობაში“ აუცილებლად თქვენ და ოთარაშვილი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან, იმ დროისთვის, რეზო მიშველაძე 60 წელს იყო გადაცილებული, ხოლო რეზო ჭეიშვილი – 70!

რა ვუქნათ, ახლა, ძვირფასო მაყვალა, ისევე, „პირველ ჩვენებს“ დაანებებით თუ გამოტყდებით და მორცხვად დახრით თავს დაბლა?

არადა, თქვე მართლა საცოდავებო, რამდენი გირბენიათ ამ ქუჩა-ქუჩა და შენობიდან შენობაში – ჩემს დასაჭერად!


„დაახლოებით, 10 დღის წინათ, კონტროლის პალატას მივმართეთ, მაგრამ სამწუხაროდ, კონტროლის პალატას თავმჯდომარე არ ჰყავს და მწერალთა კავშირში შემოსვლას ვერ ახერხებს...“

ღმერთო, რატომ არ მოეკვდები ახლა!.. რა ტყუილუბრალოდ გარჯილხართ და შენუხებულხართ, ქალბატონო მაყვალა და ვაჟბატონო ვაჟა! – არადა, რაკი ისინი ვერ ახერხებენ შემოსვლას, არ შეიძლება მე თვითონ რომ ჩამაბათ ღვლეჭი კისერში და პირდაპირ იქ მიმიყვანოთ?!

თუმცა ასეთ საქმეებში თქვენ ჩემი სწავლება რად გინდათ, მერე, მერე? მარტო კონტროლის პალატის იმედზე როგორ იქნებოდით, ამით გარდა, სხვა მაკონტროლებელი და დამჭერი ორგანიზაციები არ გაგხსენებიათ? სხვებთან არავისთან გილაპარაკიათ?!

„ასევე გენპროკურორსა და ქალაქის მთავარ პროკურორსაც ველაპარაკეთ. ამ დღეებში მათ იმ ქონებრივი და ფინანსური ლაფსუსების დოკუმენტაციას მივანვიდით, რაც მწერალთა კავშირში ხდებოდა...“

ესეც ძალიან კარგია, ბატონებო! მაგრამ მე რომ თქვენი მუყაითობის ამბავი ვიცი, რასაკვირველია, ამასაც არ დასჯერდებოდით, დამატებით კიდევ რა მოიმოქმედეთ?!



„წერილით პარლამენტთან არსებულ აუდიტორულ საბჭოსაც მივმართეთ, რომ აუდიტი გამოგვიყოს და მწერალთა კავშირის ქონების შეფასება და აღწერა მოხდეს...“

აი, ეს უკვე მესმის, კარგია! ქალბატონო მაყვალა და ბატონო ვაჟა, თქვენს ხელთ არსებული თითქმის ყველა საშუალება გამოვიყენებიათ, ჩვენი ძვირფასი საზოგადოება კიდევ ერთი „ტელე-დაპატიმრების“ თვითმხილველი რომ გაგხვდათ, მაგრამ თუ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეთ, რა თქვენი ბრალია, ეტყობა, რაღაც ილბიან ვარსკვლავზე მე თვითონ ვარ დაბადებული და, ამის გარდა, როგორც მთელმა ქვეყანამ იცის – მუდამ მთის ბროლივით სუფთა კაცი ვარ!..

არ მითხრა, ახლა მაყვალა, ამას მარტო ოთარაშვილი აკეთებდა, ჩემგან რა გინდაო! გოგო! ეს ოთარაშვილი კი არის სულელი, მაგრამ, არა მგონია, მთლად იმდენად იყოს, საკუთარ თავს ყოველთვის მრავლობით რიცხვში რომ ელაპარაკებოდეს, მაგალითად, ასე: „მივმართეთ!“ „ველაპარაკეთ!“ „შემოვიყვანეთ!..“

კი, მაყვალა! აქ მეორე და თანხლებ პირად, მხოლოდ თქვენ გგულისხმობთ!..

როგორც ზემოთ ვთქვი, მე კი ვარ ილბიან ვარსკვლავზე დაბადებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედს არც თავმჯდომარე ქალბატონი ემდურის – „2014 წლის ყრილობაზე თავმჯდომარის პოსტზე კენჭისყრას არ ვაპირებ, მაგრამ თუ დავაპირებ – გავიმარჯვებ!“

შენს ოპტიმიზმს ვენაცვალე, მაყვალა! ოღონდ გოგო, რაც ახლა თქვი, ამას სხვა დროს ნუ გაიმეორებ, თორემ შენი კოლეგები არ გააპატიებენ!..

აგერ ახლა არ იყო, მაყვალა? 306 მწერლიდან არც ერთმა – ერთი ხმაც არ მოგცა?! და, შენი ჭკუით, ახლა აპირებ მწერალთა კავშირის გადაგუთვნას?! ღმერთმა გისმინოს!

ოღონდ, ერთ რამეში მეც უნდა გამარკვიოთ, ქალბატონო მაყვალა!

ამბობთ, „მერანის“ გაყიდვით რომ მწერალთა კავშირში ერთ მილიონამდე დოლარი შემოვიდა, აქედან 400 ათასი სამსართულიანი შენობა შევიძინეთ, მაგრამ წიგნივადე უმძიმესი შემოვიტყვევებოდა დაგვიტოვა და დანარჩენი 700 000 მარტო დენისა და წყლის ვალები გადავიხადეთო!

როცა რაღაცას წერ, ცოტა მაინც დაფიქრდი, ქალო!

ჩემი თავმჯდომარეობის 7 წლის მანძილზე საქართველოს ჰესებსა და თბოელექტროსადგურებს საერთოდ არ გამოუმუშავებათ 700 000 ათასი დოლარის პროდუქცია!

არადა, მწერალთა კავშირის ოთახებში ანთებული ორი თუ სამი ნათურა, როგორ დანავდა ამ რაოდენობის ელექტროენერგიას?! და, ახლა თქვენი მთავარი სიცრუეც ვთქვით!

ჩემს დროს მწერალთა კავშირი ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, დენისა და წყლის ფულს სახელმწიფო იხდიდა და, აქედან გამომდინარე – ერთი თეთრი რაა, იმის ვალიც კი არ მქონია!..

რა დედამ გშობა ასე მეტყვილია, მაყვალა?!

და იქდა ქალი იგი ჩრდილსა გაყვლოვანსა და იყო... ურიალ მუხსარი

ნარილი მორა

ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ინტერვიუს. ალბათ, უპირაინი იქნებოდა, „მიგვესვა“ ნიკა რურუაძე მერაბიშვილის გვერდით, მიგვეცა შენი და ვაჟიკო თათარაშვილის ქართული მწერლების ხარკზე გამოცემული საკმაოდ სქელტანიანი და „ქვირადლირებული“ (გვულისხმობთ პოლიგრაფიულ ფასს!) ნიგნები და, როცა რამდენიმე „ნაღ“ სტრიქონს იპოვინდა შიგ (რაც ნამდვილად გვეჭყვება!), მოგვეცო მისთვის „ზეპირი და გამოცდა“, გამოგვევა და ისიც „მწერალთა კავშირის“ ნევრად გაგვეხადა!

რა კარგი იქნებოდა!.. ნაციონალური მოძრაობის „ცნობილ“ ექსპერტ „თავთხელიძესაც“ შემურდებოდა, შიგაშიგ ისე საიმედოდ იცავ ქართველი ხალხის ისტორიის ამ შავნელი პერიოდის შემქმნელთა „უმნიკლო“ სახელოს და დამოკიდებულებას!

არც ქაცარავა და გვიწყობა – თბილისის მერიის ფულადი ფონდის მთლად „მეპატრონე და განმკარავი“ და პირადად თქვენი და ვაჟიკო თათარაშვილის დამფინანსებელი! მოგვეყავს ციტატა თქვენი ინტერვიუდან: „იქ არიან (იგულისხმება თბილისის მერია – ა. ჩ.) ისეთი ადამიანები, როგორც არის მაგალითად, მამუკა ქაცარავა, რომელიც კულტურის წარმომადგენლების მიმართ ყურადღებით გამოიჩინოდა. მას გულთან ახლოს მიჰქონდა ჩვენი გასაჭირი“.

ეს თქვენი – ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა მიმართ გამოიჩინოდა „ყურადღებით“ „ქველმოქმედი“ ქაცარავა, თორემ რაღაც არ გვახსოვს, ჩვენი გასაჭირიც მიტანა ასე ახლოს – „გულთან“!

რატომღაც, „გონივრული ეჭვი“ გვაქვს, რომ მალე ქაცარავაც და უგულავაც მიუსხედებიან ვანოს გვერდით (მათაც შეგიძლია გაატანო შენი და ვაჟიკოს „ჩრეულნი“) და, როცა „მატროსოვის ციხიდან“ წკუადამდგარ-დაღვინებული გამოვლენ, ისინიც მიიღონ მწერალთა კავშირში!

ისე, შე კაი ქალი! სამადაშვილი რატომ გამოგრაჩა? ისიც ცოტას გასმევდათ და გაჭმევდათ? არ ვარგა ასეთი უმადურობა!

მერე რა, რომ მწერალთა კავშირის ნევრია, მასაც არ უსადავო ტვინი ისე, რომ ეანოსთან ერთად „აი ია“ არ გაიმეოროს!

სამაგიეროდ, არ „დაგვიწყობა“ ლესბოსელთა და ჰომოსექსუალობა დაცვა!

– განათლებული საზოგადოება ქვეყნის ლამაზარია!“ – გვმოდერავს მაცვალა.

– 17 მაისის აქციის შეფასებისას, ხშირად ისმობდა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი განათლებულობა იყო!“ – ტოლს არ უდებს „კორესპონდენტიც“, რომელსაც ალაგა-ალაგ ეტყობა, რომ ნაციონალური ბანდის მიმართ ისიც ვერაა მთლად გულგრილი.

კვლავ მაცვალა: „– მე ძალიან გამაღიზიანა იმ აქციის პროპაგანდამ და საზოგადოების აგრესიამ“... რამ გაგაღიზიანა, ქალბატონო თავმჯდომარე, იმან ხომ არა, ეს „ქალ-კაცები“ და „კაც-ქალები“ თავიანთი ქუჩყინი საცვლებს რუსთაველის პროსპექტზე პირდაპირ ცხვირში რომ სწრიდნენ ქართველ ხალხს და თქვენ, ნორმალურ რეაქციას „საზოგადოების აგრესიად“ მიიჩნევენ?

რა ექნათ, ქალბატონო, ჩვენ ასეთი „გაუნათლებელი“ საზოგადოება გვყავს და ვამაყობთ კიდევ ამით!

ისე, კაი რჩევას მოგცემთ: რაში გჭირდებათ საქართველოს სხვადასხვა რაიონში რომ დარბიხართ კავშირის რიგების შესავსებად, აგერ არ არიან ლესბოსელ-ჰომოსექსუალები?.. გაანვერიათ ისინიც და ნაღდად გეტყვიან: მშვენიერი დახლი დაგიდგებათ!

თუ თქვენ მომეხება გაგიხედდათ, მიმართეთ მწერალთა სახლის ამჟამინდელ „დირექტორ-მანდატურ“ ნატა ლომოურს და იმდენ ნევრს შეგმატებთ, პირდაპირ გაგიკვირდებათ!

ტყუილად კი არ არის ის გოგო იქ „გამწესებული“ და ტყუილად კი არ იცავს ასე გამწარებული და ხმაღამოდებული ლესბოსელ-ჰომოსექსუალობა (ცოტათი... მოცულქო მოძრაობას! ქალბატონო მაცვალა!

გვეჯერა, რომ თქვენგან ნაციონალური ხროვის ნევრთა და „მოცულქო მოძრაობების“ დაცვა, „უკვალოდ“ არ ჩაივლის და მაშინ რაღაზე იკლავთ თავს – ფული მაგათ იმდენი აქვთ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ კაი ექვსი ათასი მწერალთა კავშირის დაფინანსებას ეყოფა, ადგილი და შექმენით ახალი ლიტერატურულ-ჩახუტებული გაერთიანება: – „მწერალთა კავშირი – ნაციონალური მოძრაობა“ (მაინც ეტყობათ, ეგენი

„ნერას“ ჰყავს აყვანილი და მალე აპირებენ დაბრუნებას).

ჰოდა, დაელოდეთ!

ჩვენ, ხომ ხედავთ აგერ, შევექმენით საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია – სრულიად განსხვავებული მიზნებითა და ამოცანებით – და ამის შესახებ, ვაუწყებთ და ავუხსენით კიდევაც თქვენგან დაწუნებულ, „გაუნათლებელ“ საზოგადოებას.

თქვენი გული კი მაინც ვერ მოვიგეთ!.. ვერ დაგაჯერეთ!.. ეეჰ!

ამას გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ (2013 წ. 6 ივნისი) გამოქვეყნებული ინტერვიუც გვიდასტურებს: „...დავიჯერებდი, თუკი ბატონი თამაზი და ეს გუნდი საუკეთესოების არჩევას დაინებდა“... „– ეს გუნდი ვინაა? –“ გეკითხებათ კორესპონდენტი. „– მაგალითად, ავთო ჩხაიძე, კობა არაბული... ისეთი სახეებიც არიან, რომლებიც თავის დროზე მწერალთა კავშირში არ მივიღე, რადგან მათი მიღება არ შეიძლებოდა“... ნამეტანი ხომ არ მოგდის, დაიკო მაცვალა?

შენ კი არ უნდა „მიგელო თავის დროზე“ ისინი მწერალთა კავშირში, არამედ... გამგებობას და არც შენი და ვაჟიკოს (საეჭვო ლიტერატურული გამოგონების მქონე პიროვნებების!) გადასახვეტი იყო, შეიძლებოდა თუ არა მათი მიღება-არმიღება!

ასე რომ წვეტდით, ერთპიროვნულად – ხან მიიღებდით, ხან გაუშვებდით, ხან გარიცხავდით და ახლაც მგონი გარიცხვას გვიპირებთ – ამიტომაცაა ასე კარგად საქმე!

და ერთიც: ვინ მოგცა იმის უფლება, რომ უპატივცემულად იხსენიებ ქართული მწერლობის მემკვიდრეებს, უსაყვარლეს შემოქმედს – ბატონ რეზო კვერციანიჩილას?

თუნდაც, გენო კალანდას!.. რაც შეეხება „თამაზის გუნდს“, თქვენგან განსხვავებით, რამდენიმე ასულ ცნობილ და ჭეშმარიტ, ქართული სულით ანთებულ, სუფთა სინდისის მქონე ჩალბატონებს!

რაც შეეხება მე – შენს მონა-მორჩილს, ერთ-ერთი უკანასკნელი, უბრალო და გიჟი მიკავია და მეტის პრეტენზია არცაა მაქვს.

აქვე ჩამოგივლი ამ გუნდის რამდენიმე ცნობილ სახელსაც: რეზო ამამუკელი, ელიზბარ ჯავდელი, ანზორ აბულაძევილი, ემზარ კვიციანიძე, დოდო ხიმშიაშვილი, ჯემალ დაგლიანიძე, ზაურ კალანდა, გური ოტობაია, ლალი ბრეგვაძე-კახიანი, ტარიელ ხარხელაური, ალექო გაბელია, ნინო ქუთათელაძე, თემურ ჩალბატონი, ლალი ჯავარაშვილი და მრავალი სხვა.

მაპატიეთ, თუკი ყველას დასახელებას ვერ გახერხებ.

ისე, დაიკო მაცვალა, რომელიმე მათგანი ხომ არ გეცნო?

რა ექნათ, თუკი ასეთი „საუკეთესოები“- (შენგან დაწუნებული!) ამოუდგა ერთმანეთს გვერდში, იმ ერთადერთი ფიქრითა და დარდით, რომ როგორმე გადაარჩინონ იაგარქმინილი ქართული მწერლობა!

მოდი, ახლა კი მთავარს მივადგეთ: ამ ორი – ერთმანეთთან საოცრად „დაკავშირებული“ ინტერვიუს მზაკვრული ჩანაფიქრის გამოფერას შევეცადოთ: „– სხვათა შორის, დამირეკეს და ისიც მიითხრეს, რომ ყველაფერი ამის უკან პოლიტიკური ძალები დგანან!“ – აცხადებთ ამჟამად. „– მაინც რომელი პოლიტიკური ძალა?“ – „არ იბნევა“ კორესპონდენტი ვ. პავლიაშვილიც.

და იქვე, ოდნავ „დამორცხვებული“ პასუხიც უნდა გეკეთ: „– თითქოს უფრო რუსეთისკენ მიმართული...“ – ალექსანდრე ებრაღიძე? „– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე მწერალმა დამირეკა და მითხრა, ფრთხილად იყავი, რადგან ეს მაინც პოლიტიკური თამაშია და არა – მწერლური“... აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!

არ გეცნობა, ძვირფასო მკითხველო, ნაციონალისტების ხელნერა?

არადა, როგორ ჰგავს! ამოიღებდი ხმას ქართული მინა-წყლის, ერის, ეროვნების, მისი უდიდესი კულტურის დასაცავად და წყული ნაციონალის (რომელთა უმეტესობა არაქართული გენისაა და დღესაც, რატომღაც, არ გვსურს ამის აღიარება) უმაღლე რუსეთისკენ გადაგვამისამართებდნენ – აი, შე რუსეთიშვი, შენაო!

საკუთარ ენას, საკუთარ „მეობას“, საკუთარ გვარ-სახელს და ჯიშ-ჯილაგს (მაგათი ჯიშში და ჯილაგშიც! – ა. ჩ.) თუ გადაეფარებოდი, გზა ისევ რუსეთისკენ გადიოდა!

თუ ნაციონალის და მათი „სოროელი“ ძმაცკები (ახლა რომ ბატონი ბიძინას თბილისი კალთის ქვეშ შეყუჟულან) ილიას, აკა-

კის, ვაჟას... მწერლებად არ შეგირაცხავდნენ, თუკი მამულის სიყვარულს... საუკუნეების მიღმანდელ გადმონამთად ჩაგითვლიდნენ ან იმით იამაყებდნენ რომ „ქართული პატრიოტიზმი“, თურმე, მხოლოდ ქართულ ეკლესიასა და მის მრევლშია შემორჩენილი და, იმასაც მალე ამოვძირკვავთ, როცა საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის სწავლებას სკოლებიდან ამოგიღებდნენ, როცა ქართულ ენას შეგირყვინდნენ და ყველაფერი ამაზე გამწარებული და სასონარკვეთილი ამოიბღავებდნენ, უმაღლე რუსეთისკენ გამოგინერდნენ საგზურს!.. და შენც, მაცვალავ?

ბრუტუსსაც კი შერცხვებოდა ამგვარი საქციელის!

მაგრამ, მიზანი მიღწეულია – როგორმე ხომ უნდა მოგეცხო ჩირქი!

ქართველი ხალხი თავად განსჯის: ვინ ვინ იყო და ვინ ვინ არის!

რაც შეეხება ბატონ ალექსანდრე ებრაღიძეს!

რადგან „სხვათაშორის დაგირეკეს და თანაც რამდენიმე მწერალმა“ (ეტყობა თქვენი „სკოტლანდ-იარლი“ კარგად მუშაობს“) იქნებ, ჩვენც გავგანდო ეს ინფორმაცია და აგვიხსნა: სად, როდის, როგორ ან რა მიზნით დაგვიხმარა ბატონი ალექსანდრე? თორემ, შე კაი ქალი, გავწყდით ნელში!

ალარ შეუძლია თამაზ ნივინიძეს და მის კეთილშობილ დაიას ნასესხები ფულით თავის დროზე აკრძალული და ამჟამად მკვდრით აღდგენილი „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემა.

იქნებ გგონია, რომ შენსავით წყალობდნენ ნაციონალური ბატონ თამაზს სხვადასხვა „საქველმოქმედო ფონდებიდან“!.. სხვათა შორის, ამას „დამსახურება“ სჭირდება და მან ეს ვერ „შეიგნო“! თუქ, მაგას!

ის კი არაა და, ქუჩაში ღამით გამოსვლის „ემინოდა“, ემანდ საიდანმე აგური არ მბეთქონ თავში!..

ალარ შეუძლია კობა არაბულს უღამაზესი და უნიჭიერესი ქალიშვილის ოპერაციის და მკურნალობის ხარჯების გაღება!

ალარ შეუძლია ალექო გაბელიას სულ მუდამ უცხო ქვეყნებში ცხოვრება და საკუთარი ნაწარმოებების კაპიკებად გაყიდვა, რომ საღამოჟამს ერთი პური მაინც მიუტანოს ცოლ-შვილს!

ოდნავ მაინც არ შეგიტოვდა გული, დაიკო მაცვალა?

დიხს, ასეც ხდება, ძვირფასო!

იმის გამო, რომ თავისი რომანები ვერსად დაბეჭდა, იძულებული გახდა გაეყიდა.. (რომლებიც სხვათა სახელით არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც გამოიცა და საკმაო გამოხმაურებაც მოჰყვა).

იცო, რას ნიშნავს ეს მწერლისთვის? იმას, რომ ღვიძლი შვილი მოიკვეთო და გაასხვისო!

უამრავი ქართველი მწერალი უარეს დღეშია!

ზოგიც ისე კვდება, რომ ოჯახს დასამარბი ფულიც არა აქვს.

ზოგსაც, თქვენი მწერალთა კავშირი „სიკვდილის შემდგომ“ ანიჭებს სხვადასხვა ცნობილ მწერალთა სახელობის პრემიას და იმის დარდიც არა აქვს, ისედაც შეჭირვებულ ოჯახს ორიოდ ღარიტ შეენიოს.

ხომ არ გეცნო?

გაგახსენებ!

იმედი ჯახუას, გარდაცვალების შემდეგ, ტერნტი გრანელის სახელობის პრემია მიენიჭა.

ან მე არ ვიცი, ან სიტყვა „პრემია“, მგონი, თანხობრივ ანაზღაურებასაც უნდა ნიშნავდეს! არადა, იმედ ჯახუას ოჯახს ერთი თეთრიც არ მიუღია, გარდა ფარატინა ქალაქისა! გადაარქვით მაშინ სახელი ამ ჯილდოებს და „უფული პრემიები“ უწოდეთ.

ისე კი, მგონი, „ქაცარავას ფონდიც“ გაძღვდა ამისთვის შესაბამის თანხებს!.. თუ ეს ასე არაა, დაგვიმტკიცეთ: გამოაქვეყნეთ თქვენი „საპრემიო-საღაურებლო“ ხარჯთაღრიცხვა და ერთად გავერკვიოთ სიმართლები.

ახლა კი, დავუბრუნდეთ ალექსანდრე ებრაღიძის თემას.

ისე შევტოპეთ, რომ კინაღამ დაგვაინყვდა – სიკვდილსაც დაგვიწყობხართ ბატონო ალექსანდრე!..

ისიც კი ისე „თავმდაბლურად გაყურდა“ ჩვენი ნერლის ფურცლებზე, რომ ლამისაა „პოვნაც“ გაგვიჭირდა.

ბატონო ალექსანდრე!

ანი ასე უნდა დაგვემალებით!

თუკი მართლა დაგვეხმარეთ და ჩვენ არაფერი ვიცით, თქვენ ავაშენოთ ღმერთმა!

მართალია, ჯერ ანგარიში არ გვაქვს გახსნილი, მაგრამ მალე გავხსნით!

ხომ ხედავთ, შეგჭამა ამ ქალმა და მისმა ანონიმმა „ზარისმრეკავებმა“ და ძალიან გთხოვთ, ნუ გაანბლებთ!

ისე კი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის შექმნით დიდ, ეროვნულ, მამულიშვილურ საქმეს ჩაეყარა საფუძველი და თქვენი თანადგომა დიხსაც, ძალიან გვეჭირდება!..

რაც შეეხება აზრს „საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ წარმატებულ ქართველთა“ შესახებ, ეს ნაციონალისტების და არავის ჭუჭყიანი ერთი ნასაკითხი არაა!

ისინი ცხოვრებამ აიძულა ან აიძულეს წასულიყვნენ საქართველოდან.

და თუ რამეს მაიღწიეს, ღმერთმა ხელი მოუშარათო!

მათ არა მარტო სხვებზე უფრო მეტად უყვართ სამშობლო, არამედ თავიანთი საქციელით ამტკიცებდნენ და კვლავაც დაამტკიცებენ ამას.

ჩვენც და ისინიც არავისკენ „ვიციქობით“, რადგანაც ყველანი „ბედკრული საქართველოს შვილები“ ვართ!

და შენც კარგად უნდა დაფიქრდე, დაიკო მაცვალა, – კაი „მსუქანი დედლა“ ნაციონალიზმით რომ აკერებ აქეთ-იქით იარლიყებს! რალაცისაგან დამფრთხალი და შემინებული ადამიანის ფართხაფურთხს ხომ არ ჩამოჰგავს ყოველივე?

ანდაც, იქით შევდავე და... თავს დაგანებებენო!

არა, ჩემო დაიკო, ასე იოლად ვერავინ შეგეღვება!

ის ახალგაზრდა, შენგან „შემოლანძული“ ახალგაზრდა მწერლები, ყველგან რომ უყვართ „ცხვირის ჩაყოფა“, ვითომ ამ „სიამოვნებას“ მოიკლებენ?

რალაც არ გვეგონია!

არადა, არა მარტო მათ, არამედ ჩვენც რამდენი პასუხგაუცემელი შეკითხვა გვაქვს დაგროვილი თქვენი ცხრანლიანი „მოღვაწეობის“ ფინანსურ მხარეებთან დაკავშირებით!

შენს ადგილას ცოტა მოკრძალებული გავხედობდი!

რას გთხოვდით ისეთს, შე დალოცვილი? – მოვიხვით მწერალთა კავშირისა და ეროვნული აკადემიის რიგგარეშე ყრილობა და იქ გადამწყდეს ყველაფერი; დაე, თავად მწერლებმა აირჩიონ თავიანთი მომავალი, განსაზღვრონ საკუთარი ბედი და მიზანმართულობა-თქო!

შენ კი ადგილი და ტლინკები ჰყარე, მერე სააკაშვილივით ერთი წელი თვითნებურად გაიხანგრძლივე – თქვენ ვინ გეკითხებათო! გვეკითხება, ძვირფასო, გვეკითხება!.. ანუ შენც ბევრი რამ მო-გეკითხება!..

ამ ინტერვიუების გაცნობისას, ერთი მტკივნეული შეკითხვაც გაგვიჩნდა: ფსიქოთერაპევტთან რამდენი ხანია ალარ ყოფილხარ?

მოგვეყავს ნანწყიკები ერთ-ერთი შენი ინტერვიუდან: „... როცა სამასს კი არა, ას მხარდამჭერსაც ვერ მოაგროვებ, მთავარი პირის ჩაქოლვა და მოკვლა უნდა დაიწყოს.“ – ანუ, ყველაფერი ამის მიზანი თქვენი ჩაქოლვაა?

– ასე გამოდის!..“

„...ასე იყო 1937 წელსაც... ადამიანი მკვლელობისთვის და კი არ კვდება, არამედ მიიძინებს ხოლმე და საკმარისია, პატარა საშუალება მიეცეს და ისევე ფეთქდება. 90-იან წლებში, ქუჩებში მკვლელები რომ დადიოდნენ, მათ სულ ვეძებ, სად წავიდნენ? – არსად წასულან, ჩვენთან არიან, უბრალოდ მომენტს ეძებენ და ეს მომენტი რომ დადგება, აუცილებლად მოგკლავენ!“

– მოკლედ, პრობლემა მაცვალა გონაშვილია?

– ამ შემთხვევაში, მე ვარ სამიზნი!..“

ერიკაა!

დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიგვინდვი!

„... ცხრა წელი ჯოჯოხეთში გავატარე!“ – აღნიშნავთ ერთგან.

კი, მაგრამ შე კაი დემდამისშვილო, მან-ზოხისტი ხომ არ ხარ, თავს ასე რომ ინვალებ და, ლამისაა, ჩვენც აგვაქციოთო!

იქვე, ქვემოთ კი, მართლაც, ძალიან გვაცოდებთ თავს:

„... როგორც ხელოვანმა, ძალიან ვიზარალე – ცოტაა ვწერ, თან მხოლოდ მწერალი კი არა, დედაც ვარ!..“

როგორც ხელოვანმა, არ გვეჯერა, რომ ძალიან „იზარალე“, ხოლო როგორც სისხლის სამართლის ფიზიკურმა პირმა – შენს ფეშენებელურ სახლებსა და აგარაკებს რომ გავხედოთ, პირიქით გვეგონია!

და თუ მართლა დედა ხარ და შვილზე ზრუნავ, ერთხელაც ხომ არ უნდა შემოგტეროს „ცხრა წელი დედის ტანჯვა-ვაებით“ გამწარებულმა პირმშომ:

„დედა-შვილობას ბევრს არა გთხოვ, მორჩი და... მოისვენეო!“



შენ გაიხარე, თამაზ ნივნივაძე! ანუ რატომ არ გაემოწმებო „ლიტერატურული საქართველო“



პეტრე-პავლობა ისეთი უნდა, მე რომ გამოთენდა ამა წლის 12 ივლისს! დილაადრიან, ტრადიციულად, გავეშურე „ლიტერატურული საქართველო“ შესაძენად და როგორც კი პირველ გვერდს დავხედე, უმაღლესი გრიგოლ ორბელიანის ეს ცნობილი ფრაზა აღმოჩნდა, ალექსანდრე ყაზბეგის ნაკითხვის შემდეგ რომ წამოიძახა პოეტმა... მერე იქვე ჩამოვჯექი და რას ნახავ უკეთესს – ეს ჩემი ციფრით სავერე რევაზ მიშველაძე ჩოქბეგში არ გადაუყვანია თამაზ ნივნივაძეს! მაგრამ ეს რაა, ბატონო თამაზ, ჩოქბეგსაც თავისი წესები აქვს და ნამეტანს წუ იზამთ ახლა. ხომ ხედავთ, ისედაც ძლივს დალასლასებს ეს ღვთის გლაზა, ესა! პირველი გვერდის შემდეგ უნდა შეეშვათ და ფეხზე წამოდგეს, ასეთია წესი, ბატონო თამაზ, წესი! ამასთან, როცა ხალიჩიდან გარბის, ნულარ გაეკიდები – ხალიჩის გარეთ რაც არ უნდა მოხდენილი ილეთი ჩაუტარო, ქულად არ ითვლება და რა ჯანდაბად გინდა. სხვა თუ არაფერი, მართლაც ხომ არ უნდა მოკლავ უბედური, მაინც ჩვენი თანამოქალაქია, ქუთაისელი.

არა, არა, ამას ვერ მოგიწონებთ, ბატონო თამაზ, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად ჩემს საქმეს აკეთებთ და, ღმერთმანი, ჩემზე უკეთესადაც.

ისე, არ გეგონათ, რომ მოსოლოდ თქვენ გამოგაცხადათ გიჟად. უფრო მეტსაც გეტყვით, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარი შეღავათიც კი გაგინათ, როცა პირდაპირ კი არ ჩაგვიშვებთ, სადაც ჯერ არს, არამედ საგანგებოდ გამოგონა არარსებული ორგანიზაცია („საქართველოს ფსიქოლოგიური ცენტრი“), რომელსაც, ვითომ თქვენს შესაძენებლად

(გნახა, რა ჩიტი!), სთხოვს, ნივნივაძე სერიოზულად არის ავად და დაინტერესდით მისი ჯანმრთელობით... (აბა, რა გეგონათ, ბატონო თამაზ, ჯერ რომ მიაჩვიეთ და მერე მიაკვლით – ამდენ ხანს ნობელის პრემია არ უნდა გაგეჩლიჩებინათ მისთვის?!).

აი, ჩემს შემთხვევაში კი, ადგა და პირდაპირ მიწერა თბილისის საქალაქო სასამართლოს (ყოველი შემთხვევისთვის, ასლს, ე.წ. დანართის სახით, გამოგიგზავნით) გასული წლის 21 აპრილს: „ბატონო მოსამართლე, გთხოვთ შუამდგომლობას (ხაზი ჩემია. გ. დ.), რათა გ. დოლიძეს ჩაუტარდეს ყოველმხრივი (მათ შორის ფსიქიატრიული), სამედიცინო შემოწმება...“.

ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ ასეთი ქართული მეტყველებების სოსო სიგუას მიერ გამოჩენილი „ცოცხალი კლასიკოსი“. რომელი მოსამართლე მისცემდა ასეთ შუამდგომლობას, საერთოდ რა მოსამართლის საქმეა ასეთი შუამდგომლობის გაცემა და დარჩა ეს ჩვენი „ცოცხალი კლასიკოსი“ პირში ჩალაგამოვლებული. ჰოდა, ახლა სხვა მხრივ მოუარა მოსამართლეს, ეგებ რამე გამოვიდესო:

„ამასწინათ („ამასწინათ“, „არცერთი“ თუ „მითუმეტეს“ ცალ-ცალკე იწერება, „ცოცხალი კლასიკოსი!“ – გ. დ.) გ. დოლიძემ თვითნებურად გამოაცხადა თავი ჩოხოსანთა კავშირის (არც ასეთი კავშირი არსებობს, სხვათა შორის – გ. დ.) ხელმძღვანელად და პირველობის დაუოკებელი ყინით ანთებულმა კინალამ დაშლამდე მიყვანა ეს სახელოვანი გაერთიანება...“

და რაკი აქ უკვე ფაქტობრივი გარემოებები გამოიკვეთა, ველარ მოითმინა და

რემარკის სახით ჩაისისინა: „გთხოვთ, დაკითხოთ ჩოხოსნები“...

ცხადია, აქაც ჩაფლავდა „ცოცხალი კლასიკოსი“. მის პრუტუნზე უკვე მეორე წელია, არც სასამართლოს მესვეურები რეაგირებენ და, მითუმეტეს, არც ჩოხოსნები (ყოველივე ამაზე, ცხადია, სასამართლოში მოუწევს მოცუნცულება „ცოცხალი კლასიკოსი“, როგორც კი ქვეყანა დალაგდება და ეს დროც, ღვთის წყალობით, მალე დადგება!).

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოვიწერე „ლიტერატურული საქართველო“, მოგახსენებთ, რომ მაგის ნერვები სად მაქვს გურულ კაცს?! გამოვიწერო და მერე სახლში ვუცადო, ფოსტა როდის მომიტანს?! პარასკეობით, ტრადიციულად, დილიდანვე გავრბივარ რესპუბლიკური საავადმყოფოს საგაზეთო ჯიხურისკენ და 9 საათისთვის უკვე „ვგულაობ“ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, მითუმეტეს, ახლა, როცა ასეთ საამო დღეებს გვპირდება ბატონი თამაზი „ასავალ-დასავალთან“ და „რაო-რაოსთან“ ერთად.

მავანი იტყვის, როდის გაირბინა თქვენ შორის შავმა კატამ, რ. მიშველაძე ინტერვიუს ისე არ იწყებდა, ქებით ცაში რომ არ აეყვანეთო და მართალიც იქნება. ასე იყო ნამდვილად, მაგრამ მერე რომანი გამოსცა („ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“), დიდი ამბით მაჩუქა და სულ მახსენებდა ხოლმე, ნაიკითხე, ნაიკითხე; მეც ვამშვიდებდი, ვკითხულობ, ვკითხულობ-მეთქი. თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი ტემპი მას არ აკმაყოფილებდა და ბოლოს დამმოდღვრა, ეს ისეთი რომანია, ამხანაგო, სულ სტრიქონ-სტრიქონ უნდა იკითხოო. მეც ავდექი და სწორედ რომ სტრიქონ-სტრიქონ ნაიკითხე და გაოგნებულიც დავრჩი – ასე მოუშადადებლად ავტორისეული ხელნაწერი როგორ უნდა მიანოლო მკითხველს. რედაქტორისგან (ს. სიგუა)

გამიკვირდა ასეთი უპასუხისმგებლობა, თორემ რ. მიშველაძისგან ვის რა გაუკვირდება?! ჰოდა, მეც გულწრფელად და მართლაც სტრიქონ-სტრიქონ ჩამოვუნიკნიკე ჩემი შენიშვნები, თუმცა, არსად დამიბეჭდავს, პირადად მივართვი და, როგორც ჩანს, ძალიანაც მიეჭარე... ახტა-დახტა ეს ჩვენი „ცოცხალი კლასიკოსი“, ვიდაც კინოკრიტიკოსი, ისიც უკვე „ასაკობრივი მარაზმით“ (ზუსტად ასე მისწერა მოსამართლეს) შეპყრობილი, როგორ მიბედავს ამდენს რუსთაველის პრემიის ლაურეატსო... კი, ბატონო, თუ ასეა, იმ შენიშვნებსაც გამოვაქვეყნებ და საზოგადოებამ განსაჯოს, შეიძლება თუ არა ისე დასცინო მკითხველს, შეიძლება თუ არა ისეთი უპასუხისმგებლობა გამოიჩინო საზოგადოების მიმართ, როგორც ერთხელ კიდევ ითახებდეს რ. მიშველაძემ და ს.სიგუამ „ჩურჩულს გადაჩვეული კაცის“ გამოცემით?!

პროფ. გიორგი დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი

P.S. ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვარ „ლიტერატურული საქართველოს“ არა მარტო მკითხველი, არამედ ერთი მოკრძალებული ავტორიც და არასდროს ჩემი სტატია ტიტულებით არ გადამიტვირთია, ამჯერად კი საგანგებოდ მივანერე „პროფესორი“, რადგან რ. მიშველაძემ ისიც კი აუწყა მოსამართლეს, გ. დოლიძე პროფესორობიდან გადაირჩიესო – „ცოცხალმა კლასიკოსმა“ ნუთუ იმდენი არ უნდა იცოდეს, რომ ასეთი პროცედურა (პროფესორობიდან გადარჩევა) საერთოდ არ არსებობს.

რატომ არის მაყვალა გონაშვილი „ერთი უბედური მწერალი“ და ვინ არიან „მწერალუკები“?

ანზორ აბულაშვილი, პოეტი:

– მაყვალა გონაშვილი არის ერთი უბედური მწერალი, რომლის არც ნაწერს აგდებენ არაფრად და არც თავმჯდომარეობას. ეს ქალი ოღონდ მიუშვი და, ყველაფერს იკადრებს. ვერ გეტყვით, მისი გუნდიდან ვინ მეტი გაიტანა, მაგრამ ძარცვა-გლეჯა იყო, თანამშრომლები გარეკეს და მერე ვინ რას ინანილებდა, ვინ გაიგებდა მაგას?! მერე თვითონ დაერივნენ ერთმანეთს, შენ ბევრი შეჭამე და მე – ცოტათი.

ნივნივაძის ხელმძღვანელობის დროს მწერლებზე ზრუნავდნენ და დაფასება გვქონდა. თამაზი სულ სხვა კაცია. ათასობით ადამიანი მისი მადლიერი, მისი თანადგომისა და ხელგაშლილობის. რაც შეუძლია და როგორც შეუძლია, ამ გადატაცებული მწერლებისთვის თავს არ იზოგავს.

თამაზ ნივნივაძეს ძალიან ბევრმა ადამიანმა სთხოვა, დაუბრუნდი მწერალთა კავშირს, იქნებ რამე გვეშველოსო.

– მაგრამ მაყვალა გონაშვილი კანონიერად არჩეული თავმჯდომარეა. და თუ მწერლები წინააღმდეგი იყავით, როგორ მოხდა, რომ ის მწერალთა კავშირს 9 წელია ხელმძღვანელობს?

– ღმერთმა იცის, კანონიერად არჩეულია თუ არა. როგორ მოხდა და თვითნებურად, თავმჯდომარეობის ვად 3-დან 5 წლამდე გაზარდა და როცა მესამედ იყარა კენჭი, აღშფოთებული ავედი სცენაზე და ვთქვი, რას შერებთ, ხალხო, ღმერთი არა გნამთ, სირცხვილი არ არის-მეთქი? მაგრამ ამის თქმას აზრი არ ჰქონდა იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში გონაშვილმა ირგვლივ უამრავი წერა-კითხვის ასე თუ ისე მცოდნე ხალხი შემოიკრიბა, რომლებიც თავს დავალებულად გრძნობენ მისგან და ეს „მწერალუკები“ ყველაფერზე ხელს უწყვენ. შეიძლება, სხვა მეტადაა დამნაშავე, ვიდრე გონაშვილი, მაგრამ ყველაფრის თავი და თავი მაინც თავმჯდომარეა, ის რომელ კარსაც გახსნის, ყველა იმ კარში გავა.

ესაუბრა ნონა ქარქაშიძე

ვინ არის ბუზისგან იალბუზის შექმნის დიდოსტატი და ვინ – ყველა დროის საცობი?

ალექო გაბელაია, მწერალი, პოეტი, ჟურნალ „კრიტიკის“ ყოფილი რედაქტორი:

– 2004 წელს ჩატარებული ყრილობა მწერალთა ყრილობა კი არა, ცირკი იყო, სადაც ოქმიც კი არ შემდგარა. „მერანიდან“ გაყიდული მწერალთა კავშირის წილი კი მაყვალა გონაშვილმა, ვაჟა ოთარაშვილმა, რეზო მიშველაძემ და მათმა დაჯგუფებამ „მემკვიდრეობად“ მიიღო. დაახლოებით მილიონნახევარი დოლარიდან 400 ათასად შენობა იყიდეს, დანარჩენს კი თვითონ დაერივნენ, როგორც მტაცებლები ნადავლს და გადაინანდლეს. გაყიდეს ყველაფერი აჭარაშიც, მათ შორის ის მიწაც, რომელიც პირადად თამაზ ნივნივაძეს მისცა ასლან აბაშიძემ პატივისცემის ნიშნად. „ოთუზობიად“ მიჰყიდეს ეს მიწა სომხებს და, სანაცვლოდ, სადღაც მივარდნილ ადგილზე იყიდეს გაცილებით ნაკლებ ფასად. დარჩენილი თანხით ქალბატონმა მაყვალამ თავისთვის კერძო სასტუმრო აიშენა. ეს არის სიმართლე და კიდევ აქეთ იშვერენ ხელს უსინდისოდ!

ძალიან ცუდია, რომ ქალბატონზე ასეთ რამეს ვამბობ, მაგრამ ეს ისეთი ქალია, ყველაფერს იკადრებს. შეჭამა მწერალთა კავშირი და თავს იმით ინონებს, რომ ჩემი ნივთები ჩავაბარე ლომბარდში, მწერლებისთვის ხელფასი რომ მიმეცაო.

საკავშირის მთავრობის დროს საფინანსო კომისია და პროკურატურა დეტალურად იძიებდა ამ საქმეს, ყველა საბუთი და ხელმოწერა ამოუქექეს თამაზს არაერთხელ. იცით სააკაშვილის მთავ-

რობასთან თამაზ ნივნივაძის დამოკიდებულება და როგორ ფიქრობთ, იოტისოდენა დარღვევაც რომ ეპოვათ, მთელ მის საგვარეულოს არ გადაასახლებდნენ?

მე და კობა არაბულმა ცხრაჯერ დავურეკეთ ქალბატონ მაყვალას, შესვედრას ვთხოვდით, რომ ყველაფერი მოლაპარაკების გზით დაგვესრულებინა. თვითონაც იცის, თავმჯდომარეობის ვადა რომ გასული აქვს. დაენიშნა ახალი ყრილობა და მოეცა ახალი არჩევანის საშუალება. თავიდან თითქოს თანახმა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, „კეთილისმსურველების“ რჩევა გაითვალისწინა და აღარ შეგვხვდა. ახლა ნაივდეს და რაც უნდა ის ქნას, სამარე თვითონ გაითხარა.

– „კეთილისმსურველებში“ ვის გულისხმობთ?

– უპირველესად, რეზო მიშველაძეს. ეს არის ერთი გასვრილი ღორი, რომელიც არ მოისვენებს, ვიდრე მილიონ ღორს არ გასვრის. მიშველაძე უსინდისო კაცია. ნოდარ დუმბაძიდან და ოტია პაჭკორიდან მოყოლებული, მას ყველა ახასიათებს, როგორც გველგესლა პიროვნებას, რომელიც შხამს და ყოველგვარ სიბინძურეს აფრქევს. მუდო და მულდი! იცით, რა არის მულიდი? – მიპარვით მკვლელობა. ეს კაცი, ყველაფერთან ერთად, ბუზისგან იალბუზის შექმნის დიდოსტატიცაა.

– ბატონო ალექო, დაპირისპირება უკვე წლებია, გრძელდება. როგორ ფიქრობთ, როდის შეიძლება დასრულდეს?

– დასამარხი უნდა დაიმარხოს და ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს თავისი სახელი დაერქ-

ვას. ეს ხალხი უნდა გასამართლდეს და გაირკვეს ყველაფერი. მაშინ ყველა მიხვდება, ვინ არის ნივნივაძე და ვინ – გონაშვილი.

ჩამოგითვლით და მოგიყვანთ კიდევ იმ ადამიანებს, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს, მაგრამ არაფერი გადაუხადეს. გაჩვენებთ იმ ინვალიდ მოხუც პოეტს, რომელიც დახმარების სათხოვნელად მივიდა მწერალთა კავშირში, რომ საარსებო საშუალება მიეცათ, მაგრამ მაყვალა გონაშვილის დაუთხოვად განცხადების დაწერის უფლება არ მისცეს, დახმარებაზე რომ არაფერი ვთქვათ. გაჩვენებთ იმ ადამიანებს, ვისაც გონაშვილი და მისი გუნდი კავშირიდან გარიცხვით ეშუქრებთ, თუ მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრები გახდებიან. მაგრამ ნახავთ, ძალიან მალე ყველა დატოვებს მწერალთა კავშირს და აქეთ გადმოვა.

ამ დღეში ის მწერლები არიან, ვინც უამრავი ქართველის მიუხედავად, ქართული მწერლობა დღემდე მოიყვანა, ვინც პირველი გამოვიდა 1978 წელს ქართული ენის დასაცავად და დაჩოქილი იცავდა მშობლიურ ენას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად. თუმცა, წლების შემდეგ მტაცებლებთან დაახლოებული ჯანსუღ ჩარკვიანი გამოდის და ამბობს, რომ ენა თურმე მისი ძალისხმევით შევიწარმნეთ. ეს ყველა დროის საცობი ახლა რისთვის აეტმასნა მაყვალას, არ ვიცი, მაგრამ, თუ არ გაჩერდა, ყველა დანახავს მალე მის ნამდვილ სახეს...

ესაუბრა ნონა ქარქაშიძე



როგორი არ უნდა იყოს ანაბიანი (ციკლიდან – ომი ბნელეთთან)

ფეიქრობა, შიგადაშიგ, ურიგო არ იქნება, მიშველადის „აზროვნების პროდუქცია“ გამოფინოთ და „დავტებეთ“. მაშასადამე, გავიხსენოთ და თანაც გადავხედოთ, რა მეთოდებით, რა შედეგებით მიჰქროდა მიშველადე საზოგადოების მაღალი ფენებისკენ.

აბა, ვნახოთ მიშველადის დისერტაციის სათაური: „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“ და წავიკითხოთ იქი-აქი:

„სატირისა და იუმორის თეორიაზე პლატონის, არისტოტელეს, სპინოზას, ჰობსის, ფროიდის, ჰარტმანის, კანტის და პეგელის შეხედულებები საკმაოდ ზუსტადაა შეფასებული მარქსისტულ ესთეტიკაში, რომელმაც ბრწყინვალედ გადაჭრა სიცილის კონკრეტულ-ისტორიული და კლასობრივი გაგების პრობლემა“.

მკითხველს ვთხოვ, კომენტარები თვითონვე გააკეთოს.

გავაგრძელოთ „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“ (გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1971 წ.):

„მარქსისტული ფილოსოფიის სამართლიანი განსაზღვრით, სიცილის მაშინ აქვს ღირებულება, როცა ის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია, როცა თვით მოვლენის არსში, საფუძველშია რაიმე სასაცილო. სიცილის მიზეზი ობიექტურია – ეს არის ამოსავალი მარქსისტული დებულებისა. მაშ, რატომ არ ეცილება ყველას ერთნაირად? სიცილის არსი და საზოგადოებრივი ძალის თანამიმდევრულ მცენარეულ ახსნას საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების ისტორიის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება“.

„განა გრიბოედოვის, გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა სატირამ ნაკლები როლი შეასრულა იმისთვის, რომ მრისხანე სიცილს ისტორიულად მოემზადებინათ თვითმპყობლობის დამხობა?“

„სიცილის რევოლუციური ხასიათი და მისი კლასობრივი სახე განსაკუთრებით ემჩნევა სატირულ პუბლიცისტიკას“. „ცნობილია ლენინის სიყვარული იუმორისადმი, აგრეთვე სარკაზმულ-პამფლეტური მანერა წერისა, რომელსაც ლენინი მიმართავდა თავის პუბლიცისტურ შედეგებში“.

„ლუწარისკის არ დასცალდა, დაენერა წიგნი სიცილის ისტორიის შესახებ, მაგრამ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ამ ერთ-ერთი პიონერის სურვილს ახორციელებენ სხვა მკვლევარები, რათა მკითხველმა მიიღოს მარქსისტული კრიტიკის შუქზე დანახული ისტორია სატირულ-იუმორისტული ლიტერატურისა“.

„კანტი შეცდომით ფიქრობდა, რომ სიცილი გაჯავრებას გამოხატავს: სადაც სიცილია, იქ შერიგება იწყებაო, მაგრამ კანტი ვერ ითვალისწინებდა, რომ არსებობს შეუბრალებელი, მრისხანე სიცილი – სატირა“.

„ხალხური სატირიკოსის თვალს გაუკილა არ დარჩენია არც უცხოელი დამპყრობლები, არც მეფე და მისი მოხელეები, არც ვაჭრებისა და სასულიერო პირების თვითნებობა, ოდითგანვე ათვისებულად განწყობილი სატირიკოსის მახვილი მისწვდა თვით ღმერთსაც („ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი“)“.

„ქრისტიანული ეკლესია სიცილს ცდუნების ერთ-ერთ სახელად თვლიდა... ასე რომ, მეოთხე საუკუნიდან (ქრისტიანობის შემოღებიდან რენესანსის ეპოქამდე) სატირასა და იუმორს დაუდგა ისეთი მძიმე დღე, რომელმაც გერცენს ათქმევინა: „მე-4 საუკუნიდან კაცობრიობამ შეწყვიტა სიცილი“.

ღმერთო!.. უნდა შეეჩერდეს და ერთი კომენტარი, მკითხველთან ერთად, მეც გავაკეთო: ნახეთ, რა გულმოდგინებით

ირეცხავს თანდაყოლილი სინდისის უმცირეს, უკანასკნელ ნატამალს რეზო მიშველადე. ეჭვგარეშეა, რომ იგი, მთელი თავისი სიცოცხლე, ხორცის ურწმუნო ნაჭერია. ამას ადასტურებს მისი მკრეხელური აზრები სარწმუნოებისადმი და წმინდანებისადმი. რეზო მიშველადე ერთგვარი მაგნიტია, რომელიც მხოლოდ სიბინძურეს, ნაგავს იზიდავს უსასრულოდ, აგროვებს, შხამში ხარშავს და შემდგომ საზოგადოებაში აფრქევს! საოცარია, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ყოველივე ამას, უბრალოდ კი არა, უდიდესი სიამოვნებით იღებს, ისრუტავს, იკვებება და დანაყრებული, ბრიყვულ ნეტარებაში ითანგება!

თუმცა ჯობს, ისევე მიშველადის სისინს მოვუსმინოთ:

„ზაქარია გაბაშვილის „კატისა და თავეების ომი“ ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ მიმართული სატირული ალეგორიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს“.

„რუსული სატირული ჟურნალისტიკის მშენებელი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „ისკრა““.


„ქართულმა სატირულმა პერიოდიკამ მთელი ორი საუკუნე დაიგვიანა და მხოლოდ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს იჩინა თავი“.

„ჟურნალის 23-ში გამოჩნდა აკაკის ლექსი სახელწოდებით – „ამოუსვი ნიშადური“. ეს ლექსი აკაკის პეტერბურგიდან გამოუგზავნია. საქართველოს ბულბულის ეს პოეტური ნააზრვეი იდეურად ძირფესვიანად განსხვავდება რევოლუციის პერიოდის მისი ნაწერებისაგან. პოეტი, რომელიც 1905-1907 წლებში სოციალ-დემოკრატების გვერდით იბრძოდა, რატომაც განაწყენებულა. მას გადაუწყვეტია, ზურგი შეაქციოს პროლეტარათა პარტიას. აკაკი მიუთითებს, რომ ჩვენს უბედურ ხალხს „სანუგემოდ დარჩენია – ერთი მხოლოდ ნიშადური“ და რედაქტორს სწერს: „ლესე, ლესე ნიშადური, ვხედავ გობი აგივისა, მოსცხე ყველას გაბედულად, ამოუსვი, ვინც ღირსია“. რამ გამოიწვია მოხუცი მგოსნის ეს იდეური პერიპეტია? იქნებ პეტერბურგში გამგზავრებამ და საქართველოს რევოლუციური ცხოვრებას დროებით მოშორებამ? იქნებ ზოგიერთ სოციალ-დემოკრატ ჟურნალისტზე პირადად განაწყენებამ? იქნებ ილიას სიკვდილმა, რომელიც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა სოციალ-დემოკრატობის დაბრალეს?

„ნიშადურის ხშირი სტუმარია ვაჟა-ფშაველაც. აქ დაბეჭდილი მისი იუმორისტული ნოველა „სცენა“ მგოსნის დიდი სატირული ნიჭის უტყუარი საბუთია. „სცენაში“ გამასხარავებულია მღვდელი და გაუნათლებელი ნათლია“.

აუჰ! მკითხველი უნდა შევასვენო და რეზო მიშველადის ყუყუნს უნდა მოვწყვიტო. რაც მთავარია, მიშველადის „ნააზრევი“ მშვენივრად ჩანს მისი კომუნისტური დუჟ-დორბლი, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ანუ მოქალაქეობრივი დეზერტირობა!

აღმაშფოთებელი ის არის, რომ მიშველადე, ზემოთ მოყვანილ დანაშაულებრივ აზრებს მხოლოდ სათავისოდ არ ჯღაბნიდა, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა, რითაც ცდილობდა გაერყვნა, გაეთახსირებინა სტუდენტობა და კომპარტიისთვის ალუზარდა დედ-მამის მანყევარი თაობა! სამწუხაროდ, მან, თავის მსგავს ადამიანებთან ერთად, კიდევ მიაღწია სანადელს: დღეს ვხედავთ ნაციონალური მოძრაობის უიშვიათეს წარმომადგენლებს, რომლებმაც 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შემდეგ, შეძლეს გამოეზარდათ ერთი თაობა, საშინელი მრუდე და ავადმყოფური ფსიქიკისა, საკუთარი სამშობ-



ლოსა და მშობელი დედისკენ რომ მიიწვეს გასაუპატიურებლად.

მიშველადეობა ერთი კაცის უბედურებას არ წარმოადგენს! იგი სრულიად საქართველოს თავზე დამტყდარი მებია, რომელსაც საზღვარგარეთელი ე. წ. ეროვნებათა, ანუ „ახალ მინათა“ ამთვისებულ დემონთა ლეგიონები გვირტყამენ! მათი სურვილია, მიზანში ამოღებულ ერთი ნაბილწონ, შეშალონ, მამა-პაპათა უძვირფასეს ტრადიციებს მოსწყვიტონ, დაარღვიონ უფლის მიერ დანესებული ცხოვრების ნორმები, რათა აღარავის გაუკვირდეს კაცის კაცზე დაქორწინება და ავადმყოფთა მოდგმის გამრავლება!

ახლა მივაკითხოთ უხუცეს, გამოჩენილ მწერალს, ლადო მრელაშვილს, რომელიც რევუზ მიშველადის ახლო ნათესავი, კერძოდ, რეზოს დის ქმარია.

ბატონმა ლადო მრელაშვილმა თავის წერილს, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა (10, 2002 წ.), სათაურად „ეშმაკი და ერთი მცნება“ მისცა. აქ მწერალი პასუხს აძლევს ვინამე მიხილ ჩაჩუას და მის უკან მდგომ დამკვეთს – ეშმას, ანუ რევუზ მიშველადეს.

ლადო მრელაშვილი ამ ვილაც მიხილს და თან ჩაჩუას „ერთხელ გაათხილ სიმინდივით“ დაგვაღულს უწოდებს, აჩანჩურებს და შემდგომ აგრძელებს:

„არც ის შენი ბატონი – შენს ზურგს ამოფარებული ეშმაკი მყავს დიდი ყარამან-ყათილი, რომელსაც მცირეოდენი მწერლური ნიჭი კი მისცა ღმერთმა, მაგრამ თავში ის ადგილი გაუუქმა, სადაც, ჩვეულებრივ, ჭკუა უდევთ ხოლმე წესიერ კაცთა... მიხილ, ყველა სულით ავადმყოფს ნუ აჰყვები. დაე, ყველა დასაბმელმა გიჟმა თავის ჯაჭვი თვითონ გაწყვიტოს. შენ, ამ ხნის კაცი, როგორ აცივლია შენ უკან მდგარმა ეშმაკმა? რატომ იქექები ბელურასავით მის ნაკელში და რატომ ეძებ იქ მოუნელებელი საჭმლის ნარჩენებს? კიდევ ვიმეორებ: ერთდ ათი მცნების მტრებს! – ჩემო მიშვიკო: ჯერ შენ მიგისევის თავისთვის არასასურველ პიროვნებას, სიბინძურეს ჩავადინებ, მერე, შენს ზურგს ამოფარებული, ჩუმი კმაცოფილებით ქირქილებს და იმ ნაგინებ ხალხს... შენ გაძლევს პირში (ნეტავ, ირიბად, რა იგულისხმა, პირში რისი მიცემა იგულისხმა მწერალმა? – ჯ. დ.). მე ბებერი მგელი ვარ და მაგის ნაკახპარს ყველა ნაწერში ვიცნობ... მომდგომია და სწორედ „იმის“ ჭამას მე მებრალებს ურცხვად, რასაც კალმის ხელში ალბების შემდეგ თავად ხარბად და გემოვნებით მიირთმევს. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე: „იმის“ მჭამელს კოვზი ქამარში უნდა ჰქონდეს გაჩრილი... ავკაცობა არავის შერჩენია, არც მაგას შეარჩენენ და რაკი თავდაც არ დასთმობს სიბოროტეს, საბოლოოდ დასაღუპად განწირულია. მე შენაგება იგი. შენაგება იმიტომ, რომ დიდი ხანია ვიცნობ მისიანებს (რა თქმა უნდა, ბატონი ლადო ჩინებულად იცნობს რევუზ მიშველადის ახლობლებს, ხომ მოგასხენეთ –

რეზოს დის ქმარია ლადო მრელაშვილი. ჯ.დ.). ისინი კარგი ადამიანები არიან და მჯერა, თავადაც წუხან მის გაუთავებელ, წრეგადასულ სიგიჟეებზე, მაგრამ, როგორც ყველა ჩვენგანი, ისინიც უძღურნი არიან მის გადასარჩენად. ღმერთო, მაპატიე და, – როგორც წითელი შუქის მიცემა ფალარათს ვერ შეაჩერებს, ისე მისი შეჩერება შეუძლებელია. – ბრმა რასაც ჩაელებლაუჭება, მერე ხელიდან ვერ გამოჰგლეჯ... ეგ შენი მოძღვარი ეშმა ის კაცია, რომელსაც შეუძლია ეკლესიის კედელზე მიხატულ წმინდანსაც კი წუმპე შეასხას და შარიც მოსდოს: თვალს ზემოთ წარბი რადა გაქვსო... მაინც, მიუხედავად ამისა, რომ მაიძულონ, სადმე – სირიაში წმინდა ადგილები უნდა ინახულო და თანამგზავრად ან ჩაჩუა უნდა აირჩიო, ან მის კისერზე ნამომგზდარი ეშმაო, მე შენ ავირჩევდი, რადგან ბოროტი კაცი უბოროტეს კაცსა სჯობია“.

როგორც გითხარით – რეზო მიშველადეს ცხოვრებული ლადო მრელაშვილი მოყვარედ ერგებოდა. ჩვენმა წინაპრებმა ჩინებულად იცოდნენ ნათესაობის, მოკეთების, სახლკაცობის მაღლი და დის ქმარს მშვენიერი სახელი გამოუძებნეს – მოყვარე! თუმცა, რა... რეზო მიშველადემ არც სიძე-მოყვრობისა იცის, არც – სიყვარულისა, არც – დედაშვილობისა და არც მამაშვილობისა! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველებს ანდაზა გვაქვს: ცუდი შვილი დედ-მამის მაგინებელია! ჰოდა, მთელი თავისი დღე და მოსწრება, ეს ვაგლახად შობილი და სამარადისოდ მხოხავ-მცოცავი მიშველადე, არა მხოლოდ საკუთარი მშობლების, არამედ მთლიანად გვარ-ჯილაგის შემარცხვენელია! წესით და რიგით, იგი საკუთარმა ნათესაობამ, ახლობლებმა უნდა გაასმარებოდა, მაგრამ ტანისამოსიანად უღვგია! განა თვითონვე არ განაცხადა ერთხელ – ამ ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი მოქმედება, რითაც შეძლებენ ჩემს შურადაცხყოფასო? ეს ხომ იმას ნიშნავს: კაცს თავზე აფურთხებდნენ, ის კი გაიძახოდა – რა კარგი და თბილი ნივამ დამდისო.

ვაჰ! ამ შავ დღეზე გაჩენილს, მართლაც არაადამიანური გაძლება ჰქონია – მოყვარის ფურთხებას როგორღა უნდა გაუძლო, თუ კაცი ხარ?

ჯემალ დავლიანიძე

P.S. კახეთში რამდენიმე ხნის წინ ამინდით გათავისუფლებულმა მამაკაცმა ათი წლის ბიჭი გააუპატიურა! გამოიძიეს! გაასამარებეს! ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს! მერე, უცბად, შეღავათი მისცეს – ძალადობა არ დაუმტკიცდაო და გაათავისუფლეს! მამასადამე – ბიჭუნას თავისი ნებით გადაუდგამს ცოდვიანი ნაბიჯი!

საზოგადოება, მცირეოდენის გამოკლებით – დუმლიშია!

საყოველთაო აღშფოთება არც კი ილანდება!

მიშველადეები კი... ზრდიან და აფრთხანებენ თაობებს!

მუხრანი რომ იტყოდა:

„გიკვირთ? – ნუ გიკვირთ!“

ამ სათაურით გამოქვეყნდა ჩემი სტატია 1995 წელს და ეს სათაური ჰქონდა ჩემი სტატიების 2006 წელს გამოცემულ კრებულს.

ამ წერილებში წამოჭრილი პრობლემები დღეს კიდევ უფრო მძაფრი და აქტუალური გახდა. ამიტომ დავუბრუნებ 18 წლის წინ გამოქვეყნებული სტატიის თემას.

დიდი საფიქრალი გაუჩნდა მთანმინდას. ცისკრის ვარსკვლავს ისევ შეჰყურებს და გაუბედურებულ ქვეყანას ხედავს.

ბიბლიას თუ გადავშლით, ვნახავთ იერემია წინასწარმეტყველის გოდებას, რომლითაც იგი ისრაელის გატანჯულ ერს მიმართავს: „**ოხრავს შენი ერი, პურის მძებნელი, საქმელში ცვლიან ძვირფასეულობას, რომ სული მოითქვან, მოიხედენ, უფალო, და დაინახენ, როგორ დაეცვიან.**“

ეს სიტყვები გამოხატავს ჩვენს დღევანდელ ყოფას.

რა მოხდა? რამ გავგამათხოვრა ასე და სხვისი შემხედვარე გავგახდა? რატომაც ყველაფერი ისე, როგორც არის?

რუსეთის იმპერიის 200-წლიანი უღლიდან გათავისუფლებული, ამერიკული კოლონია გავხდით და თუ ადრე რუსები გვიწერდნენ კანონებს, ახლა ჩვენთან მოქმედი კანონები ამერიკაში იწერება. თუ ადრე პოლიტიკური გემართავდა და ცეკას მდივნებს გვინიშნავდა, დღეს ამერიკის ელჩი და „გოსდეპი“ გვმბრძანებლობს.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინანდელი პარლამენტის ერთ-ერთი სხდომის ტელეტრანსლაცია. პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, განსახილველად საკმაოდ უმნიშვნელო კანონი წარმოადგინა. ერთ-ერთი პარლამენტარი წამოდგა და ქალბატონ ნინოს მიმართა, **ჩვენ ამ კანონის განხილვა არ შეგვიძლია, რადგან ამერიკელი ექსპერტების დასკვნა არ გვაქვს.** ქალბატონმა ნინომ ამ კანონის განხილვა გადადო...

ამიტომ ვერ აკრძალეს საქართველოდან ფერადი მეტალების, ჯართისა და დაუმუშავებელი ხე-ტყის გატანა ეკოლოგებმა, ამიტომ დაუმუშვეს უცხოელებზე მიწების გასხვისება და ქართველი გლეხები საფარგულებისა და საძოვრების გარეშე დატოვეს.

ისე გავიჭირდა, რომ სული ეშმაკს მივიყიდეთ და მამათმავლებისა და „ლესბიანკების“ პოპულარიზაციასაც კი არ ვთავიკობთ; ადემოკრატიის ტალღაზე აწყობილებმა „ინტერნაციონალიზმი“ დავიბრალეთ და გადატაკებულ ქართველ გლეხს ახლა უცხო ტომზე იმ მიწასაც გავაყიდვინებთ, რომელიც დიდი სისხლის ფასად წინაპრებმა შემოგვიწახეს, რომელიც ღმერთის წყალობად მიგაჩნდა რომლითაც თავი მოგვექონდა...

ამიტომაც დაიცალა სოფლები. გლეხებმა ქალაქს მიაშურეს და ვაჭრუკანობას მიჰყვეს ხელი. მადლობა ღმერთს, დღეს მიწების გაყიდვა შეჩერდა, მაგრამ რამდენად გავუძლებთ მსოფლიო ბანკის შემოტევებს?

სანაოსნო და პორტები, შახტები და ქარხნები, ტყე-მინდვრები და სავარგულები, და კიდევ მრავალი სხვა სიმდიდრე უცხოტომელმა ხელში ჩაიგდო და ანადგურებს, ვისაც ორიოდ გროში არ ენანება ამ გამათხოვრებელი ქვეყნისათვის, მაგრამ **როცა ყველაფერს გავყიდით და სულიერებასაც ზედ მივაყოლებთ, მერე რისი ან ვისი იმედი უნდა გვექონდეს?**

ქვეყნის ბიუჯეტის შედგენის დროს ეროვნული ინტერესების დაცვა ამერიკელ თუ ევროპულ ბანკირებთან თუ სხვადასხვა ტიპის „ბრაიზერებთან“ კამათში გვიწევდა. ახლა აღარც კამათია საჭირო, მხოლოდ მათი რეკომენდაციების უსიტყვო შესრულება გვევალება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თურმე მხოლოდ მათ იცნან, როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ ვიფიქროთ, აქციზები როგორ განვსაზღვროთ, რამდენი მასწავლებელი შევამციროთ და რამდენი თვატრი დავხუროთ. მთავარია, უნდა გავანადგუროთ მეცნიერება, განათლება და კულტურა, რათა შევქმნათ პოლიციური რეჟიმის „მოთვი-

ნიერებული“ სახელმწიფო, სადაც უცხოელი კეთილის მსურველები თავისუფლად იპარპაშებენ და შავ მუშებდა და მოჯამაგირებდა ისევ ქართველებს დაიქირავენ. იქნებ ეს უფრო სასტიკი ანექსიაა, ვიდრე 1921 წელს მოხდა?

ასე მივყიდეთ საუკუნე-ნახევრის წინ სომხებს ქართული მიწები და თბილისი ლამის სომხურ ქალაქად ვაქციეთ! განა აფხაზეთის მიწაზე ცოტა სომეხმა დაიდო

მთანმინდა რაფიქრებდა

ბინა, შემდეგ ბაგრატიანის არმიად რომ მოგვევლინა? გაიხსენეთ, 1918 წლამდე, თავადი ყიფიანის გარდა, თბილისის ყველა მმართველი ის სომეხი იყო, ან რუსი. ნუთუ ისტორია ისე მეორდება?

ახლა სომხები ჯავახეთის მიწას „ეპოტინებიან“, თურქები კი, ალბათ, აჭარას ჩაიგდებენ ხელში. გაიხსენეთ, როგორ დაიპყრეს ჩრდილო კვიპროსი თურქებმა და როგორ დააარსეს იქ დემოკრატიული რესპუბლიკა. მართალია, ეს თურქული კვიპროსი მხოლოდ თურქებმა და, ნაწილობრივ, აფხაზებმა ცნეს, მაგრამ უახლოეს მომავალში იგივე აჭარასაც ხომ არ ემუქრება? ხომ კარგად ხედავთ, რომ აჭარის მიწებს თურქები ეპატრონებიან? სწორედ ისინი მბრძანებლობენ და ამიტომაც მთავარ მიზნად ჯერ მეჩეთის აშენება დაუსახავთ. მაგრამ ეს მეჩეთი იქნება აჭარის მთლიანად გათურქების სიმბოლო და არ არის გამორიცხული, რომ შემდეგმა მეჩეთმა მთანმინდის კალთებზე დაიდოს ბინა. ბაგრატიის ტაძარი ხომ მოვკალით? ალბათ, იგივე ბედი ელის ჯვარს და სვეტიცხოველს!

შემდეგ ჯერი მთელ საქართველოზე მიდგება და „აზიზის“ მეჩეთებით დაიფარება ჩვენი უბედური ქვეყანა.

მთანმინდა გავგნებულა. ნუთუ მოვა დრო და მის კალთებზე მამა-დავითი მეჩეთად გადაიქცევა?

ვინ ვართ ჩვენ? განვითარებადი ლატაკი ქვეყნის უბადრუკი წარმომადგენლები თუ მალალი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე ერი?

სამწუხაროდ, ყველაფერი, რითაც ვამყობთ, მხოლოდ წარსულია. მხოლოდ წარსული სახელების გახსენება შემოგვრჩა თავის მოსაწონებლად. განა მომავალი თაობა შეძლებს ოცდამეერთე საუკუნის მოღვაწეთა გახსენებას?

სულმნათმა ილიამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დააარსა, ქართველს განათლება რომ მიეღო. ჩვენ კი განათლება ისე გავანადგურეთ, რომ საშუალო სკოლაც კი აღარ გვაქვს, რადგან განათლება განვითარებად ქვეყანას თურმე სულაც არ სჭირდება, ხოლო მეცნიერება „დიდი ფუფუნება“ ყოფილა და მთლიანად უნდა მოისპოს!

და მოისპო კიდევ. როცა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასი 200 ლარს ვერ აღწევს, რა მეცნიერება შეიძლება გქონდეს?! როცა საშუალო სკოლები გაუქმდა და მის ნაცვლად საჯარო სკოლები დაარსდა დანყებთი სკოლის პროგრამებით, რა უნივერსიტეტებზე შეიძლება საუბარი?!

დღეს იურისტებმა დაიპყრეს ქვეყანა. ამიტომ ახალგაზრდების უმრავლესობასაც იურისტობა სურს, რათა პროკურორები და მოსამართლეები გახდნენ. მათ მხოლოდ ფული ადარდებთ და კანონშემოქმედებითი საქმიანობა სულაც არ აინტერესებთ. კანონშემოქმედება კი მეცნიერ-იურისტების საქმეა და ასეთი იურისტები პარლამენტშიც არ ჩანან, რადგან კანონშემოქმედება ჩვენს კოლონიზატორებს განდეთ.

მართალია, გამოჩნდა განათლების მინისტრის სასიკეთო სვლები და იმედიც გაჩნდა, რომ ერთი ნორმალური უნივერსიტეტი მაინც შეიქმნება საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებით. ამისთვის კი თუნდაც რამდენიმე საშუალო სკოლა უნდა დაარსდეს!

1992 წელს ამერიკის საელჩოს ატაშეს, ბატონ ჰაჩისონს შევხვდი და ვთხოვე, საბუნებისმეტყველო დარგებში და

მედიცინაში ამერიკის უნივერსიტეტებში ჩვენი სტუდენტების მოზადებაში დაგხმარებოდა.

დიდად გაიკვირვა: „რად გინდათ „მძიმე“ მეცნიერებებში დახმარება? თქვენ მხოლოდ იურისტები და ეკონომისტები გჭირდებათ, რადგან განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დანყებებითი განათლება უნდა დააფინანსოს!“

მთანმინდა რაფიქრებდა

„განა ჩვენ ექიმები არ გვჭირდება? ბუნებისმეტყველთა გარეშე მათი აღზრდა შეუძლებელია. განა ჩვენთან ოპერაციები არ ტარდება?“ – ვკითხე ბატონთ-ბატონს.

ისევ გაიკვირვა: „როგორ შეიძლება თქვენთან ოპერაციების ჩატარება? თქვენთან მხოლოდ აცრები უნდა იყოს!“

გავიდა რამდენიმე წელი და ვხედავთ, რომ ჩვენი სამედიცინო უნივერსიტეტი მხოლოდ „უმცროს ექიმებს“ ამზადებს და მათი კვალიფიკაციაც იმდენად დაეცა, რომ სამკურნალოდ თურქეთისკენ ვიხედებით.

როდესაც ერთმა ჩემმა მეგობარმა საფრანგეთის ელჩს, ბერნარ ფასიეს მიმართა და ფრანგული სკოლის დაარსების საქმეში დახმარება სთხოვა, ელჩმა უპასუხა: „**რა საჭიროა დახმარება განათლების დარგში? თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანგები ხართ?**“

სწორედ ამიტომ, განათლების დამლუპველი რეფორმა ამერიკულმა ფირმამ, RTI-მ ჩაატარა ჩვენთან და კამბოჯაში, როგორც განვითარებად ქვეყნებში, ისე როგორც „თეთრკანიანი ზანგებს“ შეეფერებათ. ამ მიზნით მსოფლიო ბანკმა 60 მილიონი დოლარი გამოყო და მიზანსაც მიაღწიეს: განათლების დონე აფრიკის სახელმწიფოების დონის შესაბამისი გახდა. გიგი თევზაძემ განაცხადა კიდევ, რომ **„განათლების რეფორმის მიზანია, საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური გახდეს!!!“**

ასე იცის კოლონიზაციამ. ასე იყო ინდოეთშიც და აფრიკის ქვეყნებშიც...

ჩვენ ისეთი სახელმწიფო შევქმენით, რომ მის მართვას უფრო დიდი დაფინანსება სჭირდება, ვიდრე ხალხის განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ერთად აღებულს. დემოკრატიული იდეების მიმდევრებს ხელთ მათხოვარი სახელმწიფო შეგვრჩა და არცაა გასაკვირი, რომ სახელმწიფოს განათლებულ და კულტურულ ხალხი არ სჭირდება. იქნებ არც მთანმინდა სჭირდება?

მაინც რა დაგვემართა? რამ გავვაბრუა? რატომ მივიყიდეთ სული ეშმაკს და ხორცი მსოფლიო ბანკს? რატომ აგვებნა გზა-კვალი და რას გვიქაღის მომავალი? რატომ გავუჩინეთ დარდი და საფიქრალი მთანმინდას?

დიდმა ილიამ სათავადაზნაურო ბანკი გახსნა, თავქარიანი ქართველი თავადაზნაურების მიერ უცხო ტომზე გაყიდული მიწები რომ გამოეხსნა. მართალია, გამოსახსნელი მიწა მაინც საკმაოდ დარჩა, მაგრამ რევოლუციამ დროზე მოგვისწრო და მართალია, მიწის გვარიანი ნაწილი დავკარგეთ, მაინც ხომ შემოგვრჩა მამაპაპისგან სისხლის ფასად შემონახული ცოტათუნე მიწა? ჰოდა, რა ვქნათ?! უნდა დავუფუჯოთ ჩვენი უცხოელები „მეგობრების“ რეკომენდაციებს, ამასობაში ცოტა ფულსაც ვიშოვით და მერე იქნებ კიდევ ერთმა რევოლუციამ მოგვისწროს?..

დღეს უცხოელ ინვესტორებს შევცივინებთ თვალბეჭით, რათა ორიოდ გროში გადმოგვიგდონ ჩვენი მიწა-წყლის გაყიდვის ფასად. უკვე დაიპყრეს ჩვენი მიწები თურქმა, ჩინელმა, არაბმა, ინდოელმა, აფრიკელმა თუ ეგვიპტელმა ინვესტორებმა და რა განსხვავებაა მათ ინვესტიციასა და რუსების ინტერვენციას შორის, რომლებმაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწები ჩამოგვაჭრეს? თუ რუსებმა, სეპარატისტების ხელშეწყობით, ტყვეობა და გვლიჯვეს ქართული მიწები, უცხოელმა ინვესტორებმა დოლარით გაყარეს მშობ-

ლიური მიწიდან ქართველები, ან მონურ შრომაში ამყოფებენ მათხოვრული ხელფასებით.

ალბათ, გახსოვთ, გერმანული ფირმის „ბაიერის“ ინვესტიცია ჩაის მეურნეობაში. ქარხნების აშენებასაც დაგვიბრდნენ, თუმცა მათი ქმედებებით ჩაის პლანტაციები ისე გავერანდა, რომ აღდგენის იმედიც გაქრა.

მართლაც ბევრი საფიქრალი აქვს მთანმინდას. **გასულ საუკუნეებში ქართველი ბავშვებს თუ ყიდდა ურჯულოებზე, დღეს მშობლები შვილებს უცხოეთში მამლებზეად აგზავნიან, ცოტა კაპიტალიზმის წყალობა რომ შეეშხეფოთ და ქართველობას გადაურჩნენ.**

მიწას ზურგზე ვერ მოიკიდებენო, — ზოგი თავსაც კი იმშვიდებდა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ქართლში ერთ-ერთმა უცხოურმა ფირმამ რამდენიმე ჰექტარიდან მიწის ნოყიერი ფენა მოხსნა და თავის სამშობლოში წაიღო. ამ ფენის შექმნას კი ასეულ ათასობით წელი სჭირდება...

ჩვენ უდიდესი სიმდიდრე დავაგროვეთ კულტურისა და მეცნიერების სფეროში, რასაც ახლა გულმოდგინეთ ვანადგურებთ. ამასთანავე, ვანადგურებთ ქართველი კაცისთვის დამახასიათებელ თვისებას — ერთმანეთის თანადგომას. ეკონომიური სიდუხჭირე სწორედ ის ძირითადი ფაქტორია, რომელმაც ერი გათიშა, გაუნათლებლობა კი მას საბოლოოდ განადგურებს. გამდიდრებისკენ უოკელები სწრაფვა კრიმინალურ სიტუაციას ძაბავს, ძლიერი სუსტს ძარცავს და საზოგადოება იძულებულია, მკაცრი პოლიციური რეჟიმის სახელმწიფო შექმნას.

ჩვენს მიწაზე ჩვენ მართლაც მხოლოდ მოჯამაგირის მძიმე ხვედრი გვერგა. სწორედ ესაა ის დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი, რომელსაც დაიკავეს ყოფილი მეცნიერი და მასწავლებელი, მსახიობი და მხატვარი, ყველა, ვინც საზღვარგარეთ გაქცევით თავს ვერ უშველა. ცხადია, ზოგი ჩვენი თანამემამულე აქაც გამდიდრდება და ევროპაშიც ვიღებთ შეიძენს, მაგრამ, ცხადია, მას ნაკლებად აინტერესებს მთანმინდის ბედი.

გასაკვირია, ჯერ კიდევ როგორ ცოცხლობს ხალხი, როცა ოჯახის საშუალო შემოსავალი სიღატაკის ზღვარს რამდენჯერმე ჩამორჩება? ამიტომაც გაივსო მთელი საქართველო მათხოვრებით. ამიტომაც გაიხიზნა მილიონზე მეტი ქართველი საზღვარგარეთ, შიმშილით სიკვდილს რომ გადაურჩეს.

სულმნათი ილია წერდა: „**სხვისი იმედის მქონებული გლახაა, მათხოვარია და გლახა-მათხოვრობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილია, თვისობა ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე — არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზე დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს.**“

ჭეშმარიტად უთქვამთ, ხელი გაანძირე და გეშეველებო. ხელის განძრევას კი შნოც უნდა და სურვილიც.

ქართველი ერი მძიმე დღეშია: მისი მიწა შველას ითხოვს, რომ უცხო ტომის ხელში არ აღმოჩნდეს, მისი ხალხი შველას ელის, რომ მოჯამაგირისა და მონის მძიმე ხვედრს აცდეს, მისი სამშობლო დიდ განსაცდელშია.

ალბათ ამან ჩააფიქრა მთანმინდა. რადგან სააკაშვილის კლანის დაპირებების აღარავის ჯერა, იქნებ თვით ქართველობა ერთადერთი იმედი და იქნებ განახლების ტალღად გადაგვარჩინოს?

მხოლოდ ჩვენი განათლება და სულიერება თუ გადაარჩენს ქვეყანას, თორემ უცხოელ კოლონიზატორთა „რჩევებმა“ რაც მოგვიტანა, ჩვენს ყოფას ნათლად დაეტყო.

ბოლო დროს მართლაც გაჩნდა იმედი, რომ საქართველო გადარჩება, თუ მსოფლიო ბანკს და საკულტო ფონდს ქართული გონიერება წინ აღუდგება და კოლონიზატორთა დიქტატისაგან თავს დაიხსნით.

გვახსოვდეს დიდი ვაჟას ლაღად: **„ღმერთო, მიეცი გონი ქართველებს და შეაყვარე მათ საქართველო!“**

მეიკა ჯიბლაძე



ნომინალური თეორიის უკონკრეტო საჭიროება


მეცნიერებაში და პოლიტიკაში საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, მისი საზღვრების და შიდა რაიონების ცოდნა სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად წარმოსახვის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად ამისა, ასევე საჭიროა ქვეყნის სწორი კარტოგრაფირება და მისი შემადგენელი ეთნო-ტერიტორიული რაიონების ზუსტი ლოკალიზაცია. ამ ასპექტში საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეთნო-ტერიტორიული სტრუქტურა და მის შესახებ არსებული გამონათქვამები. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს მოკლე ისტორიულ ექსკურსს.

იმის შემდეგ, რაც ჯერ მონღოლებმა, ხოლო შემდეგ კი თემურლენგმა ბარად განსახლებული ალან-ოსები ჩრდილო კავკასიის ხეობებში შემორევეს, აქ ეკონომიკურად შევიწროვებულმა ოსებმა საქართველოში მასობრივად შემოსახლება დაიწყეს. მათი პირველი ასეთი ცდა განხორციელდა XIII საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველოში შემოსახლებულ ოსთა რაზმები მონღოლთა ნაქეზებით მკვიდრ ქართულ მოსახლეობას გამოერივნენ, მაგრამ გიორგი V ბრწყინვალემ (XIV ს.) დროულად აღკვეთა ოსთა თარეში და ისინი ქვეყნიდან გააძევა.

ამის მიუხედავად, ოსები კვლავაც საქართველოში შემოსახლებისათვის ირჯებოდნენ. XVII საუკუნის დამდეგიდან იწყება ოსთა შემოსახლება საქართველოს ჩრდილოეთი სექტორის მაღალმთიან ხეობებში. თავდაპირველად ეს პროცესი მშვიდობიანად მიმდინარეობდა, რაც ერთგვარად ქართული ფეოდალების ხელშეწყობით იყო პირობადებული, ვინაიდან ყმათა მომრავლებით, ე.წ. „ოსების შოვნით“ დაინტერესებული იყო ყოველი ქართველი ფეოდალი. ამგვარი პირობების ხელშეწყობით ოსებმა ფეხი მოიკიდეს დიდი და პატარა ლიხვის, ქსნის, თერგის, ჯეჯორის და ყვირილას ხეობათა სათავეებში. ოსებით მოიფინა სამაჩაბლოს და სანერეთლოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილიც. ოსთა მასობრივი შემოსახლების შედეგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 5000-მდე კომლი დასახლდა. ამ პროცესის შესაბამისად ქართულ წერილობით წყაროებში გაჩნდა ადეკვატური ეთნიკური ცნობები: „პირიქითა ოსები“ ან „აქათის მთის ოსები“.

ქართველი ფეოდალების ხელშეწყობით დასახლებული ოსები თავიდან მშვიდობიან ცხოვრებაში ჩაებნენ, მაგრამ ეს მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ოსებმა შემოსავლის წყაროდ აქციეს ქართული მოსახლეობის ძარცვა-რბევა, რისი შედეგიც იყო ქართული მოსახლეობის გადანაცვლება მთიანეთის ხეობებიდან ბარის მიმართულებით. აღნიშნული პროცესის შედეგად თანდათანობით ფართოვდებოდა ოსთა სამოსახლო სივრცე. შემთხვევითი არ არის, რომ ოსთა განუკითხავი თარეში გამოძახტვლად ხალხური ნომინაციის სფეროში დამკვიდრდა ვითარების შესატყვისი ცნებები: „ოსიანობა“ („ლეკიანობის“ ანალოგიური), „ოსობა“, „ოვსობა“ ან „ოსობა“. თვით ოსური ლიტერატურის ფუძემდებელმა, კოსტა ხეთაგუროვმაც კი, აღნიშნულ ოდიოზურ მოვლენას „ოსობა“ უწოდა, რაც ნათლად ჩანს ამავე სახელწოდებით ცნობილ მის ეთნოგრაფიულ ნარკვევში (აღნიშნული ვითარების შესახებ იხ. ვახტანგ ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995; მისივე, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002).

XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან ოსეთში იმძლავრა პრორუსულმა ორიენტაციამ და 1784 წელს ალაგირის, ქურთათის და თავაურის ოსური თემები, ყაბარდოსთან ერთად, რუსეთს შეუერთდა, ხოლო 1781 წელს ფაქტურად დასრულდა ოსეთის



რუსეთთან შეერთების პროცესი, როდესაც დიგორის ოსური თემიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ხეობებში მცხოვრებ ოსებს ამ დროიდან შესაძლებლობა მიეცათ მასობრივად დასახლებულიყვნენ დღევანდელი ჩრდილო ოსეთის ნაყოფიერ ველზე. ამის შედეგად ოსები რუსეთის იმპერიის საიმედო ქვეშევრდომებად, ხოლო ოსეთი კავკასიაში რუსეთის დიდმპყრობლური პოლიტიკის განხორციელების უმთავრეს პლაცდარმად იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ პერიოდში, 1774 წელს რუსებმა შექმნეს ციხე-ქალაქი ვლადიკავკაზი, რის შედეგადაც სამხედრო ბაზამ მოზდოკიდან ვლადიკავკაზში გადმოინაცვლა. რუსეთმა ამით ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ საქართველოს ოკუპაცია უფრო ეფექტურად განეხორციელებინა.

რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი საიმედო მოკავშირედ ცნო ოსები, მათ სამოსახლოს საქართველოს მთიანეთში უწოდა ოსეთი. ამის საფუძველზე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ ნომინაციაში დამკვიდრდა ორი გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული სახელწოდება ჩრდილო ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით. ანტიქართულ ტენდენციას ხელი შეუწყო იმ ადმინისტრაციულმა გადაწყვეტილებამაც, რომლის ნიადაგზეც თბილისის გუბერნიაში მოხდა ე.წ. „ოსეთის ოკრუგის“ ფორმირება, რის შედეგადაც ამ ოკრუგის ერთ-ერთი მონაკვეთი, საქართველოს განუყოფელი ნაწილი – ისტორიული დვალეთი, 1858 წელს თერგის ოლქს გადაეცა და ოსეთის კუთვნილებად იქნა აღიარებული. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს წართვეს ქართველური ტომით – დვალეებით დასახლებული რეგიონი (500 კვ.კმ.), რასაც ტერიტორიის ჩამოჭრასთან ერთად, მოჰყვა დვალეების ასიმილაცია ოსურ ნიადაგზე. აქედან, საქართველოს მთიანეთში დასახლებული დვალეების დიდმა ნაწილმა კი ქართველობა შეინარჩუნა, რისი მაუწყებელიცაა დღემდე არსებული მრავალი დვალური გვარი.

ესოდენ უმართებულო გადაწყვეტილებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ოსეთის არსებობის დაკანონების საფუძველზე ფორმირებული ჩრდილო ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ნიადაგი შეუზღადა „ორი ოსეთის“ ერთ ქვეყნად გაერთიანების იდეას, რამაც XX საუკუნეში წარმოშვა ოსური სეპარატიზმი. მისი არსებობა ვლინდებოდა ოსთა აჯანყებებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.). ოსთა აჯანყებებმა და „ორი ოსეთის“ საბჭოურ რუსეთთან შეერთების იდეამ მაშინ კრაზი განიცადა, მაგრამ

მე-11 არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიკებმა 1922 წლის 20 აპრილს შექმნეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ბოლშევიკებმა ეს არ იკმარეს და 1990 წელს ოლქი გარდაქმნეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ფორმირება გაუქმდა, მაგრამ საქართველოში დამკვიდრებული განუკითხავობის პირობებში ოსური სეპარატიზმის იდეა კვლავაც დაუცხრომლად ბოგინებად. ასეთი ქარტეხილების შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მდგომარეობა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ჩვენს საზიანოდ კიდევ უფრო დაიძაბა. საქართველოს ხელისუფლება აქ შექმნილ სიტუაციას ვეღარ აკონტროლებდა, ხოლო შექმნილი ვითარება საბოლოოდ სრული კრაზით დამთავრდა – რუსეთმა „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ასეთი კატასტროფის შედეგად საქართველომ, რომლის ტერიტორია მოიცავდა 69 ათას კვადრატულ კილომეტრს, 20% დაკარგა.

მკითხველს შევახსენებ, რომ საქართველოს ტერიტორიის შემცირების პროცესი მიმდინარეობდა ჯერ სხვადასხვა ეპოქის დამპყრობელთა შემოსევების შედეგად, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის საგუბერნიო პოლიტიკის მეშვეობით. თუ დავითისა და თამარის ეპოქაში საქართველოს სამეფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე 204 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა, ჩვენი სამშობლოს პროვინციების (ტაო-კლარჯეთის, ლორეს, საინგილოს, ჭარ-ბელაქანის, სოჭის ოლქის, დვალეთის...) ძალიან მიტაცების თუ ბოლშევიკების ნებით გასხვისების შედეგად დარჩენილი 69 ათასი კვადრატული კილომეტრიც კი ვერ შევიწარმუნეთ. ძნელი სათქმელია, რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან ოდესმე დავიხსნით თუ არა ჩვენს ისტორიულ ტერიტორიას, მაგრამ ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ეს შესაძლებლობა მხოლოდ ილუზიის დონეზე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

როგორც ვხედავთ, საქართველომ სხვა პროვინციებთან ერთად დაკარგა ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთი სექტორი. ეს რეგიონი ამ სახითაა ლოკალიზებული სპეციალურ გამოკვლევებში (იხ. ვახტანგ ითონიშვილის ზემოხსენებული შრომები). ტერიტორია, რომელსაც რუსებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში „ოსეთი“ უწოდეს, ხოლო ბოლშევიკებმა „სამხრეთ ოსეთი“ შე-

არქვეს, მოიცავდა რამდენიმე ქართულ სათავადოს. მათ რიცხვს განეკუთვნება ქსნის საერისთავო (დღევანდელი ქსნის ხეობა, ახალგორის რაიონი), სამაჩაბლო (ისტორიული აჩაზეთი), საამილახვრო, საფალავანდიშვილო, საფეველიშვილო, სავახტანგო, სანერეთლოს ნაწილი (საჩხერის რაიონის მონაკვეთი) და რაჭის საერისთავოს ნაწილი კუდაროს ხეობის სახით. ეს ჩამონათვალი იმის რეალური მაჩვენებელია, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ფარგლებში მოაქციეს არა მარტო ქართლის სათავადოები, არამედ ოსებს დასავლეთ საქართველოშიც გადააბიჯებინეს, როდესაც ქართლის ისტორიული სათავადოებს დაასართეს იმერეთისა და რაჭის საერისთავოების მონაკვეთებიც.

ასეთ ისტორიული რეალობაში ქართველ პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლებს თუ ჟურნალისტებს მოეთხოვებათ ნებისმიერი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ზუსტი ლოკალიზაცია. სამწუხაროდ, უმთავრეს შემთხვევაში, ეს მოთხოვნები გათვალისწინებული არ არის. ყოველად შეუწყნარებელია ე.წ. „სამხრეთ ოსეთისადმი“ სამაჩაბლოს ნოდება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამაჩაბლო, რომლის ტერიტორია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიის დაახლოებით 20%-ს მოიცავდა, იყო ერთი სათავადო. ე.წ. „სამხრეთ ოსეთისადმი“ სამაჩაბლოს ნოდება იწვევს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სხვა სათავადოს არსებობის უარყოფას, რაც მთქმელის დაუდევრობის ტოლფასია.

კიდევ უფრო დიდი შეცდომაა ე.წ. „სამხრეთ ოსეთისადმი“ ოსეთის ნოდება, რაც ზოგჯერ საკმაოდ ცნობილ პოლიტიკოსებს ემართებათ. ასეთი შეცდომის საფუძველზე ჩვენ ძალაუვნებურად ვკარგავთ აღნიშნულ რეგიონზე საკუთრების პრეტენზიის უფლებას. ვისაც მიაჩნია, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოსეთი უწოდოს, მაშინ ოსებთან დავა უსაფუძვლო გამოდის. ჩვენი ესოდენ მცდარი ნომინაციის საფუძველზე ყოველ ოსს შეუძლია გვიპასუხოს – თუ ეს რეგიონი ოსეთია, მაშინ ქართველები რაღას გვერჩით ოსებს?

ობიექტური მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ ქვეყნის ან მისი ნაწილების დაცვის აუცილებელი პირობაა ზუსტი ლოკალიზაცია. ეს უნდა ახსოვდეს ყველა ქართველ მოღვაწეს, ვისაც საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე და მომავლის პერსპექტივაზე გული შესტკივა.

ვალერიან ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ჩენარად, ჩარსულა, ჩენარად!

დიდი და პატარა

ყველაზე ბურუსით მოცულ, გამოუცნობ პიროვნებად ჩემთვის მაინც სტალინი რჩება. ჩვენი გორელი სოსელი. ხომ გახსოვთ:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“...
მერე სასულიერო გიმნაზია და ბოლოს – მავზოლეუმი, წითელ მოედანზე.

საინტერესო იქნებოდა მისი როლის თამაში კინოში. არა ისე, როგორც ამას დღეს რუსები ან უცხოელები აკეთებენ, წარმოაჩენენ როგორც კაციჭამია მონსტრს, და არც ისე, როგორც გრიშა ონიანს წარმოუდგენია. მე შუაში მინდა გავლა.

მამარდაშვილი ამბობს: „არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებს სტალინს მსახიობი, მაინტერესებს, როგორ თამაშობდა სტალინი – სტალინი!“

მეც ეს მაინტერესებს! რას თამაშობდა და რას აკეთებდა ის გულწრფელად?

სტალინის როლის პირველი შემსრულებელი კინოში გახლდათ გამოჩენილი რუსი მსახიობი დიკი.

ეს მსახიობი თვითონ ბელადმა ამოირჩია იმ მრავალი შემსრულებელიდან, რომლებიც აჩვენეს.

უტყუარი შეფასებები ჰქონდა სტალინს ხელოვნებაში, საზოგადოდ, და აქაც – არ შემცდარა: დიკი სტალინის როლის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.

იშვიათია მსახიობი, სასმელი რომ არ იტაცებდეს, და რუსი – განსაკუთრებით. დიკიმაც, დაამტკიცეს თუ არა როლზე, სანამ გადაღებები დაეწყებოდა, აუშვა აფრები. მოგესხენებათ, სტალინი გვიან იძინებდა და ერთ მშვენიერ ღამეს ბელადმა თავისი განმასახიერებლის უფრო ახლოს გაცნობა მოისურვა.

აფრინეს კაცი, მაგრამ ისეთი გაპოზილი მთვრალი დაუხვდათ „ენკავედეს“ თანამშრომლებს ბელადის განმასახიერებელი, რომ მის ტრანსპორტირებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სტალინს ხომ ვერ შეებდავდნენ სიმართლის თქმას და უთხრეს: „ქალაქიდან ყოფილა გასული, ხვალვე მოვაბრუნებთ“.

დილით გრძელი აღმზრდელობით-შეშინებითი მუშაობა ჩაუტარეს აქტიორს, ესეც არ აკმარეს, თანამშრომელ-დარაჯი მიუჩინეს, იმ შემთხვევისათვის, თუ კვლავ დაღვევას მოინდომებდა.

მაგრამ კარგი მსახიობი რის მაქნისია, თუ „ჩეკას“ ბიჭებსაც კი ვერ გააცუცურავენ. მეზობლის ბავშვებს აგზავნიდა „გასტრონომში“ არაყზე და ისე იღებებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევე გაიხსენა სტალინიმა დიკი და მიაკითხეს. მიაკითხეს და გადაფრინდნენ, ისეთ დღეში დახვდათ.

ანჯდრიეს, ცივიდან ცხელ შხაპში აღურთვინეს თავი და, ცოტა რომ დაამსგავსეს ადამიანს, „კუნცე-ვოსკენ“ გააქანეს.

ზის მისაღებ ოთახში ახალგამოღვიძებული, ახალგამოფხიზლებული, ჩვენ რომ „პახმელიას“ ვეძახით, იმ მდგომარეობაში მყოფი მსახიობი და ელოდება კატასტროფას.

გაილო კარი და შემოვიდა, კი არ შემოვიდა, შემობრწყინდა მზე ჩიზუხით ხელში. ხელოვანსა და დიდ ხელოვანს შორის დაბალი მაგიდა დგას.

ჩაშტერებია თვალბეჭედი „დიდი“ აქტიორი – „პატარას“. მზერას არ აცილებს. ასე განვლო რამდენიმე ხანმა.

შემდეგ „დიდმა“ მზერა კარებისკენ გადაიტანა. შემოდის ამხანაგი პოსკრებიშვი.

უახლოვდება ბელადს. სტალინი რალაცას უჩურჩულებს ყურში და ისიც იმ წამსვე ტოვებს ოთახს, რომელიც კინოგადაღების მოედანს უფრო ჰგავს.

გრძელი პაუზა.

პოსკრებიშვი ბრუნდება. ხელში კონიაკით სავსე მძიმე ფაიფურის გრაფინი უჭირავს, ორი ჭიქით.

მაგიდაზე დგამს.


„დიდი“ იღებს გრაფინს, ავსებს ბოლომდე თავის ჭიქას. უჭახუნებს სტუმრისას, რომელიც ცარიელია...

„პატარა“ დაბნეულია, გაბითურებულია, რა ქნას? აილოს თავისი ცარიელი ჭიქა და მიუჭახუნოს ბელადისას? ითამაშოს? მოატყუოს? შეარჩენენ ტყუილს? „ნი ვიუუ“ გაუკეთოს? ვის? სტალინს? ამ ტანჯვაშია, არაადამიანურ ტანჯვაშია დიკი, რომ მშველელად ისევე ეგლინება.

– „გაგიმარჯოს – ამბობს სტალინი და ბოლომდე ცლის ჭიქას! – ახლა უკვე გავსწორდით“.

– ამბობს „დიდი“ აქტიორი და უღიმის „პატარას“!!! ფიქრობ, „დიდმა“ უკეთ ითამაშა სტალინის როლი, რადგან დიკი არავის ახსოვს, სტალინი კი კიდევ დიდხანს შემორჩება კაცობრიობის მეხსიერებას.

რუსთაველის თეატრს რომ ჩაუფული ხოლმე გვერდს, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს იქ, იმ დიდებულ სცენაზე ოცდაათი წლის განმავლობაში მე კი არა, ვილაც სხვა, ჩემი ანონიმი ორეული თამაშობდა. ამ მოვლენაში რაიმე განსაკუთრებული შეიძლება არც არაფერი იყოს, მსახიობები სულ სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობთ, სხვას ვბაძავთ, სხვას ვიმეორებთ და ბოლოს, როცა თამაშს ვამთავრებთ, როცა საკუთარ თავს ვუბრუნდებით, იქ ყველაფერი უცხო და უცნობი გვეჩვენება. ამიტომ ჯობია სულ „გარეთ“ იყო, სულ ითამაშო, სულ სხვა იყო, რათა არ გრძნობდე საკუთარ თავთან გაუცხოებას, გაუცნაურებას თუ რალაც ამგვარს.
მაგრამ არსებობს საშიშროება. შეიძლება როლში ისე შეხვიდე, რომ უკან ვეღარ მოახერხო გამოსვლა და გახდე „შტამპი“, ერთი როლის მსახიობი.
დიდი მსახიობი ის არის, ვინც როლიდან დროზე გამოდის, ვინც დროულად უბრუნდება თავის თავს, რათა კიდევ ერთხელ ეცადოს გახდეს რაც შეიძლება „სხვა“.
ახლა მე ვნერ და ვხვდები, წერაც თამაშია, ოღონდ სულ სხვანაირი თამაში...



გიორგი არამბიძე

სინოფსისი

არინა მსახიობები, რომლებიც დიდი ჟინითა და მოთმინებით ირგებენ როლებს საკუთარ სულზე.

ეს რთული პროცესი, ნიჭის გარდა, ოსტატობას, დიდ სულიერ და ფიზიკურ ენერჯიას მოითხოვს. ძალიან ცოტას შესწევს უნარი ამ გზის გავლისა. ასეთ აქტიორს „შემსრულებელს“ ვეღარ დაარქმევ. ის თანაავტორი ხდება და ძნელი გასარჩევი არ არის იმისგან, ვინც როლს სულში და გონებაში კი არა, თქმობებში ატარებს და იმიტაციას სჯერდება მხოლოდ.

მაგრამ ამ თანაავტორებს, სუპერმსახიობებს, ერთი თვისება ახასიათებს: მას შემდეგ, რაც საკუთარ როლს გაინაღდებენ, უკვე მთელი ფილმის ან სპექტაკლის მორგებაზე გადადიან.

რეჟისორები ერიდებიან ასეთი ენერჯიისა და ძალის მსახიობებთან მუშაობას, ეშინიათ ქარიშხლებისა და ხშირად მათ „შემსრულებლებს“ ამჯობინებენ. სწორედ ასეთი სუპერმსახიობების რიცხვს მიეკუთვნებოდა სერგო ზაქარიაძე.

ის უკვე დამტკიცებული იყო სტალინის როლზე, ხუთსერიანი ფილმ „განთავისუფლებაში“, კოსტაიმიც კი შეკერილი ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს აღარ დაუძახეს. რატომ? მეტი მოუნდომა რუსებს, სტალინის რეაბილიტაცია მოინდომა. მიუხვდნენ და მოიშორეს. შემდეგ ეს როლი მის ძმას, მშვენიერ მსახიობს, ბუხუტი ზაქარიაძეს ათამაშეს. ისე, როგორც თვითონ უნდოდათ! მაშინ ცოტა დაიძაბა ძმებს შორის ურთიერთობა, რისი მოწმეც ჩვენც გახლდით, ადამიანები, ვინც მათ გვერდით ვცხოვრობდით. მერე ეს იუმორის თემად იქცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე.

მე თავდაცვ მივღებდნენ ამ ფილმში პატარა ეპიზოდში: მელიტონ ქანთარია ვთამაშობდი ბოლო სერიაში. ერთი თვე ვიყავი ბერლინში, სულ ხუთი თუ ექვსი გადაღების დღე მქონდა და უსაქმურობისგან დავწერე სცენარი, რომლის მოკლე ვარიანტსაც ახლა შემოგთავაზებთ.

პირველი კადრები ასახავს ფილმ „განთავისუფლების“ ტრიუმფალურ მოგზაურობას მსოფლიოში:

პრემიერები პარიზში, ლონდონში, რომში, ტოკიოში. ფილმის დაწყების წინ სცენაზე – დამდგმელი ჯგუფი და, მათ შორის, სტალინის როლის შემსრულებელი – ბუხუტი ზაქარიაძე. ტაში, ოვაციები!

ბედნიერი ბუხუტი ბრუნდება თბილისში და განაგრძობს ჩვეულებრივ ცხოვრებას: თეატრი, რესტორანი, კინოსტუდია...

ერთ მშვენიერ დღელს თავნაკრული, „პახმელიაზე“ მყოფი ბუხუტი ლოგინში ნებივრობს. გაბმული სატელეფონო ზარი! ხმა ყურმილიში: „ბუხუტი ალექსანდროვიჩ, თქვენთან საუბარი სურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს!“ გაფითრებულ, თავნაკრულ ბუხუტის ბრეჟნევი ეუბნება: „პოლიტიბიურომ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დაადგინა სტალინის რეაბილიტაცია და მისი მავზოლეუმში დაბრუნება, რომ ამ ბარდაგში (ზუსტად ასე ბრძანა, „ბარდაგში“-ო), რასაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, წესრიგი დამყარდეს. ვინაიდან დიდი ბელადის სხეული ცოტა შელახულია, იქნებ შენ დანვე მის მაგივრად მავზოლეუმში. დიდი ამბავი, „სტალინისათვის, სამშობლოსათვის“, დღის 11 საათიდან 1-მდე გაგიჭირდება, მერე ჩვენ ვიცით შენი პატივისცემა“.



სინარულისა და მოულოდნელობისაგან ბუხუტის გულს უვარდება საგულედან. დახეტილობს თბილისის ქუჩებში, ქეიფობს, ლოთობს, ფიქრობს, წონის, მერყეობს. ხან უხმობს პატრიოტული ვალი, ხან – არა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საიდუმლოს ვერავის უმხელს. ხომ არ გააბაზრებს სტალინის „ტუფტობას“. ბოლოს იღებს გადაწყვეტილებას. ცრემლიანი თვალებით ემშვიდობება თბილისს, ახლობლებს და სპეცთვითმფრინავით, რომელიც უკვე რამდენი დღეა, მხოლოდ მას ელოდება აეროპორტში, ტოვებს საქართველოს დედაქალაქს, იქნებ სამუდამოდაც!

პირველი სერიის დასასრული

მეორე სერია

გენერალისიმუსის ფორმაში გამოწყობილი, ოქროს ვარსკვლავით მკერდდამშვენებული, უღვაშებდაწყობილი ბუხუტი წეს ლენინის გვერდით, მავზოლეუმში. მოდის დაუსრულებელი ნაკადი მნახველებისა.

ბევრი ტრაგიკომიკური ეპიზოდია შემდეგ! სახეზე ბუხუტის დაჯდომიდან დაწყებული – კუჭის აშლილობით დამთავრებული. ბუხუტის კუჭზე მოგახსენებთ, თორემ ლენინისა და სტალინის კუჭის აშლამდე არაფერი გეტყვინათ.

ბედნიერია ბუხუტი, მაგრამ სამშობლოსა და მეგობრებზე დარდი კლავს. პირველი საათის შემდეგ სრულიად უსაქმურია. კი, კრემლის კედლის იქით ცხოვრობს და სულ და გულს, რასაც მოისურვებს, ყველაფერი აქვს – საჭმელ-სასმელი დაწყებული, ქალითა და ველოსიპედით დამთავრებული. კი სერიზობს ამ ველოსიპედით ღამობით კრემლის ეზოში, მაგრამ მარტოა, იზოლაციაშია. ძნელია მარტო თამაში, მოინყინა, დადარდიანდა, დაიძვინჯა კაცი.

ერთ მშვენიერ დღელს სამსახურში, ე. ი. მავზოლეუმში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ე. ი. სტალინის მაგივრად კუბოში წოლის დროს, შემოვიდა ნამდვილი ტერორისტი და... თვითნაკეთი „ვზრიფატკით“ ჰაერში აუშვა ლენინი, საკუთარი თავი და, როგორც მას ეგონა, მკვდარი სტალინი, სინამდვილეში კი – ცოცხალი ბუხუტი.

ასე ტრაგიკულად, მაგრამ გმირულად მთავრდება ფილმი. თუმცა აქვს ამ სცენარს მეორე ფინალიც – „შეფიენდი“, ასე ეთქვათ, თუ ამას „შეფიენდი“ ეთქმის. დრო თავისას შვრება და... ბერდება ბუხუტი, „პროფნეგონი“ ხდება, შესახედავად ველარაა ისეთი, უკვე ნაკლებად ჰგავს ბელადს და ისედაც! აბა, ჩანქით ორი საათი გაუნძრევლად კუბოში. ჰოდა, ახლა უკვე დამსახურებულ პენსიონერს სტალინის ერთადერთი ვარსკვლავით აჯილდოებენ საზეიმოდ, კრემლოში, წმ. გიორგის დარბაზში. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ პოლიტიბიურო ესწრება ზემს, რადგან ეს დიდი საბჭოეთის დიდი საიდუმლოს ნაწილია. ბრუნდება თბილისში ღვანლმოსილი მოხუცი, მეცნიერი, თუ გმირი, თუ სტალინი, თუ საბჭოთა იდეებს ზვარაკად შეწირული ქართველი. მაგრამ, ვაი, რომ ველარავინ ცნობს! აღარავინაა მისი გარემოცვიდან, ნაცნობებიდან. დაეხეტება მარტოდმარტო თბილისის ქუჩებში. ბოლოს გალოთდება და ერთ ზამთარს მთანმინდაზე, კეკეს საფლავზე პოულობენ მიყინულს, როგორც სოსიას – ოთარაანთ ქვრივისაზე...

რაც ყველაზე მეტად მომწონს პირადად მე ამ ისტორიაში, ის გახლავთ, რომ ტიტრებში ასე წერია:

ბუხუტი ზაქარიაძის როლს ასრულებს – სერგო ზაქარიაძე.

ე. ი. ბუხუტის თავისი თავი არ ვათამაშე, სერგო ვამჯობინე.

ერთხელაც, სუფრასთან ბატონი ბუხუტის თანდასწრებით მოვეყვი ეს სცენარი და რომ მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც ბუხუტის როლი სერგოს ვათამაშე, ავისმომასწავლებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ზის უძრავად ბატონი ბუხუტი და არაფერს ამბობს, პაუზა აუტანელი ხდება, მძიმედ გამოიხედა, ასნია მარჯვენა ტორი, სხვას ვერაფერს დაარქმევ, უზარმაზარი მავჯები ჰქონდა და ნელა წარმოთქვა:

„რო დაგკრავ ამას ახლა თავში, მერე ნახე შენ, მოგალანდებ სტალინს, მავზოლეუმს და „ასვბაჟდენის“!“

მიწისქვეშა სავაჭროების რიგი

(მეტრო „სამგორის“ გვირაბი)

მიწისქვეშა აცმა – გიშერი, ქარვა...
ბრწყინავს ბეჭედი – სამშვენი თითის;
ვინ მოიზომავს ასობით შარვალს,
ეს ქალი რამდენ ფეხსაცმელს ყიდის?

წრე, განლაგება – გონმა დაბადა,
აქეთ – ხალათი, იქეთ – ლაბადა...
უთუოდ ხელი მართავს ვილაცის –
უთოებს მწკრივი მისდევს ტაფათა.

ისმის წიკნიკი – მუდარა, აჯა,
უმზერ საათებს, ღამენათევარს;
სად მოიძებნოს ამდენი მაჯა,
ერთ სტენდზე როგორ შეძლეს დატევა?

ძნის შესაკონი, ჰკიდია ულო,
სასუნავს, საჭმელს ნუ ეძებთ ნურსად;
სულგუნე, ლორი... სულო და გულო! –
ვეება კუთხე ეთმობა სურათს.

ხორა ძეხვების – იაფთა, ძვირთა...
თუკი შეჩერდი, აარჩევ რასმე,
რამდენი ჭიქის მიტანა პირთან,
ბოთლები. ამდენს ვინ დალევს სასმელს?

გაცვდი ვიტრინებს, ხორაგით სავსეს,
ფარდულში, ვისაც გინდა, შეუვლი.
თონის პურები გაცვივა თავზე,
ქათმების გვერდით – რა თევზეული!

რამდენი რამის მოასწარ ნახვა,
მიჰყვები ვინრო აღმართ-დაღმართებს...
ვიდრე აქედან ჰაერზე გახვალ,
დაგხუთავს ბული, შენსას დაგმართებს.

უქმად ნაწნალი შენი ჰობია,
მალე ეწვევი, ალბათ, ვარკეთილს,
ამ ნაბმულ დახლებს ბევრად ჯობია,
თქვეს, იქაური სუპერ-მარკეტი.

გაუნელაპელი სითგო

თითები თქვენი – თეთრი, თლილი,
თქვენი ოთახი, დაფოთილი,
ზედ ჭერთან – მწვანე ხვიარები,
არ მავინყდება, მახსოვს, ლილი!

ენაცვლებოდა სიზმარს ცხადი,
არაყი მასვი, ორნახადი...
გალიმებულმა, ყურში მითხარ,
გამწყრალი მყავსო ანჩის ხატი.

იმ მოგონებით სული თვრება –
კრწანისის მხარე, ფარდის ნისლი...
ის მყუდროება მენატრება,
ვინ დამიბრუნოს ის მაისი?!

სად წაგიყვანეს მენადებმა,
ის გაზაფხული მელანდება.

ლაფდასასხმელი

მიდის ცხოვრება, დღეს მოსდევს ღამე,
კვლავაც მზადდება სადილ-სამხარი;
თითებს დაიჭამ, იმდენი რამე
მოხდა საწყენი, არგასახარი.

ლამის გამგუდოს ჩუმმა ცრემლებმა,
საწუთრო ფიქრებს გვიმატებს, კვიმატს...
მარჯანიშვილზე გამომცემლობა
ვინც გააუქმა, სირცხვილი იმათ!

ბათუმის მატარებლით მივდიოდით

(ნახევარი საუკუნე გასულა)

მახსენდება (კვენის, ბორგავს
გული დანაკოდარი):
აბულაძე, მირიანი,
ალანია, ნოდარი.

ვხედავთ – ღამით, რბილ ვაგონში,
ორი მთვრალი იცინის;
მე და დათოს, წერედიანს,
დაგვემგზავრნენ ისინი.

ხითხითებდნენ – „ფეროს“ გამო
ატყდა ომის ყიჟინა;
ჰიტლერს „ფერო“ უნდოდაო,
ორივემ დაიჟინა.

არ დაუთმო სტალინმა და
ქეც დაგვარტყა ვერაგმა;
წელში გავწყვდით გავიჟუჟეთ,
მტერი რომ აგველაგმა.

მოგვეფერნენ: აი, ასე,
დავილუპეთ ფეროთი!..
ბორბლების წელ რაკა-რუკში,
ოთხნი მივიმღეროდით.

უთქვამთ: ერთი ნაბიჯია –
სასახლიდან ფაცხამდე;
ვინც იმ ღამეს დამიბრუნებს,
ღმერთად გამოვაცხადებ.

ერთ ფიორსაც არ ვამეტებ
(მთებს ცვლიან ფიორდები)...
ჩამოვბერდი, რაც დრო გადის –
ზესტაფონო, გმორდები!..

ის გვაპართიანებს

გაყოფილია საქართველო
სამრეკლოდა და მინარეთად;
ვწუხვართ, საშველი არ დაადგა –
გამოღვიძებას მძინარეთა.

ერთი გვაქვს სისხლი, მოდგმა, ჯიში,
მალლით დაგვყურებს ზენაარი;
რა გვაქვს გასაყოფ-გასათიში,
ჩვენი შემკრავი ენა არი!

პრაზანები სიცივეში


(საბურთალოს სასაფლაო)

ფურცელცვენამდე, წვენს, ყვავილისას,
ფუტკარი აქცევს თაფლად...
გამოფიტული, ორი კრაზანა
დააცოცავდა საფლავს –

ფრთებგაცრეცილნი, საბრალო იყო
ლოღვა იმათი, ბლანტე...
დალაქავებულთ, ყვითელი ზურგი
თაფლის უგავდათ სანთელს.

შევატყვე, ფრენის არ ჰქონდათ თავი,
არც გადნენ ყინვის ამტანს...
ღამით ორივე გაიფიჩხება –
უხმარ, პანია შხამთან.

ცილანარევი ნათელი ედგათ,
ცივ ქვას ახებდნენ ცაცებს...
ვწუხდი, დავცქერდი სიმშვენიერეს,
ქარისგან გასატაცებს.



ემზარ კვიტაშვილი

გასუსვა. დუნე დინება დღეთა,
გულს რო მალამოს ვერ ცხებს;
მონყლული წყვილი, გაისისათვის,
ნაფოტზე დაყრის კვერცხებს.

რა იძნებოდა?!

რა მრჯის ვიცროუო, ცრემლი მერევა,
ვამბობ, გულგანაბასრი –
უდედამინოდ, ნათებას მზისა,
არ ექნებოდა აზრი.

ახლა რომ არის, იმაზე მეტად,
ცის მოიწყენდა უბე;
დაცერებული – ნარწევს, დაკიდულს –
ვერ შეფერავდა ღრუბელს.

ვინ რა გაიგოს წაღმა-უკულმა
დატრიალებულ ჩარხის?!
რა იქნებოდა – ამაზე თავის
ტეხვა, კანკალი არ ღირს.

წუსანდელი სიზმრიდან

მევსება ორთავ თვალი, სოველი,
რკინის ჩავცქერი ჯამს...
ყივილი მამლის და დღე, ყოველი –
ნაბიჯებს, ჩემსას, ჭამს.

გავცხარდი, პირი არ დავაკარე,
სიმწრით გამომცხვარ კვერს...
ვხედავ, ამინდი დგება საქარე,
ძვლებს, ჩემსას, ძალლი ტკვერს.

სურათს, უამურს, ველარ ვიცილებ
და ცელის ვბლუჯავ ტარს...
მალე დამცვივა ფერფლი, ნაცარი,
კვამლი მეველება გარს.

პრემიათა მიმნიჭებელი

(ჟიურისტები)

არ ვარ ნაწყენი და განაბუტი,
როდის ვთქვი: „მე და ჩემი ნაბადი!“
მაქვს საკმაოზე მეტი საბუთი –
ბევრნიც არ ღირხართ თქვენი „საბათი“.

ნუ ფიქრობთ, გასმენთ სიტყვას მუდარის,
ზეტალანტების გიდევთ კალათი;
იყავით და ხართ გასააუტარი,
ყოველწლიური თქვენი „გალათი“.

გაბოლა

„ეს არის ძახილი,
რომელსაც გარდაცვლილთა სულების
გაყინული სიზმრები ეხმებებიან მაშინ,
როცა ისინი,
როგორმე რომ გათბნენ,
ცოცხლების თბილ სიზმრებში შემოდინ.“

მილორად პავიჩი

I
ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
გააღე სახლის ყველა თვალი, გააღე კარი,
არ შეიმჩნიო ღობის გვერდით თუთა მოჭრილი
და არც განწყობა მოიშორო, რაკი აიღე.

ისე წამოდი, არ შეხედო სახეს სარკეში,
თორემ არსებობს ალბათობა, ველარ მომაგნო.

ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
ვიქნები ბავშვი – დაკარგული თივის ზვინებში,
ვიქნები კაცი – დაკარგული უხმო სიზმრებში,
და არ ვიქნები, ამინდები თუ დაიჭირა.

II
ათამდე ვითვლით და თამაშს ვინწყებთ.
გამხმარი ხის ტოტები არის თოფები,
მინა არის მინა,
სახლი სახლია,
მეგობარი – მტერი,
ხოლო ეზოში ხის სკამი არის საფლავი.

გოგოებიც ითვლიან ათამდე და იწყებენ თამაშს –
დროშობანას, ორდროშობანას თუ როგორც არის.
გამხმარი ხის ტოტები არის დროშები,
მინა არის მინა,
სახლი სახლია,
მეგობარი – მტერი,
ხოლო ასფალტზე ცარცით გავლებულ ხაზზე
გადის სიკვდილი.
ჩვენ ომობანაში დავიხოცეთ
და ხის სკამზე დავიმარხეთ.
ისინი ხაზს იქით გაშემდნენ,
ისე, რომ უკან არც მოუხედავთ...

III
ქარებშეშლილი ამინდები თუ დაიჭირა,
ნიშნავს – ბავშვობა შემოვიდა ჩემთან
სითბოსთვის.
არ შეიმჩნიო გამოსვლისას თუთა მოჭრილი,
და არც სარკეში ჩაიხედო – ისე წამოდი.
გაშილი თმები დამაფინე გაყინულ შუბლზე
და მე სახლიდან დამიძახებს დედა ვახშმისთვის.

შენ ახლა სახლში ხარ, ცხრა წლის და ანთია
ლუმელი.
არ არის სინათლე. ბავშვურად შიშშიმდგარ
კორიდორს
უყურებ. ხელმარცხნივ ფანჯრებთან ღამე ჰგავს
ილუმენს,
რომელიც იმდენად ცივია, – გითოშავს
კიდურებს.
ლუმელში გიწყვია იმედი – ორიოდ კარტოფილს
ინვაგ და იცი თუ რაოდენ ზარმაცობს სანთელი.
არ გინდა ისწავლო, დროს ნელავ, ფეხებთან
კარტებს ფენ.
უკეთებ ფოკუსებს შენს თავსე. ატყუებ. ანტენა
სულ უქმად ჰკიდია ჰაერში – სინათლე არ არის,
დღეობით, თვეობით შეჰყურებ სახურავს
გარაყის,

რომელზეც წლების წინ დაკარგე ბურთულა.
ირისებს,
მეზობლის ნაჩუქარს ინახავ უფრაში. არ არის
სინათლე. და გინდა იცოდე სად არის თბილისი,
მოსკოვი, აშშ და შემდეგ ამისა, ძილამდე
ოცნებობ
მოვიდეს სინათლე,
იპოვო ბურთულა,
გარეშე სირბილის
გაუყვე კორიდორს,
გიყიდონ თევზები,
სულ ორი, ან სამი,
სკოლიდან მოსულმა
გაუყო საჭმელი,
გქონდეს ხე ბანანის
არ იყოს ზურგს უკან
ის ღამე, რომელიც
ნააგავს ილუმენს,
რომელიც შიშისგან
გითოშავს კიდურებს.
სინათლე არ არის.
სინათლე არ
არის..

დროა იმეცადინო.
წიგნები კორიდორს მიღმაა, მეორე ოთახში.
სულ ორი ოთახია.
ღამით კი ნახავ სიზმარს,
როგორ იღებ უფრიდან მეზობლის ნაჩუქარ
ირისებს
და ევაჭრები ღმერთს.
სამი კანფეტი – ერთი ადამიანის სანაცვლოდ,
რომ მეტი არ გაქვს,
ღმერთს ეცინება და თანხმდები:
სამივე კანფეტი ერთი მონატრების სანაცვლოდ..

უქარო ოთახები

I
როდესაც მეორედ მივედი იმ სახლში – ცრიდა.
იდგა რამდენიმე ხე ვაშლის
და მკვდარი მზე.
დავტოვე წერილი მტვრიან მაგიდაზე.
საკიდზე იყო ქურქი – პატრონის მოლოდინში,
რომელიც წლებია იქცა მინად.
კართან კი ინვა ბოლო შიში.

ჭაში არ იყო წყალი – დააშრო შიშმა,
ხეებზე არ იყო ვაშლი – შეჭამა შიშმა
და არც სახლის კარი იყო მიხურული –
გაალო შიშმა და დანვა.

II
როცა ოთახის მოღალატე ქარი ჩადგება,
რომ ეძახიან ორპირს, ვხურავ ყველა ფანჯარას.
კედელზე რუკა სიზმრების. და ადის აბება
არის სულ ბოლო სიზმრის ჰავა – სიმშრალის
ჯარი.

როცა ოთახის მოღალატე ქარი ჩადგება,
გულმოდგინებით, საგანგებოდ ვხურავ
ფანჯარას;
ერთი.
ორი.
სამი.

III
„გაიღვიძე, შვილო, ღმერთი ქადიანებს ყრის
ციდან“ –
მამის ნათქვამი ნიშნავდა მზეს.
და ახლა, როცა ჩემით ვიღვიძებ,
არ მიყვარს ქადა.
სანოლთან მიდგას წყალი,



ლევან მაისურაძე

სიზმრების შემდეგ ვსვამ და ვბუტბუტებ.
წყალს ვატან სიზმრებს ჩემივე თავში.
სანოლთან ყოველთვის მიდგას წყალი.

II
როდესაც წერილს ვხსნი,
ყველა ფანჯარა დახურულია.
„წერილები ჰგვანან სიკვდილს“.

I
როდესაც მეორედ მივედი იმ სახლში,
ალარ მივსულვარ მესამედ,
რადგან იქ დავრჩი,
რადგან სახლმა დამიტოვა,
რადგან წერილები ასე ჰგვანან სიკვდილს,
ვდგავარ მტვრიან ოთახში
და ჩამონგრეულ კართან განოლილი ბოლო შიში
მიღრენს.

მე ვარ გაქცეული სიზმრების სახლი
მიტოვებულ სიჩუმის სახლში.

პარმა

კუთხის ოთახი ღია ფანჯრით – რაფაზე ვაზა,
ეზოს მეზობლად თეთრი თუთა – ქუჩის შეიხი,
ინვე გინდა და დაიღალე, მცირედი ჯაზი,
გემოვნებისთვის, თეითუმა, ქაუნთ ბეისი.

და ასე, უკვე მეთორმეტე ჩააქრე ფიქრი
ხის საფერფლეში, გახურაზე შემდგარ ჩაიდანს
ხედავ რომ ყვირის, გეზარება და გინდა პირში
ჩასჩარო რამე, და ნერვები ცოტა და ჩია

შემოგრჩა, კადრი რომელიც ძველი კინოდან;
გარეთ ღრუბლები დასერილი – მზეა ჰამაკში,
უნყლო ქოთანში შემოაცვდა ტანზე კომონო
თეთრ ქრიზანთემას და უთუოდ უხმო ჰარაკირს

აპირებს, ანუ არ იქნება არავინ მოწმე,
მხოლოდ კოპიო, ველასკესის ქონდრისკაცები.
შენ კი მანამდე მეცამეტე საფიქრალს მოწვე
და იგრძნობ (სადღაც შუანელში) ისიც ბაცია.

და გინდა ადგე, მიაფურთხო ყველა დანარჩენს,
მერე ივლისით რუფმიღებულ თვეში იარო,
მაგრამ ქალაქი, სადაც მხოლოდ თავის რჩენაც ჭირს,
გიკარგავს ხალისს, ივინყებ და ისევ აურევე

ფიქრებს, ღამეებს, ხასიათს და რაც კი შენია.
და ისევ ძველი თეითუმა, ქაუნთ ბეისი,
ღია ფანჯარა. ცა. (საკიდზე ბაცია კაშნე),
ეზოს მეზობლად თეთრი თუთა – ქუჩის შეიხი.



კარგ მთქმელსა და ასეთსავე გამოვლენს ერთმანეთის პოვნა სულ უფრო უჭირს. შესაბამისად, ორივესთვის სასურველი გარემო იშვიათად იჩენს ხოლმე თავს. ამიტომაცაა, რომ მსგავსი მოვლენების დასაფიქსირებლად „მოდარაჯე კაცის თვალთ“ საჭირო. თუმცა მთავარი მაინც მონდობებაა.

2013 წლის 14 ივლისი. გორი. სცენის დეკორაცია – რკინიგზის სადგურის ჩვეულბრივი ბაქანი, მატარებლის რელსები, შუქნიშნები. უამრავი თვითმფრინავი, ოღონდ ქალაქის, თამამად რომ შევიძლია მტერსაც და მოყვარესაც დაუშინო, რადგან მისი „გზავნილი“ შიშს კი არა, ხელოვნების სიყვარულს თესავს.

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში გამართულ თანამედროვე პოეზიის სალამო-პერფორმანსს და ღონისძიების ლოგოს – მავთულხლართს წარწერით – „გადააბიჯე, ხელოვნებას საზღვრები არ აქვს!“ სულ რამდენიმე კილომეტრში გავლებული საზღვრის პირობებში, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა.

პერფორმანსში მონაწილეობდნენ თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეულად საინტერესო და ნიჭიერი წარმომადგენლები: ლევან მაისურაძე, დიმიტრი ბახუტაშვილი, გეგა ოდიშელი და გიორგი ლაცაბიძე. მათ მსმენელს არა მარტო თავიანთი, არამედ, ზოგადად, თანამედროვე ქართველი ავტორების – გიორგი საჯიას, ნიკა ჩერქეზიშვილის, ბექა ახალაიას, შალვა ბაკურაძისა და სხვათა ლექსები წაუკითხეს.

ის ფაქტი, რომ სალამო შიდა ქართლში გაიმართა, პერფორმანსს პატრიოტულ დატვირთვას სძენდა.

„პატრიოტული დატვირთვის სალამო იყო. ბროდსკი ამბობდა: ავტორის პატრიოტიზმი იმით გამოიხატება, რამდენად ხარისხიანად წერსო. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ხარისხიანი ტექსტების გამოტანა უფრო პატრიოტული იქნებოდა, ვიდრე უხარისხოსი, მაგრამ პატრიოტულის“, – განაცხადა სალამოს ერთ-ერთმა მონაწილემ დიმიტრი ბახუტაშვილმა.

ლექსების შერჩევას ტექსტის ხარისხი ოთხივე მონაწილისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა, ამიტომაც პერფორმანსი დახვეწილი და ემოციური გამოვიდა.

სცენიდან თავისუფლება, სილაღე, ემოცია და ენერჯია მოდიოდა. მუსიკისა და ეფონიის სინთეზი, ინტელექტუალური ტექსტებისათვის დამახასიათებელი სიღრმე, ემოციური ლექსების ხიბლი, კითხვის განსხვავებული მანერა (ამ მხრივ მონაწილეები განსაკუთრებულ ეფექტს ქმნიდნენ), შესაბამისად გაფორმებული სცენა, სწორად შერჩეული განათება და მუსიკა აუდიტორიაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა.

ჩვენთან საუბრისას სალამოს ერთ-ერთმა ინიციატორმა და მონაწილემ, ლევან მაისურაძემ აღნიშნა:

„განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ის იყო, რომ პერფორმანსს ყველა ასაკის ადამიანი ესწრებოდა. იყვნენ გორის თეატრის წარმომადგენლები, უფროსი თაობის მწერლები, პოეზიის მოყვარულები და მათ მოსწონდათ ვერლიბრები, დადებითად შეაფასეს მძაფრი ტექსტები, არ იგრძნობოდა გაუცხოება, „ხიდრატები-ლობა“. ყველაზე ძალიან გამიხარდა ის, რომ თანამედროვე ქართული პოეზია ყველასთვის ერთნაირად მისაღები გამოდგა.“

სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სცენაზე მდგომთა გახსნილობა და გულწრფელობა მსმენელებსაც გადაედო. დამსწრეები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მონაწილეებს თავიანთ ემოციებს უზიარებდნენ.

„ემოციით დავიტივრთე, ყველაფერი მშვენიერი იყო. კმაყოფილი ვარ ჩემი თავითა და მეგობრებით“, – განაცხადა გეგა ოდიშელმა პერფორმანსის დამთავრების შემდეგ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მის შეხედულებას ყოველი დამსწრე იზიარებდა.

ოთხივე მონაწილის აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვისთან ერთად დგახარ სცენაზე. ამავე დროს, მთავარია ტექსტები მხატვრული დონითა და ხარისხით ერთმანეთს შეესაბამებოდეს. ამ სალამოს წარმატებაც, ჩემი აზრით, სწორედ ამან განაპირობა.

როგორც პერფორმანსის მონაწილემ, გიორგი ლაცაბიძემ აღნიშნა, უმჯობესია, ტექსტი მკითხველმა თავად წაიკითხოს, მით უფრო, როდესაც საუბარი არა მხოლოდ ემოციურ, არამედ ინტელექტუალურ პოეზიაზეა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორსა და აღმქმელს თანაბარი სიმძაფრით სჭირდებათ ერთმანეთი. პოეზიის სალამო-პერფორმანსმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ყველანი, რომ ხელოვნებას საზღვრები არ აქვს.

ალექსანდრე ვალიაური, გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი:

– ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. მუდმივად ვახორციელებთ პროექტებს ახალგაზრდებისთვის და არა მარტო მათთვის. მიმაჩნია, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას, ამასთან, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ გორის ტერიტორიაზე მცხოვრებ შემოქმედთა საქმიანობის პოპულარიზაციასაც. ამ ღონისძიების ერთ-ერთი მონა-

სალამო-პერფორმანსი

– „გადააბიჯე“

ნილე შიდა ქართლის წარმომადგენელი ლევან მაისურაძეა.

მიმაჩნია, რომ პერფორმანსის მონაწილე ახალგაზრდა ავტორებმა ქართულ პოეზიაში თავიანთი სიტყვა უკვე თქვეს, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ მათ ამ ინიციატივას მხარდაჭერა გამოუცხადეს და ჩვენთან ჩამობრძანდნენ. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ ყველაფერი კარგად გამოსულიყო, შევექმენით საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დააანონსა ეს ღონისძიება, გავავრცელეთ მოსწავლეები, დავბეჭდეთ პლაკატები და ბანერები.

თავიდან გვინდოდა, რომ ღონისძიებაში პოეტებთან ერთად ახალგაზრდა მუსიკოსებიც ყოფილიყვნენ ჩართული, სამწუხაროდ, ეს რიგი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, პოეზიის სალამოს ჩატარება გადაწყვიტეთ. დავუკავშირდით ლევან მაისურაძეს, რომელიც ჩვენი რეგიონის სახე გახდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტში – „ეგო-არტი“. ლევანმა კი დანარჩენ ავტორებთან დაგვაკავშირა.

აქვე მიინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მრავალი მიმართულებით ვმუშაობთ. წელს დავინყვით გორელი ავტორების პროზისა და პოეზიის რვატომეულის გამოცემა. უკვე

დაიბეჭდა ვანო ჩხიკვაძის (ეროვნული პრემიის ლაურიატი), ზეინაზ მეტრეველისა და გიორგი მახარაბლიძის ნიგნები. ასევე შევეცადეთ წარმოგვეჩინა მხატვარ კახაბერ თოფჩიშვილის შემოქმედება. ის რვატომეულის გარეკანს აფორმებს. ვცდილობთ, ხელი შევეწყუთ ხელოვანთა კავშირის საქმიანობას, ვუთმობთ მათ კულტურის ცენტრის შენობას თავიანთი ღონისძიებებისთვის. ასევე ვეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობის პირებს რაიმე კონკრეტულ სფეროში გამოცდილების შექმნასა და შემოქმედების პოპულარიზაციაში. ამდენად, როგორც ხედავთ, სხვადასხვა პროექტს ვახორციელებთ.

მიმაჩნია, რომ პერფორმანსი, რომელიც 14 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის სცენაზე გაიმართა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გორის მოსახლეობას თანამედროვე ქართული პოეზიის ღირსეული წარმომადგენლების გაცნობის საშუალება მიეცა.

ციცილო ბუკია

თანამედროვე პოეზიის სალამო-პერფორმანსი

„გადააბიჯე“

14 ივლისი
18:00სთ.
ქ. გორი

ლევან მაისურაძე
დიმიტრი ბახუტაშვილი
ბექა ოდიშელი
გიორგი ლაცაბიძე

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი

მშვიდობის ქუჩა 12 ა

მ. ჯ. ოდიანი

სამგლოვიარო ბლუზი

დე, ჩამოვარდეს სიმშვიდე სრული
(არც საათის ხმა, არც წვნიან ძვლისგან გახელებულ ძალთა ნაკენკავი,
არც პიანინოს ხმოვანება),
მხოლოდ დოლთა კვრა და ამ ხმაზე მგლოვიარეთ ზარი მალალი.

დე, მფრინავთ ცაზე კენესით კანრონ: „ის აღარ არის“,
თეთრ მტრედთა ყელი დაამშვენოს შავმა ბაფთებმა,
თვით პოლიციელს, გლოვის ნიშნად, ეცვას შავი ხელთათმანები.

ვინც ჩემთვის ოთხივე კუთხე იყო ქვეყნიერების
და დღის ყოველი მონაკვეთი (სულ მას ველოდი),
ის აღარ არის,
და როს მეგონა სიყვარული სამუდამოდ გაგრძელდებოდა, თურმე
ვცდებოდი...

ახლა ვარსკვლავნი საჭირონი აღარ არიან,
დე, გაქრეს ციდან (მათთან ერთად) მზეცა და მთვარეც,
...და გადავვაროთ ოკეანე, ტყე კი მოვხვეტოთ...
ვერავინ შეცვლის – ის აღარ მყავს – მძულს დღე ცისმარე.

მთარგმნელი
თათია გობალაძე



ზაალ პაპალიაშვილი

ახალი სინამდვილე

„ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა, მეზობლებში გადავარდა“.

გახუნდი ძველ თარზე დაკრულთ - დღეს სოფლის მუცელი როჭორს ფქვავს, მორზეს აპარტში კაკუნობს - ტელეგრაფს მიჰყვება ჭორფლად.

ბოლო დროს - აღარაც ეს კმარა: „მესიჯი“, „საიტი“ და სხვა... დავყარე ფარხმალი - დამალა ამ საინფორმაციო თავსხმამ.

შეჩარებული ნამები

ეკლის ლეიბზე წევხარ დაბერებული ბავშვი: გაიღვიძებ და ტყვე ხარ, დაიძინებ და ფრთას შლი.

ბუ ეზიარება ტყეებს თუ არემარე გლოვობს; ამ დროს ხეებმა ხეებს ჩრდილები უნდა თხოვოს.

მჩატე ლანდების ტევრით რაზე გიხედნეს ყური; ბევრი, სიკეთე ბევრი, მაგრამ ასევე - შურიც.

კეთილშობილი ელდა - განზავებული შიში, გდევდა, დღემუდამ გდევდა, თუ შენთან ერთად იშვა.

კმარა - ჭრელია ქუჩა - ერთი შევლება თვალის; აგერ - მოწყენა თუ ჩანს, აგერ - ღიმილი ჰყვავის.

მთვარის დაირის ტბორში ლალად დაცურავს ხელი და მოცეკვავს ბოშის ახალ სასწაულს ელი.

ხედავ, შორიდან, ხალხში თავს განისხვავებს როგორ, ცილინდრი ბავში - მოსიარულე სოკო.

და ბევრ ამნაირ რამეს ლამბავ გზადგაზა მზერით, და შეჩერებულ ნამებს ჰქვია ღვთიური ძღვენი.

იძენს ჩრდილები ჩრდილებს და შუქზე თბება შუქი, და ფანტაზიის მღვიმეს თავისი თავი უკვირს.

მზე: თარგმანში - პოეზია, თარგმანის-თარგმანში - ჭაღრაკი

ბორბლის მთას - იგივე „ბურბულეთს“ - იგივე მზის ღამესათევარს, მძინარიც თვალთა უყურებ, მზერაში ვუპირებ ჩატევას.

ვინა თქვა - წუთები ასეთი მთვლემარიც სინათლეს არ ქსოვდეს; რასაც რო ჩურჩულით ცას ეტყვი, ასეთ დროს - მეც უნდა მახსოვდეს:

„ჩამცხრალი ვარვარის სითბოდან ამოზრდილ ლავაზე - ბილიკი“... სიზმარი სიცხადეს ითხოვდა და სიზმარს - სიცხადე - პირიქით.

ამხელა ღირსების თავბალიშს ჩვენს გარდა სხვაც ბევრი უყურებს;

ინყება სამყარო-სლაპარი და ყურშიც სამყარო გუგუნებს.

სუნთქვით და, მაჯით და, რიტმით და ფრთხილად რო ჯამდება დუღილი, ნოტიო უბეებს ვინმინდავთ და ღამეს ზიარად ვუღიმიოთ.

პირველი მნათობის პარნასის ხათრსა და რიდობას ვინ მოშლის; სიტყვების ხელმჩატე დგადასმით „როქამდე“ მისულხარ სტრიქონში

და წარბის აზიდვით იშორებ მუქარას და იქით ქადილობ (მოთვინიერებულმა სიშორემ კურცხლები რო დგადმოგვადინოს).

მხარს გარეთ დგამდგარი პუბლიკა ცივ დუმილს აქამდე აწესებს; „ეს ჟინი ბოლომდე თუ მიმყვა“ - იტყვი და მეც თვალეებს ვაცეცებ

და ვფიქრობ: „ეს შიში ვპოვე სად - „მივრბივარ და მაინც მიჭერენ“... რაც ბევრჯერ ცალ-ცალკე მოგვესმა, მას ახლა ზიარად ვიჯერებთ:

„ჭადრაკიც ლექსია ერთგვარი - იმასაც ფიქრები შევინსო“... ამ დილამ ტანმძიმე ბექთარი მოქსოვა და მჩატედ შევინსლავს,

ბორბლის მთას - იგივე „ბურბულეთს“ - იგივე მზის ღამესათევარს; მძინარიც თვალთა უყურებ, მზერაში ვუპირებ ჩატევას.

სასმელი

სასმელი - უფრო რბილად - სასუმელი - ღვინო - „ძველშავი“ და „ციცქა“ და... „არ არის დაეჭიდო სასურველი“ - ამბობ და გემონებება ვინც სცადა.

არადა ცოტა-ცოტა შეხურებით აფრა ფანტაზიის იშლება (რამხელა ამბავია - მეხუმრებით? - ლაზათი ემატება ღირსებას!).

ხანი

წლების წინ, ერთმა ჟურნალისტმა ბალდათის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხანს „იმერეთის ხევსურეთი“ უწოდა...

ანვდილ მკლავივით მალღდება შარა, მივდივარ, წინ-წინ ნიაკი მღერის; ჯერ კიდევ ფუტკრის სახლებად ჩანან, აქედან სერზე სახლები თელის.

ძირს, ხეობაში ხმაურობს ხანის - წყალი და ზურგზე შეუდგამს კაკას-ხიდი და ცხენად კითხულობს თვალი, ჟამს თავის ხელით რომ დაურახტავს.

ზურგსუკან ამ დროს ლაშურა ხვენის, ჭლარა ფშანი - გაბმული ლარად, და ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდის ჩემში, რასაც მიჩვენებ და რასაც მალავ.

და როცა მთიდან ჩამოდის ღამეც და ჯალაბ-ჯალაბ ქუჩდება ყველა, ბურბებთან მიმჯდარ აქაურ ქალებს დეკემბრის მთვარე ამოჰყავთ ყველადა.

- არუ, შე სამგლე! - ხანელი გლეხი საკუთარ ლურჯას გულგარეთ კიცხავს; - მადლობა გამჩენს - მოგიცდა ფეხი, - ჰო, ამას წინად გახსენა ვინცხამ.

მოინვეს ჩემსკენ ღიმილი ფართე (თითთქოსდა მართლა მოვსულვარ სულზე): ამ განსხვავებულ და კერძო ქართველს ხელს როცა ვართმევ - თვალეში ვუმზერ.

„საცხა ნახული ნამდვილად მყავხარ“ - ფიქრობს და მერე შორიდან უვლის: „იქნება ვცდები, იქნება სხვა ხარ,“ - თუ ჩემი ძმა ხარ! - მპატიჟებს გულით.

ხმაც რო თავისი - ბგერების შიგნით, რალაცა განგებ გრძელდება დიდხანს; ვინ თქვა სოფელი, ეს არის წიგნი, ფიქრს რო მოითხოვს და ხშირად კითხვას.

მალდება ცისკენ ბუხრების ყელით და შემღვრეული სერების ფარფლით; და დგას სურნელი, უთქმელი ენით-გაჯერებული რძითა და თაფლით.

და მაინც ერთი შეხედვით კუშტი (შესაბამისი გლოვაც და ლხენაც) - ცას მიშვერილი ბალდათის მუშტი, მთას მიბჯენილი ბალდათის მზერა.

მიუქსიე თვალეები, გაბრაზების ნიშნად (დღემდე შენი ნამების შარავანდედს ნიშნავს):

აჯანყების უნარი, შუბლზე - ხვითქის დღე; თოვლისფერი მკურნალობს ცოდვებს სისხლისფერებს.

მორჩა! - აღარ გჭირდება - მიჯნას უკვე აცდი: ნაჩუქარი დიდება - მორალური მარცხი.

არყოფნის შიში

სულთმობრძაობის ლოცვა - არყოფნის წინა ნამი: თვალში დედდება როცა და კრისტალდება ნამი.

გან-გან დავგიდის მზერა (თავსაც არ ვუმხელთ პირში), რომ მთელ სამყაროს ჯერაც ზარავს არყოფნის შიში.

მშვენივრად იცი და მორცხვად შემომცინი - ტვირთს რომ არ გიმჩატებს ქება შემოდღენილი.


მაინც გსიამოვნებს, მაინც აყურადებ, ცოტა გათამამებს, ცოტა გაგულადებს.

ფხიზლდები ბურანიდან და მღერის ამო სიო: „ჯილდოც ამას ჰქვია სააქაოსიო“.

სიკვდილი

სიკვდილი - მწუხარების მკურნალია, ტკივილის მკურნალი - ჟამია; მთავარი - გამძლეობის უნარია და თვალზე მომდგარი ნამია.

და ნამში ფარულად ჩარჩენილი რამდენი იარა იხსნება; სიკვდილი - ამქვეყნად გაჩენილის ყველაზე მთავარი ღირსება.



გულ კოპიაშვილი მაზასადავ, არაფროკვიდი

დრო, ევროპულ ყაიდაზე გადავიდეთ ჩვენც? პალტო არა მაქვს, პალტო, შემიწავსაყრეთ. საბჭოთა კავშირის დროსაა ეს პალტო ნაყიდი და დაიშალა უკვე ეს ოხერიც, საბჭოთა კავშირის დროს. პანაშვიდებზე ვერ წავსულვარ მშვიდად, კიდევ კარგი, ქორწილებს ვეღარავინ იხდის, თორემ თუ დაგვპატივებდნენ, სირცხვილისაგან ვერ მივყოფდი თავს ვერსად. პალტო მინდა, პალტო!

– დედა ხარ ახლა შენ? – ნაზიკოს ნამუსზე აგდებს ცდილობს ლუხუმი, – ნვეულებას რომ თავი დავანებოთ და აპრილის მცხუნვარე მზეც გადავივინყო, ბიჭების ფეხსაცმელზე მაინც აღარ უნდა იფიქრო? ხომ ხედავ, შემოვხათ უკვე ძველი ბოტასები. რომ დაგიჩემებია, მთელი შენი კომპენსაცია მე მინდა, რომ რვა თვის შემდეგ პანაშვიდებზე თავი მოვიწონო, დღესვე საჭირო ბიჭების ფეხსაცმელი მე უნდა მადარდებდეს მარტო და შენ არა? თუ გავეროპელდი მაგ მხრივაც აქაოდა, სრულწლოვანები არიან უკვე და თავს თვითონვე მიხედნენ?!

– ოი, შე საწყალო, შენ. შენი სახსენებელია სწორედ ევროპა! ევროპას დასცინი, – თავისუფალს, უკომპლექსოს, ცივილიზებულს?! რაღაც კაპიკები მოგიგდეს და ღრეობაზე ფიქრობ უკვე. შეხედე, სერიალებს მაინც შეხედე, შე ოხერო, ნახევარ ჭიქას უსხედან მთელი დღე, სად ხედავ, რომელ ქვეყანაში ქეთივობენ ქართველებივით?

– ქალო! – მთელი ხმით ღრიალებს უცებ და მაგიდასაც უცებვე ურახუნებს მუშტს ლუხუმი, – გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, რომ მე ქართული ვარ და მამასადავმე არა-ევროპელი ვიცი, სახამა ვინა არ ამომიგლეჯია შენთვის, შე ბოლოქანქარა თუთიყუშო, ანდაც უარესი, ევროპელივით არ ამიშვია თავი მართლაც! ხო იქნება ახი შენზე, ღმერთო, თქმაც კი მაპატიე, დავკარგო ქართული სინდის-ნამუსი და ცხვირწინ მოგიწყო ეგ შენგან ნაქები ამერიკულ-ევროპული სერიალები? მაგალითად, ჯერ შენი დაიკო მანანა გავიხადო ხასად, მერე დედაშენი ცილა, ამის შემდეგ შენს დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილებში გავინავარდო, ბოლოს კი მშვიდად და ცივილიზებულად გავეყარო და ცოლად სულაც შენი ბიზნესმენი ლიზაბაბოხანი სიძე ვახუშტი დავისევა?! ჰა?! ხო იქნები ღირსი, დილით მკვდარი შუადღისას საავადმყოფოდანვე პირდაპირ სასაფლაოზე გაგაქანო, ჩაგფლა, ნახევარი საათის შემდეგ კი მაგ ჩამოტყავებულ, ახალმინამიყრილ გულმკერდზე შენი უახლოესი დაქალი ღონდა ნამოგიკოტრილო? არა, ხო ხარ ღირსი, ქმარს ასე თავხედურად რომ მეტიტინები, ავდგა და ქართულად, მამა-პაპურად, სულაც ამ წუთასვე აქედან მიგაპანლურო?

– მა, ხო მიყიდი ამერიკულ ბოტასს? მე ამერიკული, გიორგის თურქული, ჰა, მა? – უკულმა დადებულ წიგნს ხურავს და დახურულს უკვე ნაღმა დებს დათო, მზის სათვალესაც როგორც იქნა, უჩერს სათანადო ადგილს, თვალზე. ეგაა ოღონდ, ოთახი ნეონითაა გაჩაჩხაჩხებული უკვე კარგა ხანია და თუ გარეთ ეპირება, ბნელა და თქეშია... – მა, ხომ მიყიდი? – სათვალის ზემოდან გადმოჰყურებს ლუხუმს და ტელევიზორს რთავს ზმორებით, – ზატო შენც დაგჩენა ბაქსი კაიფისთვის. მარტოს არ გირჩევნია, რად გინდა ზედმეტი ზაზარი?

– დაუნე ერთი მაგ შენს ჭეშმარიტ და ჩემზე უფრო ღვიძლ, აღმზრდელ მამიკოს ხმა, ანდაც სულაც გამორთე... – ტელევიზორს თვითონვე თიშავს ავადთვალვებმონკურული ლუხუმი და შეილს ლამის ცხვირს ადებს ცხვირზე, – და შენც, ჩემო დათიკო, ხომ იქნები ღირსი, გაგილო ახლა კარი და ტკბილად, ცივილიზებულად, ამერიკულად ავიხსნა, რომ რადგან უკვე სრულწლოვანი ვირი ბრძანდები, დროა, მიბრძანდე კანონიერად კუთვნილი ჩემი

ბინიდან და შენივე შრომით ნაყიდი ბოტასით შენივე „ბაქსით“ ნაქირავებ „ბაითს“ მიაშურო? თუ ოდესმე სურვილი გაგიჩნდება ჩვენი ნახვის, კი ბატონო, შეგიძლია მობრძანდე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. ოღონდ, რაღა თქმა უნდა წინასწარი შეთანხმების შემდეგ. შეგიძლია მეგობარიც იახლო თან, „გერლფრენდი“ იქნება თუ „ბოიფრენდი“, მაგას არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, მე რა, გოიმი კი არა ვარ მართლა. როგორც შენ გაგეხარდება, ისე უნდა იცხოვრო, თავისუფალი უნდა იყო ყველაფრისაგან, თავისუფალი! რაში გჭირდება ან სინდისი, ან ნამუსი, არც ერთი არა აქვს კერატს და ვერ დადის არხენიანად აჯაგრულ-პირაქაფებული, ვერ ისწორებს თავისას, თუ?! ახლა კი, – ცოლისკენ შებრუნდა და ხმას კვლავ აუწია ლუხუმმა, – რადგან ასე ძალიან მოგწონთ ამერიკა თუ ევროპა, სწორედ მათი კანონმდებლობის საფუძველზე მოგახსენებთ, რომ ეს თანხა ჩემს პირად საკუთრებას წარმოადგენს და როგორც გამეხარდება, ისე დავხარჯავ – მინდა, ვიქეივებ, მინდა, მათხოვრებს დავურიგებ, მინდა – დავხევე! აი, ხომ ხედავთ, მაინც ქართულად ავურიე, ეგენი დახევენ და ეგენი დაურიგებენ უკანასკნელ ხელფასს მათხოვრებს?! – ქართულ ღვინო ხარით მოუმრგვალდა თვალები წამის წინ ავად თვალბმონკურულ ლუხუმს და უცებვე გადაიხარხარა კიდევაც, – არ გინდოდათ მშობლიური გაყოფა-გამრავლება, – ცოლსაც, შვილსაც, სტუმარსაც-მეთქი, რომ ვამბობდი? კი ბატონო, კი ბატონო!

– კარგი, კარგი, ნუ გადაირიე მთლად, – რაღაცით გაბრაზებულ, თუ პირიქით, გახარებულ, მეორე ოთახში გავარდნილ დათოს გააყოლა თვალი და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ნაზიკომ უცებ, თუმცა, რაღა უცებ: როგორც კი მიხვდა, კერკეტ ლუხუმს ვერ გატეხავდა, მას შემდეგ მხოლოდ ბაზარში მოსიარულე და საერთოდ, ზოგადად ოჯახის დისასხლისათვის გასაგები მათემატიკური ანალიზით – პლიუს-მინუს – უდრის ნაშთით ჰქონდა ტვინი დაკავებული. – ღვინო გვაქვს, ბაზარშიც ცოტა ყველი, ცოტა ხორცი, კარტოფილი, მწვანილი და მეტი კი არ უნდათ არაფერი, მით უმეტეს, შენი ძმაკაცები იქნებიან მარტო, ცოლებს გარეშე. ქალებს უფრო მეტი უნდათ ხოლმე, თანაც წაირ-წაირი, ჭორიკანებს, ოხრებს... ბიჭების ბოტასებიც ცივებთან ვიყიდოთ, და...

– რა ყველი, რის ხორცი, ხომ არ გადაირიე, ქალო, ამ შუა მარხვამი?! – ხელახლა გაგიჟდა ლუხუმი, – ღმერთიც რომ დავივინყეთ და ხატიც, იმიტომაა სწორედ ჩვენიც და ჩვენი ქვეყნის საქმეც კარგად! სამარხვე უნდა იყოს სუფრა: ნიგვზით ათასი რაღაც შეიძლება გააკეთო... ჰო, სოკო, კიტრი, პომიდორი... ბზობას დაემთხვა და თევზიც შეიძლება ვიყიდოთ, ოღონდ ძვირფასი. იცოდე, ჭკუით იყავი და ძველებური ოინები აღარ გაიმეორო, კი არ დამვიწყებია, ოც წლის წინ ზუთხის ორმოცი მანეთი რომ მოტეხე და ერთი მანეთი მზესუმზირასავით ქავშია მართვი სტუმრებს. სხვათა შორის, იგივე ხალხი მყავს დაპატივებული და თანაც, როგორც მამინ, რაღა თქმა უნდა, ცოლებით!

– ამ სიღუჭირეში სამარხვე სუფრა და მით უმეტეს, ცოლებით, უფრო ძვირი რომ ჯდება, არ იცი, შე ოჯახის მტერი?! თანაც, გაგიგია სუფრა ხორცის გარეშე?! ლუხუმი მორწმუნე იყო და უყვარდა ღმერთი. ეშინოდა კიდევაც მისი. ნაზიკოს მგელივით უყვარდა ხორცი და არ ეშინოდა ღმერთის. პირიქით, როგორც კი რამე გაუჭირდებოდა, იმის მაგიერ, შეველა ეთხოვა, იმ წუთას ჩხუბსა და აყალ-მაყალს უმართავდა ღმერთს. ახლაც, იმით გამწარებულმა, რომ ძვირად ღირებული პროდუქტის ყიდვის დროს ქმარს სოლიდურ თანხას ვერ წაიცინცლავდა, ისე წამოაძახა ღმერთს არა მარტო ლუხუმის

უმუშევრად დარჩენა, საკუთარი ოთხი წლის წინანდელი შემცირებაც, შეილებს უმუშევრობაც და ბოლოს გულიანად მიანყევლა მომავალ სტუმრებსაც: – არ ჩავიდეს იმთ კუჭებში არაფერი ამ ფულით ნაყიდი! ამისი დრო გვექონდა ახლა? აბა ერთი, თუ მართლა ხარ და მართლა მისმენ, ღმერთო, არ შეარგო არაფერი იმ საზიზღრებს არაფერი, ამ ფულით ნაყიდი! მართლა და მართლა, კი არ ტყუის ის თავკომბლა, ისეთი წერილი რომ დანდეს და ისეთი შეურაცხყოფა მოგაყენებ მაგ ქეიფების გულისთვის ქართველ კაცებს. რა არის, ბოლოსდაბოლოს, მართლა ერთმანეთს ეარშიყებით ხოლმე, თუ?!

ლუხუმი გაგიჟდა... თვითონაც რომ არ ელოდა, ისე გაგიჟდა ცოტა ხნის წინ ასე თუ ისე ძლივს დანყნარებული. ღვინო ხარს კი აღარ ჰგაგდა უკვე, თვალბნამიანს, წამში, არენაზე საბროლევად გამოვარდნილ, ნესტოებდაბერილ და მთელი სხეულით დაძაგრულ ველურ ბუღასავით ჩაუსისხლიანდა თვალები და უცებ საშინლად მოუნდა ტრადიციული ნაზიკოს მაგიერ სულ რაღაც ათიოდ წუთით ცხვირწინ სწორედ ის არატრადიციული, ჰო, ჰო, სწორედ ის, უცხოთელთაგან განვრთნილ-აღზევებული თავკომბლა კაცუნა, ქართულ, ტრადიციულ, „მრავალჭამიერი“ და „ჩაკრულოთი“ გაჯერებულ სუფრას ცისფრით შეხვეებული ყვითელი ლაფი რომ გადასახა ზედ ყველაფრისაგან თავისუფალი ბექვითი სიტყვის გამოყენებით.

გენახათ ერთი, რა ცქაფად გასხლტა ოთახიდან შემინებული თანამეცხედრე, – ტრადიციული.

ლუხუმს მართლა უყვარდა ღმერთი, ეშინოდა კიდევაც მისი და უცებ საშინლად შერცხვა იმ ნანატრი ათიოდ წუთის. ზიზღით გააჟრჟოლა, ამოიხრა, აივანზე გავიდა და მიძიმე ფარდასავით დაშვებულ თქემს მიღმა გაუშტერდა თვალი. ლუხუმს, ორმოცდაათს მიტანებულს, მშობლიურ-დიპლომატურულს, შემცირებულს და დამცირებულს თავისწაირად შემცირებული და დამცირებული ასიათასობით უმუშევარი ქართველის დარად უკვე ძალიან, ძალიან ეშინოდა მომავლის: „ღმერთო, ნუ გავგინრავ, ღმერთო!“ ლუხუმს უყვარდა და ძალიან სჭირდებოდა ღმერთი. ლუხუმმა არ იცოდა, თორემ, ღმერთსაც უყვარდა და მასაც ძალიან სჭირდებოდა სწორედ ლუხუმი და ყველაც – შემცირებულ-დამცირებულ-ტრადიციული.

– ღმერთო, როდის იქნება, ამ ჯარტს მოგვაშორებ? აბა ერთი, თუ მართლა ხარ! – აღრენილი ნამოვიდა ნაზიკო ლუხუმის კუთვნილი თეთრი „ნოლექისისა-კენ“! – რა უბედურებაა, სკამი ამას აღარ უვარგა, საჭე და პედალი, როდის იქნება, როდის იქნება, შეისმენს ჩემს ნატვრას და მოგვაშორებს ამ მართლა ჯარტს, ამ მართლა ჯარტს!

– ქალო, ნუ სცოდავ ღმერთს! ეს მანქანა კიდევ, ასე თუ ისე რომ გვასულდგმულებს, – მანქანა ადგილიდან ადძრა ლუხუმმა, – ახი არ იქნება, ჩამოგვავა, გადავუხვიო ახლავე ლილიოსკენ და ეს შენი დანუნებული „ჯარტი“ არშაკას შევეყენო ეზოში? გუშინაც მეხვეწებოდა, ხუთას დოლარად მომიყიდო. ხომ იქნები ღირსი, რომ მართლა მივიყიდო. დაჯექი მერე, ღვანღმოსილო ქიმიკოსო და ყიდე ქუჩაში მზესუმზირა, მეტი აღარც გვექნება სხვა საშუალება, რომ შიმშილთ არ დავიხოცოთ.

– ჰოდა, შენ კიდევ, სტუმრებო, არ ჩავიდა იმთ კუჭში არაფერი, ამ ფულით ნაყიდი, არ ჩავიდა!

– დაანებე ჩემი მეგობრების წყევლას თავი, სანამ კიდევ არ გავგიჟებულვარ, იცოდე! – თავი მუქარით შემოატრიალა ნაზიკოსაკენ ლუხუმმა, – კი ბატონო, კი ბატონო! ერთი, გზას უყურე, თუ ღმერთი გნამს, კიდევ კარგი, მზე მაინც გამოვიდა, თორემ...

მე-17 გვ. დას

ბაზრის შემოგარენი ჯოჯოხეთის ველს ჰგავდა. პირდაპირ ქუჩაში, მტვერსა და ტალახში ეყარა გასაყიდი მწვანე, კარტოფილი, ხახვი, ნიორი თუ ათასგვარი საქმელ-სასმელი. ერთმანეთში ირეოდნენ მყიდველები თუ გამყიდველები, გამკლავლები თუ გამომკლავები... ყაყანი იდგა...

ლუხუმმა გაბუტულივით აუარა გვერდი თავმომწონე ყორების ფარასავით ერთად თავმოყრილ „ფორდებს“, „მერსედესებს“, „ბე-ემ-ვეებს“, „გრანდ-ჩეროკებს“, „ნისან-პატრულებს“, „რენოებს“, „ვოლგებს“, „ჯიპებს“, „კაბრიოლეტებს“ თუ ახალი-ახალი „ნივეებს“ და მარჯვნივ, ხეივანი ცხვრის ფარასავით ერთად ჩარიგებული „მოსკვირების“, „ვოლგების“, „ზაპოროჟეცების“, „ნოლერტების“, „ნოლხუტების“, „ნოლექსების“, „ნოლმდეების“, „ნოლრეების“, „ნოლცხრების“, „ნოლთერმეტების“ ერთფეროვან მასას მიამატა თავისი „ნოლექსიც“.

– იჯექი შენ, ცოდო ხარ, მეშინია, არ გაგიმიზუნდეს ეგ მონატები ფეხი, ავალ, ვიციდი და ჩამოვალ მალევე, დიდ დროს კი არ დავკარგავ, – მზრუნველად გაუღიმა ნაზიკომ ლუხუმს, კიდევ ჰქონდა იმედი მათემატკური ნაშთის და შემინებულმა, ლუხუმი ჩვეული რაინდობით არ წამომყვეს ჩანთების ასანევად, სწრაფად მოკურცხლა ბაზრის ასასველელისკენ.

ბაზარში ასულმა ნაზიკომ პირველ რიგში იმ ადგილს მიაშურა, რომელიც ასე სძულთ ნებისმიერ დროს ვეგეტარიანელებს, მარხვის დროს კი ღრმადმორწმუნეთ. დიდი რჩევის, ფიქრისა თუ ანონ-დანონის შემდეგ ქალმა საკმაოდ მორბილი უძვლო ხორცის ნაჭერი შეიძინა და გახარებულმა იმითაც, რომ უკვე გამოხრული ძვლების გადამალვაზეც აღარ ინვალებდა, შენაძენი სწრაფად დააბინავა ღრმა, შავი ჩანთის საიდუმლო ჯიბეში. სიფრთხილეს მაინც, თავი არ სტიკოდა და ცოტა ხნის შემდეგ ნაზიკომ შავი ჩანთა მთლად მწვანედ გადააბინა ისპანახით, ნიახურით თუ ტარხუნით. მეორე ჩანთაც „ბალახ-ბულახით“ (როგორც თვითონ უწოდებდა) რომ გაავსო, გადწყვიტა ორივე ჩანთა მანქანაში დაებინავებინა და ახალი ცარიელი ჩანთებით ამობრუნებულიყო კვლავ. ლუხუმი არ დახვდა მანქანაში. ნაზიკომ საბარგული ახადა, კოხტად მიაღება ორივე ჩანთა და ბაზრისკენ გაეშურა ისევ. თევზეულით, ნიგვზით, სკოთით, პომიდვრით, კიტრით და ა.შ. კვლავ ორი სახვე ჩანთით გამობრუნებულს ლუხუმი კვლავ არ დახვდა მანქანაში. ნაზიკომ მზეს გახედა და სწრაფად გაიქცა ამჯერად უკვე ბაზრის პირველი სართული-საკენ.

ნაირ-ნაირი მწიღებით, სანელებლებით, ყვავილოვანი კომბოსტოებით, ფორთოხლებითა თუ სანებლებით გამობრუნებულ ნაზიკოს ლუხუმი კვლავ არ დახვდა მანქანაში და მამინ გაიხარა, თუ გაიხარა. ნვლებით ჩაანყო უკვე გატენილ საბარგულში ახალმეძენი პროდუქტიც და რადგან მცირე თანხის ანაპნა მაინც მოახერხა ქმრისთვის, სწრაფად მიაშურა იქვე, ბაზრის გაყოლებაზე ერთიმეორის გვერდით ჩამწყვილებულ ევროპიდან შემოსული ნახმარი ტანსაცმლის მაღაზიებს. ყველა მაღაზია მოვლო, უამრავ კაბა-პალტო-ჰიჯაკ-ფეხსაცმელ მოსინჯულ და ნაყიდი მისურით ჩანთადამწვინებულ ნაზიკოს ქმარი, მანქანა და ხვალინდელი სტუმრები რომ გაასხენდა, უკვე საკმაოდ გვიანი იყო და ცოტა არ იყოს შეჩქვიფდა, გზად ერთი კოლოფი მარილიც შეიძინა, ვინიცობაა, ლუხუმი თუ ჰკითხავდა, ყველაფერი ნაყიდი გქონდა და რაღატომ გაბრუნდიო და სადგომს მიახლოებულმა, ის იყო გაიგონა კიდევაც მანქანის წინ მდგომი ლუხუმის ღრიალი:

– სადა ხარ ქალო, დილიდან ნასული მთელი დღე ამ მარილის საქმერად დაყილებდი აღმა-დაღმა? ამ მარილით გინდა სტუმრების პატივისცემა? რაო, მასხარად გვიგდებ, გინდა ცხვრებივით მარილი დაგიყაროს თევშებზე და მეტი არაფერი?!

– რა გაყვირებებს, თუ იცი შენ?! – თავის მხრივ ვალში არ დარჩა ნაზიკომ, – მაღლობის მაგიერია?! სამჯერ ავედი და სამჯერ ჩამოვედი დატვირთული. ფეხზე ვეღარ ვდგევარ დაღლილობისგან, ახია ჩემზე! არ შეგარგოთ ღმერთმა იმ ფულით ნაყიდი არაფერი, არც შენ და არც შენს სტუმრებს! ახლა რამდენი შინ უნდა ვინვალო კეთებაზე! რას ღრიალებ, რომ ღრიალებ?! მარილი დამრჩა საყიდელი და იმისთვის გაგბრუნდი. შენ თვითონ სად დაბრძანდებოდი მთელი დღე, შენ თვითონ! თუ სიარულის თავი გქონდა, ვერ შემომყვედი ბაზარში?

– რას ჰქვია, დაგბრძანდებოდი?! – პირი განცვიფრებისგან ღია დარჩა ლუხუმს, – მოვეკედი მთელი დღე მანქანაში ჯდომით!

– რა ვიცი, – სარკასტულად ჩაიცინა ნაზიკომ და აქამდე საზვიამოდ მარჯვენა ხელით შემართული მარილი მარცხენაში გადაიტანა, ხელჩანთასთან ერთად, – სამჯერ ავხადე, სამჯერ ჩავალაგე საბარგულში და ისე დაგბრძანდი, ამხელა კაცი მანქანაში ვერ დაგინახე?

– რას ახადე ქალო, რას ახადე და რა ჩაალაგე, ხომ არ გაგიჟდი შენ?

– ჰმ! – თავი მწარედ გადააქინა გაბრაზებულმა ნაზიკომ და საბარგულის სახურავს ეცა.

– ერთბაშად არ ახადო, აჰა, ჯიბეში მიდევს მაგისი გასაღები დილას აქეთია, გაგიღებ და დატკბი!

ლუხუმმა გააღო. ნაზიკომ ხელის ერთი აკერით ახადა სახურავი საბარგულს, შიგ ჩაიხედა და მარილი განზე გიჟივით მოისროლა გულზე ცეცხლოვანი დეზუმი.

– აბა მამა... ვის... აბა მამა როგორელი მანქანის... –

სულ ხუთიოდე მანქანა იდგა ლუხუმის მანქანის ახლომხლო, ხუთივეს საბარგული დაკეტილი დახვდა ნაზიკოს, ან კი რა, ღიაც რომ ყოფილიყო რომელიმე, – მათგან ერთი „ვოლგა“ იყო, სამი „მოსკვირი“, ერთი „ზაპოროჟეცი“, ერთფეროვანი „ნოლერტებიდან“ დანყებულ „ნოლთერმეტების“ ჩათვლით, ყველა თავის გზას სწვოდა უკვე.

– მართალია, არ გეკადრება ეს ჩემი ძმა-სავით თანშეზრდილი მანქანა, მაგრამ რას იზამ, დაჯექი, გპირდები, რომ ბოლო ჩაჯდომამა შენიც და ჩემიც! – ისეთი ფერი ედო სახეზე ლუხუმს, მტერსაც კი გული მოუკვდებოდა, – დროზე, დროზე, ქუჩაში ხომ არ მიგატოვებ, არც ტაქსის ფული მაქვს, რომ იმით გაგიშვა. ლილოში უნდა გავვარდე არშაკასთან. ფულს ვერაფერს ვთხოვ სესხად, ქართველი ვარ და ვერც უკვე დაპატივებულ სტუმრებს გავაბრუნებ უკან, უთენია უნდა წამოვიდეთ ხვალ ისევ ბაზარში... რა სახე გაქვს... რაც იყო, იყო... ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ, მტრის გულის გასახარად, დილოელი ლეკის ნაბადივით არ უნდა გავეთელინოთ ცხოვრებას... ახალგაზრდები ვართ ჯერ კიდევ, ჯანმრთელი, ჯან-ღონით სავსეები... სოფელში დაგბრუნდებით, ქოხს ჩავდგამთ ვენახში, საქონელს გავიჩენთ. კარგია, ხვალ ჩემი მეგობრები რომ მოდიან, უშუშევირია ყველა, იქნებ ერთად უფრო რამე მოვიფიქროთ... რა იქნება, მაგალითად, საკალმახე მეურნეობა რომ შევქმნათ ერთობლივად, მშვენიერი მდინარე ჩამოვიდის ზუსტად ვენახის ბოლოში... ეს ბიჭებიც როგორმე უნდა ჩავაბა საქმეში, უსაქმურობა გადაავარებს, უსაქმურობაა ყოველგვარი ბოროტების დედა... –

„მამა, მამა! თუ ჯაჭვით შემკრავ და ისე ნამიყვან სოფელში, – მწარედ და უხმოდ გაიფიქრა ნაზიკომ, – ლუხუმით ხმამალა ფიქრს ხომ არ მოჰყვებოდა აბა, თანაც რისი ჩამდენი, თანაც როგორი დაზარალებული და თანაც რაზე მოფიქრალი, – ქალაქში მზესუშპირით ვაჭრობა თუ არ მერჩიოს მაგას და... ჰმ, ქოხი, ძროხა, ღორი, კალმახები! ვაიმე, ვაიმე, ჯაჭვი რად უნდა, არ ვიცი, რა საშინელი კერკეტიცაა, უჯაჭვოდაც კარგად მიძულეებს... არ გავყვები და... ისე, რამე რომ იყოს, კია საკმაოდ ახალგაზრდა ჯერ...“

„ბედნიერი ლიკა! მაგან უნდა თქვას ოჯახი მაქვს და ქმარი მყავსო. სტივი ჰქვია მგონი თუ ფილი, ან ვინი... რა გინდა, რომ საქმეს არ უკეთებს ლიკას:

მე-15 გვ. დას

აი, ეს კითხვა არ ასვენებს პოეტს, აწუხებს დღევანდელი რეალობა. ვიდრე სიონთან მეგლი ბალახობს, ცხოვარისათვის ამოდ დავშვრებით... აწ და მარადის

ეშმა დალაზროს ხელმწიფის ტახტზე შენი ამშვები! ნამყოს და აწმყოს ურთიერთონაცვლეობა, დაუნაწევრებელი დროის აღქმას რომ აპირობებს, რეალისტური შტრისების და მეტაფორული განსახიერების, კონკრეტულისა და ზოგადის უცილობელი თანაარსებობა, ზოგადად დამასასიათებელი პოეტური ფერწერისათვის, განსაკუთრებით ის გამოკვეთილია ლაშა ნადარეიშვილის პოეტურ სამყაროში. ამჯერადაც პოეტი ქვეყნის უბედურების საფუძვლად ზოგადი მიზეზების წარმოჩენის შემდეგ კვლავ კონკრეტული პიროვნებისკენ მიმართავს სარკაზმს და მას ამ საყოველთაო უბედურების და ჭირის გამავრცელებლად მიიჩნევს და შეაბედათ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ვგონებ,

მკითხველს არ გაუჭირდება ამ მკვლელის და დამატყვევებლის ამოცნობა:

ვინც მახვილით კლავს – კვდება მახვილით, ვისაც ტყვე მიჰყავს – ტყვედ ჩავარდება!

დაბადებითვე უკვე მიზრწნილო, მზესაც რცხვენია თვალის გახელის... კაცობრიობამ უნდა გიწვნისო, რომ ამოძირკვოს შენი სახელი!

სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიოს და კაცობრიობის დიდ ნაწილს, რომლებიც გლობალისტური მაცდუნებელი საკენკით იკვებებიან და ერთბოლუსიანი სამყაროს, უფრო სწორად, პლანეტარული იმპერიის შექმნის პოლიტიკას ქადაგებენ, არ უნდა, სიმართლეს თვალის გაუსწოროს და სურვილის ნატყამალიც არ გააჩნია, ამ ტირანის ბუნებას ჩასწვდეს. მეტიც, ამერიკის პოლიტიკის ამჟამინდელი უფროსი პოლიციამისტერი რასმუსენი ვიუტად გვიმტკიცებს, რომ ჩვენ გვყავს „დემოკრატიის შუქურა“ მ. სააკაშვილი და გვირჩევს, არსებული დემოკრატიის ფესვები არ დავივიწყოთ და ქართველი


ხალხისთვის საყვარელი მიუღებელ კოპა-ბიტაციას ვეზიაროთ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც თავად იწვინა ამ „დემოკრატიის სიტკბობა“, უცლოლობად შეეცდება ისტორიული მეზსიერებიდან ამოძირკვოს ეშმას ნაშეირის სახელი: სწორედ ამ იმედით ცოცხლობს დღეს ღირსებაშელახული ყოველი ქართველი!

ჩვენ შევეცადეთ ლაშა ნადარეიშვილის პოეზიის მხოლოდ ერთი ნაკადი – პატრიოტიზმი, რომელიც მისი შემოქმედების მასულდემულებელი და მასაზრდოებელი მთავარი მარღვია, შეძლებისდაგვარად, მოკლედ მიმოგვეხილა. ეს თქმა იმიტომაც ავირჩიეთ, რომ დღეს, როგორც არასდროს, მძაფრად დგას ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეროვნების გადაგვარების ამოძრავებულ წისკელზე წყალს ასხამს ზოგიერთი ვაი-ქართველის და ვაილიბერალის ნააზრევი, რომელშიც აბუჩად ავდებულება სამშობლოს სიყვარულის ღვთიური ცნება და იგი პროვინციულ ჩამორჩენილობად არის აღიარებული. სამწუხაროდ, „თავისუფლების“ ჭაობიდან ამოზრდილი ნაციონალი ლიდერე-

ურეცხავს, უუთოებს, უქსოვს... ან რა სუპებს უშზადებს, ან რა ჩახოხილებს, პიცებსა თუ ტორტებს... კაბა შეუკერა ამას-წინათ ცოლს, კაბის უნახავს გაგზიდდა. ტრუსიკები მოუქარა... მე შენ გითხრა, იმაზე ეჭვიანობს, ნაირ-ნაირი კაცები რომ მოჰყავს შინ, მე შენ გითხრა, იმაზე გიჟდება, იმ კაცებთან ერთად სხვაგანაც რომ მიდის. ერთი ეგაა, შვილი ვერ გაუჩინა ლიკას. თუმცა, გენაცვალე, ისეთი ეშმაკის საუკუნეა ახლა და ისე ნაიდა წინ ამერიკაც და ევროპაც, აღარც ეგ გამიკვირდება, ლიკასგან დაფეხმძიმებულმა სტივია, ვილია თუ ფილი, იმისთანა ტყუპიც შვაას... აბა ესენი არიან კაცები?! – ცეცხლიდან ტაფა გადმოდგა და კვლავ ფხლის შეზავება განაგრძო ნიგვზით ნაზიკომ, – აბა, ეს არის კაცი? მანქანა, ჩვენი მარჩენალი მანქანა გაყიდა სტუმრების გულისთვის. იჯდეს ახლა და იმღეროს „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედაო...“ ისე, კარგად კი მღერიან ოხრები, რაც მართალია მართალია... ამათ გაავერობებო? კი არიან ჩვენშიც სტივისა თუ ფინისნაირებიც. იმათ კი, იმათ, მაგრამ ამათ? ამათნაირებს? მეტი არაა ჩემი მტერი... რა ტყავი დავკარგე, რა ხორცი... გამოთვრება ახლა ეს და სტუმრები რომ წავიდოდნენ, მივადლებოდი ცივად მოხარულს მეც და ჩემი შვილებიც, თუმცა გიორგი არა მგონია, მამაილაა მთლად, ეკლესიაშიც დადის... ეხ, ამ სამი დღის წინ ლიკასთან რომ შევიარე, რა კუჭმაჩი მაჭამა სტივმა თუ ფილმა... თუ რა ჰქვია იმ ოხერს, ვერ დავიმახსოვრე. ისე, ჩვენში დარჩეს და ნეტა ლიკას მაინც თუ ახსოვს, რა ჰქვია. რა ვიცი, შენ გენაცვალე, ცოლად ევროპელს თუ ამერიკელს გაჰყვა და საყვარლებად კი მაინც ეს წურბელა ქართველი კაცები უზის, ვეღარ გავიგე, რა ხდება... ვაიმე, ხელი დაგინვი ამ საზიზღრების გულისთვის. რა ენაღვლებათ, მილიარდერები თუ არიანო, სხედან სამსახურებიდან გამოყრილები, ულუკმაჟუროები და რას მღერიან და რას ხარხარებენ არხინადა... ვაიმე, ქოხი, ვენახი, ძროხა და კალმახი!.. რა იქნებოდა, ფინი, ვინი თუ სტივი მყოლოდა მეც ქმრად, აღარ შემიძლია აღარც ეს გაჭირვება და თან ეს ოხერი რეცხვა, ხეხვა და გაზთან ტრიალი... ეხ, ღმერთო, რა იქნებოდა სტივი, ვილი თუ ფილი მყოლოდა მეც ქმრად... ეეჰ, მართლა რომ არსებულყავი, ხომ შემისრულდები, ღმერთო...“

ხომ გითხაროთ, ღმერთო არ სწამს და ამიტომ არც ეშინია-მეთქი. არა და ჭკუის ნატამალი რომ ჰქონდეს, ცალტვიანს, ელდა ეცემოდა ახლა ამ ნატვრის წარმოთქმისთანავე – განა სულ მცირეოდენ ხნის წინ არ იყო, როგორი ორი ნატვრა შეუსრულა თვალისდახმაზამებაში?

და თქვენი კბილი ისე უსკოვს უთხოვნი...



გამომცემლობა „მწერალმა“ გამოსცა თემურ შავლაძის პოეზიის კრებული, სახელწოდებით „შავრაპოვანი“. სადაც თავმოყრილია ავტორის რჩეული ლექსები. ძნელია რაიმეთი გააკვირვო ქართული პოეზიით, მისი ნიმუშებით მდიდარი ქართველი მკითხველი, მაგრამ ამჟამად ავტორმა ეს საკვებით მოახერხა. აქ ვერ იპოვით გალაკტიონის რითმას, ვერც რუსთაველთან და გურამიშვილთან გაჯიბრებას შენიშნავთ; არ არის არც თეთრი ლექსის, ან ვერლობის ნიშანწყალი, არც შიშველი მოდერნიზმი.

იღუმალი და საოცრად ღია, ნაცნობი და ფარული, ურთიმო და საოცრად რითმიანი, ძველი და უაღრესად თანამედროვე, – ეს ყველაფერი ერთდროულად წარმოჩინდება მკითხველის წინაშე თემურ შავლაძის პოეზიის გაცნობისას. წარმართული ღვთისმეტყველების უკანასკნელ გამოვლინებად ქართულ პოეზიაში ვაჟა ითვლება. რუსთაველის, გურამიშვილისა და ბარათაშვილის შემდეგ, თემურ შავლაძის პოეზია ქრისტიანული ცენტრულია. მისი განცდის იღუმალთმეტყველება არ არის ღია პოეტური რითმით გაწყობილი გარე გამოვლენა, რომელიც ხიბლში გავაღებს, როგორც გალაკტიონთან.

ის სადაც შიგნით, ადამიანისა და ღმერთის შეხვედრისა თუ დაცილების შუქ – ჩრდილებს შორის ივანებს:

„და მიღის ეს გზა უსაბამოდ,
საიდან – საით?
და არც ვინ მეტყვის რისთვის,
რატომ, როგორ, როდემდე?!
წამით კრთის ზე – ცა
უსამანო მალღიდან – მდაბლით,
აწ წარღვნის სეტყვით ვის მივართო
– როგორ მოგენდე...“

(„და მიღის ეს გზა“) 2003წ.

ღიდი შემოქმედება ქვეცნობიერი სიბრტყიდან მომდინარეობს, იმ სივრციდან, რომელიც ცოცხად დაცემის შედეგად ადამიანმა თვითონ წარმოქმნა, ადამიანის „მე“ ორად გაიყო, ის, ვისაც „სურს“ და ის, ვისაც „არ სურს“. ამ ერთი ბუნების ორი პოლარული არსის დაპირისპირების შედეგად იქმნება ის, რასაც შემოქმედება ჰქვია, რასაც პავლე მოციქულმა „რჯულში სიკვდილი უწოდა, რათა ვეკუთვნოდეთ სხვას, მკვდრებით აღმდგარს, რომ ნაყოფი მოუტანოთ ღმერთს“ (რომ. 7, 4-15). პავლესთვის გაერთიანება ხდება მხოლოდ ქრისტიანულ, ერთი ბუნების ორი ნაწილი უფალში ერთიანდება. შემოქმედებითი წვაც ასეთ გაერთიანებას ცდილობს, სადაც ამ გზის ბოლოს შეიძლება ნათლის კონტური გაჩნდეს, როგორც უფლის ნების გამოცხადება – „ნუ გემინია, მხოლოდ გვეოდეს“.

სიმბოლური სივრცის შექმნამ პოეზიაში დაბადა კითხვა, თუ რამდენად ახდენს ცნობიერება იდენტიფიცირებას იმ სიმბოლურ ხატ-სახეებთან, რომელსაც პოეტი იყენებს. როგორც ცნობილია, სიმბოლოს გამოყენება სრულიად არ ნიშნავს მისი სახეების გააზრებას. სიმბოლური ხატ-სახეები არის ამა თუ იმ კულტურული სივრცის გარეგანი მექანიზმი, რომლითაც ეს სივრცე ქმნის თავის თავს.

თემურ შავლაძის პოეზია არ იღვრება უსაზღვროდ, ის რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის ღვთაებრივ იღუმალებას მიყვება, მაგრამ ბაძვით არ იმეორებს, არ ევჯობება. მისი პოეზიის ძალა იდენს თვითგანცდამა მოცემული. მასთან ლექსი არ იღვრება, ის იწვევთა გოლოგოთის იმ მისტერიის განცდის შედეგად, რაც არაცნობიერად, როგორც ინდივიდში, აისახა. ზედმეტა კითხვის დასმა: რატომ? მით უმეტეს, იმის ძიება, თუ როდის, რადგან, პოეტის თქმის არ იყოს, ეს „ამათა და ამათ შორის“ დევს... სადაც:

...დაბრეც ყვედრებით შეგვედრები
სამების სახეს – დედავ მარიამ...
რომ ამათ და ამათ იერში,
სულ ამათა ჩემი ნათება.
რომს ამათათებს იერუსალიმ-
და სულს საამოდ სემირამდება...
(„რომ ამათა და ამათ შორის...“) 2004წ.

ლექსი „ამათ ნამცეცები“ დაწერილია 2002წელს; ამ ლექსის ტიპოლოგიური სახეობა იმდენად შთამბეჭდავია, რომ ფსალმუნის სულისკვეთებას გაგონებს. ადამიანის შექმნა ხატად და მსგავსად, მისი ცოდვად დაცემა, დაპატარავება, გარდაქმნა, გარდასახვა კაფკასულ ხოჭოდ, ღვთაებრივი ადამიანიდან მიწიერ ადამად... ნამცეცად გარდაქმნა. თავად ეს ტიპოლოგიური სახეობა პოეზიის კაფკასული მეტაფორაა, რის სათავესაც ძველი და ახალი აღთქმის სახეობაში ვხვდებით. პოეტის მიერ ცოცხად დაცემულობის კოსმოური განცდა ცდება ვიწრო ინდივიდუალურ მორალისტურ განცდას:

ისინი მიიკრიბებოდნენ კენტი ქვისკენ
თითქოს არც ახსოვდათ, რაა სვე
და ბედი
მე კი ვაფრთხილებდი: ძმანო, გულს
ნუ ივგრემთ,
ბედნიერება სევდა სამჯერ მეტი...
მაგრამ შეიგლისეს სული

თილისმებით,
და შეუგესლაგმა ფრთხილი რულის
ქალმა,

ქარი აიწეწა მოთმინების თნებით
და ჟამს შეასხურა ნათლის აიაზმა...
მათ კი გადაზიდეს ზიზღი
ზურგანთებით
და თან ჩაიტანეს ქეები –
ფსალმუნები
და ვერ შეამჩნიეს სიტყვა
დამანები –
როცა ვიბადებით სწორედ მაშინ
კვდებით...
არადა მიშარიშურობდნენ უჟამო
ჟამისკენ,*
მზერას ემჩნეოდა ზვავის
გულისძგერა...

პოეტის მზერა იმ სიღრმეებიდან იბახებს მარადიულს, სადაც მისმა ქვეცნობიერმა შეაღწია: „და ჟამს შეასხურა ნათლის აიაზმა – „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.“ ჟამისა და ნათლის პოეტური დაპირისპირება „დასაწყისისა და სიტ-

ყუს“ ბიბლიური მეტყველების ტიპოლოგიური ფორმის გამოხატულებაა. „მათ კი გადაზიდეს ზიზღი ზურგანთებით და თან ჩაიტანეს ქეები ფსალმუნები“ – უცნაურია პოეტური მეტყველება ლექსის შექმნისას, რომლის ცნობიერი აქტი სულ სხვა მოდელს ითვალისწინებს, ხოლო წარმოქმნილი სულ სხვა სამყაროს განეკუთვნება. სტროფი „მათ კი გადაზიდეს ზიზღი ზურგანთებით და თან ჩაიტანეს ქეები ფსალმუნები“ – ტიპოლოგიური გამოხატულებაა ადამიანისა, რომელიც ცდილობს თავის ტანჯვას სულიერ უდაბნოში გაექცეს. ამისთვის ის ყველა არსებულ ხერხს მიმართავს, მათ შორის ყველაზე რადიკალურსაც, ადამიანი ივიწყებს შემოქმედს, იმას, ვინც შეიყვანა უდაბნოში და, შესაბამისად, ვინც უნდა გამოიყვანოს იქიდან. ამას პოეტური მეტყველება ასე გამოხატავს – „და თან ჩაიტანეს ქეები ფსალმუნები“. ეს ფრაზა ასრულებს პირველი ფრაზის სამშინველის ტრაგიზმს, რადგან „ზიზღი ზურგანთებით“ ნიშნავს სრულ სულიერ სიბნელეს, რაც „ფსალმუნების“, როგორც სულიერი კანონის, დაქინების პოეტური გამოხატულებაა. შემდეგი ფრაზა ადასტურებს ამ მოსაზრებას, სადაც კითხულობთ:

„და ვერ შეამჩნიეს სიტყვა დამანები“ პოეტურობა უფრო ფართო გაგებით მაშინ იწყება, როცა არ ვიცით, რატომ ირეკლავს სამშინველი ღვთაებრივ შინაგანი მიზიდულობით. ძველი და ახალი აღთქმა ბევრისთვისაა ცნობილი, მაგრამ ძალიან ცოტა ახერხებს მის რეალურ და არა კულტუროლოგიურ არეკვლას თავის სამშინველში. არეკვლა არ არის მთლიანი, ის უფრო ვიტრაჟულია, სადაც ფერადი შუშით ვცდილობთ ერთიანი სურათის შექმნას, ამას პოეტური ადამიანი პოეზიით, როგორც მეოთხე განზომილებით, ახერხებს.

„და ვერ შეამჩნიეს სიტყვა დამანები“ ათასნაირად შეიძლება გარჩეული იყოს, მაგრამ პოეზიის, როგორც მეოთხე განზომილების, იღუმალება ზუსტად აქ იმალება: „სიტყვა დამანები“ ის სულიერი კანონია, რაც სიტყვა მ, ვერ კიდევ განუკაცებელმა, განაცხადა, რომ ის დასაწყისში იყო, მაშასადამე იყო ყოველთვის და არის ყველგან, სადაც არის სიცოცხლე და არის სიკვდილი, როგორც სიცოცხლის დასაწყისი, „თუკი თესლი არ დავარდება მიწაზე და არ მოკვდება...“ ამას პოეტიც ადასტურებს შემდეგ ფრაზაში „როცა ვიბადებით, სწორედ მაშინ კვდებით“; ეს ფრაზა ძველი აღთქმის ღვთისმეტყველების მხოლოდ ნაწილია, რომ დავასრულოთ, მივიღებთ სრული მეტყველების სახეობას: „როცა ვიბადებით, სწორედ მაშინ კვდებით და როცა კვდებით, მაშინ ვიბადებით.“ ამ ორ დაპირისპირებულობას შორის პოეტი ცდილობს უბრალოდ აზრდაკარგული სიტყვა – მორალი კი არ იპოვოს, არამედ უფრო მეტი, ვიდრე მორალიზება, იპოვოს სიტყვა, ის, რაც არ არის ნამცეცია, ის, რაც არ არის უსაზღვროდ პატარა ამ უსაზღვროდ პატარა ნამცეცეებში:

აღარ ვეკითხები თავს აწ
აღარაფერს,
ან რა უნდა ჰკითხო, თრთიან ცაზე
ცები
მე ვინ განმიკითხოს, მე ვით
განვიკითხო,
ამაოდ მოფუსფუსე ამათ ნამცეცები...
2002წ.

ნებისმიერ პოეტთან შეიძლება რაიმე სიტყვა, მეტაფორა, თუ ქრისტიანული ხატ-სახეობა აღმოვაჩინოთ, მაგრამ ყველა არ იქნება იმ იდეის სამართალმემკვიდრე, რაც რუსთაველთან მოიაზრება და მომავალი ევროპული ცნობიერების სახე-ხატი ჩამოაყალიბა. ევროპული ცნობიერების სახეობების მთავარი ძარღვი მისი გოლოგოთის იღუმალთმეტყველების სახეობებისკენ ლტოლვაა; მისი მუდმივი ძიება გრაალის თასის იდეაში ხორციელდება. მაგრამ გრაალის თასს ყველა ვერ მოძებნის, რომც იპოვონ, ყველა ვერ შეეხება. რომც შეეხონ, ყველა ვერ აიტანს, რომც აიტანონ, ყველა ვერ შეინარჩუნებს, რომ შეინარჩუნონ... „თეთრმა მტრედმა ისევ უნდა უხმოს გეთსიმანიას...“

უცნაურია პოეტის სამშინველი, მისი არქეტიპი მრავალ იღუმალებას ეხება, ირეკლავს და როცა არავინ ელის (მათ შორის თავად პოეტიც), სწორედ იმ ჟამს ითხოვს გადმოღვრას, სამშინველი მეტყველებს ისე, თითქოს მეასერგასე დღეს სულიწმიდა გარდამოვიდა მასზე:

„ცად ხმის ხეტებით კვალს
ვერ ვაგნებთ
და კვლით ვხვდებით –
როგორ დარდს ვვენდით
სიბრალულის იერუსალიმს...“

პოეტური მეტაფორა სრულად იმეორებს ბიბლიურ სახეობებს, სადაც „ცად ხმის ხეტებით კვალს ვერ ვაგნებთ“, სულს მოწყურებული სამშინველი არასდროს ეძებს მიწიერი ორიენტირით საკრალურს, ის მუდამ „ცად ხმის ხეტებით“ ცდილობს კვალს მიაგნოს, სადაც ნიშანი ოდესღაც ღვთის სახლად წოდებული ტაძარი იყო, ახლა მხოლოდ კედელია... იერუსალიმის ტანჯვა პოეტის ტანჯვაა, მისი სამშინველი ეხიარება იმ დარდს, რომელიც იერუსალიმს დაეფინა, სადაც მას აძვერად მხოლოდ გოდების კედელი ხვდება, რომელიც „უდაბნოს ეკლის კალიების ლექსებს უგალობს.“

„იუდას სქნელი კვართის ეკლით კემსე, უფალო!“

პოეტში უკვე დევს შიში იმისა, რომ იუდას ღალატი არ „გამეორდეს“, რადგან შიშის მომგვრელი, „ცით კრძალული ტაძრის ტრამალი“ გამოჩნდა, ტაძარი, სადაც მისტიურად ერთდება სიკვდილი და აღდგომა, გარდაცვალება და დაბადება...

„...ჯერ არ შეაშრათ ჯვარცმის
ცრემლი იმ ორ ციურ დას.
წკვარამს გაკაწრავს სინანულის სა-
მი მამალი...“

მჯერა, ჩვენს ჯვარსაც ნაღვლით
წრფელით იგლოვს იუდა...“
იღუმალთმეტყველების მნიშვნელოვანი სახეობა სამების ნუმეროლოგიაზე დაფუძნებულია. წმიდა სამება და მამლის ყოველზე პეტრეს სამეზის ღალატი, ადამიანის სამშინველში ოდითგანვე აღბეჭდილი მარადიული სინანული, მარადიული დაპირისპირება, რაც – „წკვარამსაც წვდება და მის სქელ კედლებსაც კაწრავს“ და პოეტის უსაზღვრო თანაგრძობით შემოსილი იმედი, რომ მისი ჯვრის ნაღველი იუდასაც შეეხება...

ქართულ მრავალფეროვან პოეზიაში ძნელად თუ მოიძებნება რითმით ამგვარად ხატოვანი და ასეთი დატვირთვის მქონე პოეტური სახისმეტყველება.

შალვა (მერაბი) ქარჩავა



დავით აკჰმედოვი

ბრაალის თასი

ბინდი ეშვება ქედებზე ლურჯად,
ქართლის მინდვრებზე ქარი არ ცხრება,
დიდმა ტკივილმა მკერდს დაიუნჯა,
ააცახცახეს გზები ცაცხვებმა.
გათანგული მაქვს მკერდი საზღვართი,
უფლის ცრემლია, მზე რომ ცვარს აშრობს,
გამკორდებია ყანა და ზვარი,
სამაჩაბლოს ცავ, რა შორს ხარ, რა შორს...
სად დაგვეკარგა გრაალის თასი,
სიმაღლე ერის, სახმილი მძლეთა,
დიდი დავითის, დიდი მოყვასის
სიბრძნე, სიუხვე, მედგრობა ერთად.
მოვძებნოთ ქვეყნის ყველა კუნჭულში,
არ დავიშუროთ ძალი და გონი,
ყველა გულფიცხში, ყველა მორჭმულში,
შევძრათ მიწაც და ცის კაბადონიც.
მე მჯერა, ჩემი ლექსის ბნკარშია,
ვიღაცის ფუნჯში ფერებად ღვებება,
გლენის მოუღლე მხნეობაშია,

ვაზის ლერწმია, ჟღერს სიმღერებად.
დიდ ლიახვშია, დედა-მტკვარშია,
ენგურის ჩქერალს ჩამოჰყოლია,
აფხაზეთშია, ხევსურეთშია,
ყველა ქართველის გულის ტოლია.
ერთ განუყოფელ სამებაშია,
მაგრამ დაშლილი ნაწილ-ნაწილად,
ერის ძალა ხომ ერთობაშია,
ქართველმა იცის თავის განირვაც.
მონაპოვარი სივრცეს დადაღავს,
სიზიფეს ლოდის ესეც გზა არის,
ერის სინმინდე ავნიოთ მაღლა,
კვლავ დავიბრუნოთ ჩვენი გრაალი.

მიყვარხარ

მიყვარხარ, ისე უჩუმრად
როგორც ლურჯ ქედებს ცხრა წყარო,
როგორც ნიავის ჩურჩულმა
იებს მღერა რომ ასწავლოს.
როგორც ზედაზნის ქედიდან
ჯვარი ნათელს ჰფენს ხეობებს.
როგორც ლიახვი მტკვრის წყალთან
გულის საწადელს იოხებს.
ვით წმინდა ძვალთშესალაგი
სევდით მავსებს და მამშვიდებს,
ანანურს ზევით არაგვი
როგორც დაჰკოცნის ნაშინდრებს.
მიყვარხარ, როგორც ქურმუხის
ზარი მოუხმობს მლოცველებს,
როგორც სამების ტაძარში
უფლის ჩამესმის ლოცვები.
ვით წამოდგომას მარაბდის
მტრის ქედი დახვდა დახრილი,
როგორც დაკარგულ ბასიანს

ესმის ქართველის ძახილი.
როგორც ცას გორის ციხეზე
უფალი ფარავს მაღლიდან,
როგორც ფრონისპირს, რიყეზე
აღმართ-დაღმართი არ მღლიდა.
ვით მაღლა „მამადავითი“
თბილისს აბრწყინებს ფერებად,
როგორც ჩარგლურას, სულმნათი
ფშაველი მოეფერება.
მიყვარხარ, როგორც მთაწმინდას
სული ამალღებს რჩეულთა,
როგორც ხევსური საფიქრალს,
ხატ-ღმერთს არ გადაჩვეულა.
როგორც შოდის კლდის სარკეში
მშვენება არ გადამჭკნარა,
წყლის და მთის სიანკარეში
როგორც შხეფდება ხვანჭკარა.
ვით გაღმერთებდი თავიდან,
ასე დავრჩებით მე და შენ,
ვიდრე კახელის მარნიდან
რქანითელს სვამენ ზედაშედ.
როგორც გონიოს საზღვართან
გულს მღელვარება აწვალებს
როგორც ამ მიწის მტკაველიც
უსაზღვროდ უყვარს აჭარელს.
როგორც ქართლის გულს ვიფიცებ,
შიგ რომ დარდს დაუვანია,
როგორც სამახვოს სიმტკიცე
უერთგულესი სვანია.
მიყვარხარ, ისე უჩუმრად,
სათქმელს ვერასდროს ვერევი,
ცამ წასვლა თუ ჩამჩურჩულა,
იქიდან მოგეფერები.

*(გუძღვნი ბიძინა ივანიშვილის
შემოსვლას „დიდგორის ველზე“)*

ფეხზე, ქართველნი
გვეყო დუმილი...
გვეყო მოთქმა დაუსრულები!
სულ მუდამ ცრემლი
კარგად თქმულა – დიაცთ წესია.
გამოვიღვიძოთ...
დაჟანგული გავფეროთ ხმალი,
ამ ყრუ ლოდინში
მამულს მტერი შემოესია!
რა პასუხს ვაძლევთ
წინაპართა დანთხეულ სულებს?
დრო აღარ იცდის!
კმარა, რაც რომ
დღემდე ვიყურეთ!
უკვე საკუთარ სამშობლოში
სუნთქვაც გაჭირდა,
მავანი ქართველის ფილტვებიდან
იგებს ლაყურებს...
ციხე-კოშკებზე ძველი
ცეცხლი ავაბრიალოთ,
ჰკა მაგას!!! – ერთად შევეუძახოთ,
გავსრისოთ გველი...
გავშალოთ დროშა
წინაპართა სისხლში ნაბანი,
ფეხზე, ქართველნი!!!
ოქტომბერში დიდგორი გველის!..

* * *
ნუ გამინყრებით,
თუ ამ სიტყვას ხმამაღლა ვბედავ –
ვგრძნობ ჩემს სიმაღლეს
და ამიტომ ლომივით
მხნედ ვარ!
თუმც, დედამინა ვერ დავლაშქრე,

ალეკო ღონღაძე პროფესიით მხატვარია. ლექსების წერა ორმოცი წლის ასაკში დაიწყო. მისი ლექსები და ჩანახატები პერიოდულად იბეჭდება ხაშურის ჟურნალ-გაზეთებში.
ლექსებით ვერავის გააკვირვებ პოეზიის ქვეყანაში, თუმცა, დღევანდელ ქაოსურ სამყაროში მართლაც გასახარია, ვინმეს ჯერ კიდევ რომ შერჩენია ჭეშმარიტი პოეზიის ნიჭი და რომ „პოეზია ბილიკია მარადიული“.
ალეკო ღონღაძე მოკრძალებით მიუყვება ამ ბილიკს...
ეკა ბაქრაძე

არ ვჯავრობ, რადგან
რის მიწის ბურთი –
ქვიშხეთიდან სამყაროს ვხედავ!

* * *
– გალაკტიონს კარგად ვიცნობდი, ბევრჯერ
შემიყვანიაო სახლში ნასვამი, – კიბეზე
მწოლიარე – მომითხრო ერთხელ მოხუცმა
გალაკტიონის ეზოდან.

ჰოი, ცხოვრებაო, მუხთალო,
ქარო, თმაგაშლილო, ჩადექი!
კიბეზე ნუ წევხარ, გაცივდები,
ადექი, გალაკტიონ, ადექი, –
მიყვება მოხუცი ქალბატონი –
ასე შემყავდაო სახლში.
ლოთი იყო, უბედური,
ჭალარა შეჰპაროდა ხმაშიც...
ყინავდა ამორძალთა კაბარეში,
გუმბათებს შელენვია წლები,
ხომ არ შეგაყრუოლათ სამარეში?
ადექით, თქვენს მაგივრად ვწვები...
ზარები დაარისხეს გრიგალებმა,
სული პანაშვიდებს დაესწრო...
გაბახდა გულწრფელი მწუხარება, –

ხომ არ გათავხედით, მანეტრო?
გულქვა ირონია ვნუთისოფლის,
(მწარე გახსენება ცოცხლობს),
ლოთიო, – არც მეტი, არც ნაკლები,
სიტყვა შხამიანი მეცნო!..
ჰოი, ცხოვრებაო, მუხთალო,
ქარო, თმაგაშლილო, ჩადექი!
საფლავში ნუ წევხარ, გაცივდები,
ბატონო გალაკტიონ, ადექი!..

* * *
ჩუმად... ჩუმად... ფეხაკრეფით,
რბილზე რბილი ფაჩურებით
დადიოდა ბებო ბანზე
გოგმანით და გაყურებით.
იმგვარ ნაზად, იმგვარ უხმოდ
მოიპარა გაზაფხული,
სულმა მტრედი ააფრინა –
უფლის ხელით დახატული...

* * *
ამქვეყნად ვიყავ...
და ვიგემე ცხოვრება მწარე,
ვირებში ვძოვდი –
მეც ვირივით ტლინკები ვყარე...
რისი ბრალია?
შემოქმედი რა სასჯელს გვადებს?
ზოგს ვირად,
ზოგს კი
ფაფარაშლილ ულაყად ბადებს...

წვიმავი
თავსხმა... სულ მთლად დამალბო
ცამ, წვიმით გადასერილმა...
სულს ვერ მისველებს ნუნწკალი,
სული ისედაც სველი მაქვს!..